ლელო
19 15
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
11 ნოემბერი **ორშაბათი** 2013
№266 (14 182) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველო ევრო პლეი ოფში



11

# WE CAN! ADA




14

თედო ზიბზიბაძის გადამწყვეტი ლელო

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# დინამომ ბოლოს გაისროლა

## ვინ იქნება ზედმეტი?

2-4



ექვსეულისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის

ზესტაფონი-დინამო 1:2

ფოტო: fcdinamo.ge

## ქართველთა ვიტესი ლიდერია



გურამ კაშია

4

ქართული ლეგიონის უქმეები

პრემიერლიგას წარმოგიდგენთ
europe-bet.com



რობინ ვან პერსიმ არსენალი დაამარცხა

# იუნაიტედის დაბრუნება

- მესიმ ისევ ტრავმა მიიღო
- იუვემ ნაპოლი დაიფრინა
- რეკორდმაისტერის მორიგი რეკორდი
- იზრას ჰეთთრიკი

ევროპული უქმეები

5-9

ეროვნული ბიბლიოთეკა

10.11. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 3 500 მაყურებელი

**ზესტაფონი 1**

**დინამო (თბ) 2**

0:1 გოგა (14. მერებაშვილის პასით), 1:1 ჭანტურიშვილი (87. შარიქაძის პასით), 1:2 გველესიანი (90)

| ზესტაფონი 4-3-2-1 | დინამო 4-4-1-1 |
|---|---|
| რ. კვასხვაძე | ლორია |
| თორ. გრიგალაშვილი | სითურიძე |
| კაქკაქიშვილი | კვარაცხელია |
| რენე ფერეირა | გველესიანი |
| კანდელაკი | კვირკველია |
| აჯურუ | ე. გრიგალაშვილი |
| შარიქაძე | ხმალაძე |
| ჭანტურიშვილი | ძარია |
| კუტალია | მერებაშვილი |
| ჭანკოტაძე | გოგა |
| ლომია | დვალი |
| მწვრთნელი გ. გეგუჩაძე | მწვრთნელი დ. უჰრინი |

**ზესტაფონი**

61. კუტალია - **რეკრუკი**
66. ჭანკოტაძე - **გაგოშიძე**
75. ლომია - **სამუშია**

*სათადარიგოები:* მეშველიანი, რაყამაშვილი, სარდალიშვილი, ენდელაძე

**დინამო**

77. მერებაშვილი - **გლიშიჩი**
83. ე. გრიგალაშვილი - **პაპავა**
88. ძარია - **ვუო**

*სათადარიგოები:* მიგინეიშვილი, უსტარიცი, ხურცილავა, ჩისკო

გაფრთხილება: ხმალაძე (25), კაქკაქიშვილი (52)

გაძევება: კაქკაქიშვილი (62)

არბიტრი: ა. ბასლეჰლო (სირია)

# ბოლო წუთის ფაქტორი

ბოლო წლებია „ზესტაფონისა" და „დინამოს" დაპირისპირება ყოველთვის დაძაბულად და თვალსასეიროდ მიმდინარეობს. წლეულსაც, მიუხედავად იმისა, რომ გუნდები სხვადასხვა განწყობით შეხვდნენ ჩემპიონატს (გავიხსენოთ „ზესტაფონში" არსებული გაურკვეველი ვითარება), პირველივე ტურში, თბილისში გამართულ შეხვედრაში, გადახალისებულმა „ზესტაფონმა" ქვეყნის ჩემპიონს დიდი წინააღმდეგობა გაუწია და მხოლოდ ბოლო წამებზე გაშვებული გოლის გამო დამარცხდა. თითქმის იგივე განმეორდა გუშინდელ შეხვედრაშიც...

მოლოდინისამებრ, შეხვედრა ძალზე საინტერესო და კარგი საყურებელი გამოდგა, რაშიც შესანიშნავმა ამინდმაც შეიტანა თავისი წვლილი. გუნდებმა თავიდანვე საკმაოდ მაღალი ტემპი შესთავაზეს ერთმანეთს. შეხვედრა ორმხრივ შეტევებში მიმდინარეობდა. პირველი, მეტ-ნაკლებად სახიფათო შეტევა, მასპინძლებმა განახორციელეს, როცა ფლანგური ჩაწოდების შემდეგ **საბა ლომია** ნახტომში თავურით ცდილობდა კარში დარტყმას, მაგრამ მდგომარეობა მცველებმა განმუხტეს.

დინამოელებმა იქვე მწვავედ უპასუხეს მეტოქეს - **ელგუჯა გრიგალაშვილის** ჩაწოდებას **დვალიც** თავურით აგვირგვინებდა იერიშს, მაგრამ ბურთი გარედან მოხვდა ბადეს. სტუმართა მორიგ იერიშს კი გოლიც მოჰყვა - **მერებაშვილის** დარტყმა კვასხვაძემ კი მოიგერია, მაგრამ შეტევა გაგრძელდა და იმავე მერებაშვილის ჩაწოდების შემდეგ **გოგამ** მცველებს დაასწრო და თავურით ანგარიში გახსნა.

ხუთიოდე წუთში მასპინძლებს გათანაბრება მართებდათ, როცა მერებაშვილმა უწყინარ სიტუაციაში მასპინძელთა ფორვარდს ლომიას ჩააბარა ბურთი და საკუთარ მეკარეს შეატოვა, თუმცა ლომიას დარტყმა **ლორიამ** კუთხურზე მოიგერია. მანვე, ცოტა ხანში **რენე ფერეირას** დარტყმაც გააუვნებლა.

საპირისპირო კართან კვლავ სახიფათოდ მოქმედებდა გოგა-დვალის დუეტი. რუმინელის გადაცემის შემდეგ დვალი შემობრუნებით ურტყამდა - მასპინძლები გოლისგან კვასხვაძემ იხსნა. პირველი ტაიმის ბოლო წუთებში ზესტაფონელებმა მთელი ძალებით შეუტიეს, მაგრამ თუ ლომიასა და **კაქკაქიშვილის** თავურებს არ ჩავთვლით, ლორიას კართან საგოლე მომენტი არ შექმნილა.

სცენარი არც მეორე ტაიმში შეცვლილა. გუნდები ბევრს მოძრაობდნენ, ბურთი მოედნის ცენტრში არ ყოვნდებოდა და სახიფათო მომენტებიც ორივე კართან იქმნებოდა. **კუტალიასა** და ლომიას შესანიშნავი კომბინაცია ამ უკანასკნელმა ვერ დააგვირგვინა, რასაც დინამოელებმა დვალის ძლიერი დარტყმით უპასუხეს.

მასპინძლებმა კიდევ უფრო მწვავედ შეუტიეს და რამდენჯერმე ანგარიშის გათანაბრებასთან ახლოსაც იყვნენ - **ჭანკოტაძის** დარტყმა ლორიამ უხერხულად მოიგერია, **კანდელაკმა** კი მარცხენა ფლანგიდან პირდაპირ კარისკენ ჩაახვია ბურთი და ლორიამ აკრობატულ ნახტომში შეძლო კარის „მშრალად" შენახვა. ამას **ჭანტურიშვილის** სახიფათო დარტყმაც მოჰყვა, მაგრამ ზესტაფონელთა ნახევარმცველს მიზანმა უმტყუნა.

ტერიტორიული უპირატესობა მეტოქეს კი დაუთმეს, მაგრამ უქმად არც **დუშან უჰრინის** შეგირდები ყოფილან. ეს კი არა, **ხმალაძეს** ანგარიშის გაზრდაც შეეძლო, მაგრამ მახვილი კუთხიდან მისი დარტყმული კვასხვაძემ მოიგერია.

მალე ზესტაფონელები კაცნაკლულნი დარჩნენ - გოგას წინააღმდეგ უხეშობის გამო, სირიელმა არბიტრმა **აბდულა ბასლეჰლომ** კაქკაქიშვილს მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და წითელიც მიაყოლა. ზესტაფონელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 10 კაცის ამარაც შეტევებზე ფიქრობდნენ და მიზანთან ახლოს იყვნენ, მაგრამ კანდელაკის შესანიშნავი დარტყმის შემდეგ დიდებული იყო ლორია, რომელმაც ბურთი „ცხრიანიდან მოხსნა".

რამდენიმე წუთში ზესტაფონელები თავადვე გადაურჩნენ გოლს, როცა **ელგუჯა გრიგალაშვილმა** ჯერ ძელი შეაზანზარა, დამატებაზე კი კვასხვაძემ აულო. ბოლო წუთები „საგიჟეთი", რასაც ორივე გუნდის ქომაგთა ზღვა ემოციებმაც შეუწყო ხელი. მატჩის დასრულებამდე 3 წუთი იყო დარჩენილი, როცა **შარიქაძის** ჩაწოდების შემდეგ ჭანტურიშვილმა თავურით ანგარიში გაათანაბრა და ზესტაფონის არენა ემოციებმა წალეკა. პედარტების კვამლმა ცოტა თამაშიც „გააჩერა"...

მაგრამ ზესტაფონელთა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა - გოგას ჩაწოდების შემდეგ რენე ფერეირამ საკუთარი საჯარიმოდან ბურთი ვერ ამოიტანა იქვე მდგომ **გველესიანს** „დაუგდო" დასარტყმელად, ამ უკანასკნელმაც არ დაახანა და თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე გამარჯვების გოლი გაიტანა.



გიორგი გველესიანმა (№30) გამარჯვების გოლი ბოლოს გაიტანა

ფოტო: www.fcdinamo.ge

მარცხის მიუხედავად, ადგილობრივმა გულშემატკივრებმა სტადიონი გეგუჩაძის სახელის სკანდირებით დატოვეს. სამაგიეროდ, ადგილობრივი „ულტრასები" მსაჯობით კვლავ უკმაყოფილონი დარჩნენ და უწმაწური შეძახილების გარდა, მოედნიდან გამავალი თემიდის წარმომადგენლების მისამართით აგრესიასაც ავლენდნენ...

**მატჩის შემდეგ**

გია გეგუჩაძე (ზესტაფონის მწვრთნელი): **„გულშემატკივრებს მადლობას ვუხდი გულთბილი დახვედრისთვის. ძალიან ემოციური მატჩი გამოვიდა. დასანანი მარცხი იყო. მიუხედავად იმისა, რომ კაცნაკლულნი ვთამაშობდით, ანგარიში გავათანაბრეთ, მაგრამ ბოლო წუთზე დასანანი გოლი მივიღეთ და დავმარცხდით. ეს, ალბათ, გამოუცდელობის ბრალია. მესმის გულშემატკივრების, რომლებიც შედეგს მალევე ელიან, თუმცა ამისთვის დიდი სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი".**

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

10.11. ქობულეთი. ჩელე არენა. 700 მაყურებელი

**გურია 2**

**ვიტ ჯორჯია 1**

0:1 ჯავაშვილი (2), 1:1 ისიანი (51. კოშკაძის პასით), 2:1 ჩიკვილაძე (81. კოშკაძის პასით)

| გურია 4-2-3-1 | ვიტ ჯორჯია 4-2-3-1 |
|---|---|
| ბობღიაშვილი | დაუშვილი |
| ჩუენსუ | იაშვილი |
| იობაშვილი | გეთიაშვილი |
| ჩიკვილაძე | კასრაძე |
| ჯიშკარიანი | ჯავაშვილი |
| ჯოჯუა | დავლაშელიძე |
| კილაძე | ნ. მაისურაძე |
| შენგელია | კორიფაძე |
| კოშკაძე | ჯანელიძე |
| შალამბერიძე | სიჭინავა |
| ისიანი | ე. ლობჟანიძე |
| მწვრთნელი რ. პოკორა | მწვრთნელი ზ. ბერიძე |

**გურია**

55. კილაძე - **გაჩეჩილაძე**
80. შენგელია - **ჯოხაძე**
85. ისიანი - **ტორონჯაძე**

*სათადარიგოები:* გოგუაძე, ჩაგელიშვილი, დარჩიძე, ძამსაშვილი

**ვიტ ჯორჯია**

64. დავლაშელიძე - **კუხალეიშვილი**
73. სიჭინავა - **ლიბრაძე**
80. კორიფაძე - **წყაროზია**

*სათადარიგოები:* ჩალიგავა, ჩიტიშვილი, პავლიაშვილი, კვირკვია

გაფრთხილება: ლობჟანიძე (5), ჯავაშვილი (49), გეთიაშვილი (53), ბობღიაშვილი (89), გაჩეჩილაძე (90+2)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

# სამი ქულა მესამისთვის



გურიამ თენგიზ ჩიკვილაძის (მარჯვნიდან მეორე) გოლით მოიგო

მართალია, ბევრი ფიქრობდა, რაც უფრო „გახურდებოდა" ჩემპიონატი, სეზონის წინ მომზადებაგაუვლელ „გურიას" სულ უფრო გაუჭირდებოდა (მით უფრო, კლუბს გრძელი სათადარიგო სკამიც არ აქვს), თუმცა ლანჩხუთელები გასაოცარ „საშინაო სერიას" აგრძელებენ. ასეთი რამ 20 წელზე მეტია არ მომხდარა. მაშინ „გურია" საკუთარ „ევგრაფი შევარდნაძეზე" თამაშობდა და ლანჩხუთელი ქომაგი რომ ბევრს ნიშნავს, ეს მეტოქეებმა ნეიტრალურ „ჩელე არენაზეც" იწვნიეს.

მოკლედ, რაც დრო გადის, „გურია" გამარჯვებისკენ საოცარ სწრაფვას ავლენს და ამ სეზონში უკვე მეორე ისეთი თამაში შემოატრიალა, ანგარიში მეტოქეს რომ ჰქონდა გახსნილი.

უკვე მე-2 წუთზე გურულთა დაცვის მოდუნებით **ოთარ ჯავაშვილმა** ისარგებლა და „გურია" უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. თუმცა, როგორც გამოჩნდა, მასპინძლებისთვის ეს არცთუ ისე მძიმე სიტუაცია ყოფილა.

რა თქმა უნდა, თუნდაც გადახალისებული „ვიტ ჯორჯია" არ არის ის გუნდი, ვინმეს ანგარიშში უპირატესობა იოლად დაუთმოს. ასე იყო ამჯერადაც. თუმცა ხიფათს „მასპინძლები" პირველ ტაიმშივე ქმნიდნენ: ჯერ **ჩიკვილაძის** მიერ კარისკენ გაგზავნილ ბურთს თავი ვერავინ წაჰკრა; მალე უკვე **შალამბერიძემ** „გაისროლა" სახიფათოდ, რომელიც **დაუშვილმა** ვარდნაში მოიგერია და მცველს რომ არ ემარჯვა და ბურთი კუთხურზე არ გადაეგდო, ანგარიშის გათანაბრებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა; ტაიმის ბოლოსკენ კი ვიტელთა მეკარემ ჯერ **ისიანს** არ მისცა გატანის საშუალება და ბურთი ხელებში გააქვავა, ხოლო შალამბერიძის დარტყმული მოიგერია.

მეორე ტაიმშიც მეტ ხიფათს „გურია" ქმნიდა. პირველი შემთხვევა გოლით დასრულდა - **კოშკაძის** ჩაწოდებულზე ყველას ისიანმა დაასწრო და ანგარიში გაათანაბრა - 1:1. აქედან ზუსტად ნახევარ საათში, იმავე კოშკაძის გადაცემის შემდეგ, უკვე ჩიკვილაძემ გაიტანა და საკუთარ გუნდს გამარჯვება მოაპოვებინა - 2:1.

თუმცა ხიფათები მანამდეც შეიქმნა და ბოლო გოლის შემდეგაც: 64-ე წუთზე გურულები გადარჩნენ, როცა ბურთისკენ რამდენიმე სტუმარმა გაიწია და ერთ-ერთის თავიდან წასულ ბურთზე **ბობღიაშვილს** რეაგირება მეტად გაუჭირდებოდა; მერე კოშკაძეს აულო დაუშვილმა უძლიერესად დარტყმული, ხოლო დამატებაზე თანაგუნდელებმა ვერ ივარგეს; ერთხელ ისიანის უძლიერესი დარტყმა მცველს მოხვდა, თორემ არავინ იცის, სახიფათოდ დარტყმულს დაუშვილი რას მოუხერხებდა, ხოლო **ჯანელიძის** კარგი გარღვევისას მოედანზე ახალშესულმა **კუხალეიშვილმა** მატჩის გადარჩენის ბოლო იმედიც ქარს გაატანა.

საბოლოოდ, 2:1 და ზედიზედ მე-6 საშინაო მოგებით „გურიამ" დიდი ნაბიჯი გადადგა ექვსეულში ადგილის შესანარჩუნებლად, ხოლო მორიგი „საშინაო დავალება" - სამი ქულა მესამისთვის, შესრულებულია. ახლა გურულებს მხოლოდ „დინამო" და „ჩიხურა" უსწრებენ.

**მათე გურული**
ქობულეთიდან

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 12 | 9 | 2 | 1 | 29 | 10 | 29 |
| 2 | ჩიხურა | 12 | 8 | 1 | 3 | 27 | 19 | 25 |
| 3 | გურია | 12 | 7 | 0 | 5 | 13 | 15 | 21 |
| 4 | მეტალურგი | 12 | 6 | 3 | 3 | 18 | 16 | 21 |
| 5 | ტორპედო | 12 | 5 | 4 | 3 | 17 | 11 | 19 |
| 6 | დილა | 12 | 5 | 3 | 4 | 16 | 13 | 18 |
| 7 | ზესტაფონი | 12 | 4 | 3 | 5 | 13 | 10 | 15 |
| 8 | სიონი | 12 | 3 | 4 | 5 | 13 | 15 | 13 |
| 9 | მერანი | 12 | 4 | 0 | 8 | 12 | 26 | 12 |
| 10 | ვიტ ჯორჯია | 12 | 3 | 3 | 6 | 16 | 19 | 12 |
| 11 | სპარტაკი | 12 | 3 | 1 | 8 | 9 | 16 | 10 |
| 12 | ზუგდიდი | 12 | 1 | 4 | 7 | 5 | 18 | 7 |

*ცხრილი მომზადებულია www.gff.ge-ს მიხედვით*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ი. მოდებაძე (დილა) | 9 |
| დ. ტატანაშვილი (ჩიხურა) | 9 |
| დ. გოგა (დინამო (თბ)) | 7 |

**XIII ტური**

**24 ნოემბერი, კვირა**

მეტალურგი-ჩიხურა
დინამო-დილა
მერანი-გურია
ვიტ ჯორჯია-ზუგდიდი
სიონი-სპარტაკი
ტორპედო-ზესტაფონი

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა. XII ტური



ზაზა ქელიძე (მარცხნივ) და გიორგი ბერიაშვილი — ნინო გელაშვილის ფოტო

# ემოციური ფონი

09.11. რუსთავი. ფოლადი. 1000 მაყურებელი

**მეტალურგი 2**

**ტორპედო 1**

1:0 გენაძე (46. ბერიაშვილის პასით), 2:0 ბერიაშვილი (55. გენაძის პასით), 2:1 მ. გავაშელიშვილი (78)

| მეტალურგი 4-2-3-1 | ტორპედო 4-4-2 |
|---|---|
| ბედიაშვილი | ქვილითაია |
| ორბელაძე | ჯანტურია |
| მახვილაძე | ზ. ჭელიძე |
| კაკუბავა | ხიდეშელი |
| ჯაფარიძე | უბილავა |
| გურ. გურეშიძე | ახვლედიანი |
| რაზმაძე | ცინცაძე |
| კირკიტაძე | გოროზია |
| ფიფია | ფანცულაია |
| გენაძე | კაპანაძე |
| ბერიაშვილი | ბარაბაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. სანაია | ჟ. სარაგოსა |

**მეტალურგი**

71. ბერიაშვილი - **ჩირგაძე**
72. ფიფია - **ქავთარაძე**
84. რაზმაძე - **დობროვოლსკი**

*სათადარიგოები: სუხიაშვილი, ვასაძე, სიხარულიძე, სეფიაშვილი*

**ტორპედო**

57. ბარბაქაძე - **მ. გავაშელიშვილი**
57. გოროზია - **გიგაური**
81. ჭანტურია - **მთივლიშვილი**

*სათადარიგოები: მარკოზაშვილი, ფირცხალავა, სანდოხაძე, მიქავა*

გაფრთხილება: რაზმაძე (27), ცინცაძე (34), ჭანტურია (54), გავაშელიშვილი (62), ჩირგაძე (82), ჭელიძე (90)

არბიტრი: თ. გვანცელაძე

პირველსამეულში მოხვედრის კანდიდატებს შორის გამართული შეხვედრა, უდავოდ, საინტერესო გამოდგა - დაძაბულობა და ემოციური ფონი 90 წუთის განმავლობაში საგრძნობი იყო და სუსხიან ამინდში „ფოლადზე" მოსულმა გულშემატკივარმაც, ჩვენი ფეხბურთის კვალობაზე, არცთუ ურიგო სანახაობა იხილა!

...მასპინძლები, ფაქტობრივად, ოპტიმალური შემადგენლობით (თუ არ ჩავთვლით დისკვალიფიცირებულ **გიორგი გავაშელიშვილს**) გამოვიდნენ მოედანზე; აი, სტუმართა ესპანელ თავკაცს **ჟერარდ სარაგოსას** რამდენიმე გადაადგილების მოხდენამ მოუწია თავისი გუნდის ძირითადში: სხვადასხვა მიზეზის გამო „ტორპედოს" აკლდა **გიორგი კუხიანიძე** და **ნიკა საბანაძე**, ხოლო **მერაბ გიგაური** და **დავით მთივლიშვილი** მეორე ტაიმში შეცვლაზე შემოვიდნენ.

მატჩი თავიდანვე სწრაფ ტემპში დაიწყო და ასე გაგრძელდა მსაჯის საფინალო სასტვენამდე; სტუმრები ძირითად აქცენტს მარცხენა ფლანგზე აკეთებდნენ, სადაც ერთობ აქტიურად ერთვებოდა შეტევაში ახალგაზრდა მცველი **დავით უბილავა**, თუმცა საწყის წუთებში „ტორპედოს" იერიშებს რაიმე ხიფათი არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, „მეტალურგი" უფრო მრავალფეროვნად ცდილობდა სათამაშო უპირატესობის მოპოვებას და მეხუთე წუთზე პირველი სახიფათო მომენტიც ვიხილეთ: ამ სეზონში მასპინძელთა ერთ-ერთი ლიდერი **გოგა ფიფია** მეტოქის საჯარიმოს მისადგომებიდან ეფექტური დარტყმით ცდილობდა გოლის გატანას, მაგრამ **მაქსიმე ქვილითაიამ** არანაკლებ შესაშური რეაქციით ბურთი მოიგერია.

შვიდიოდე წუთში ფიფიამ, დაახლოებით იმავე პოზიციიდან „რბილად" და ტექნიკურად შესრულა დარტყმა, მაგრამ ბურთი მიზანს მცირე მანძილით ასცდა. მერე იყო ფიფიას წამოწყებული სწრაფი კომბინაცია, მარცხენა ფლანგზე **რევაზ გენაძემ** რომ გააგრძელა, მაგრამ ამ უკანასკნელის უაღრესად სახიფათო გამჭოლ გადაცემას პარტნიორთაგან ვერავინ მიუსწრო. ამასობაში „ტორპედოც" უფრო საზრიანად ათამაშდა და **კაპანაძე-ახვლედიანი-კაპანაძის** საინტერესო კომბინაცია არაზუსტი თავური დარტყმით დამთავრდა. ისე, „ტორპედოს" ფეხბურთელებს მონდომება არც ისე დაენუნებოდათ, მაგრამ „დამატებითი მოტივატორი" თავის ახალგაზრდა მოთამაშეებს რაც შეიძლება სწრაფი თამაშისაკენ ენერგიულად და ემოციურად მოუწოდებდა!

ხვდებით, ალბათ, „ტორპედოს" მთავარ მწვრთნელს, **ჟერარდ სარაგოსას** რომ ვგულისხმობთ - ესპანელი სპეციალისტი არბიტრის ლამის ყველა გადაწყვეტილებასაც ერთობ ემოციურად „აღნიშნავდა" და ამისათვის შენიშვნაც დაიმსახურა. თუმცა შემდეგ უკვე მასპინძელთა სამწვრთნელო შტაბი თუ საქართველოში, ალბათ, ყველაზე ლოიალური, რუსთაველი ქომაგები ვერ მალავდნენ აღშფოთებას მსაჯთა ბრიგადის ზოგიერთი გადაწყვეტილების გამო. აი, თუნდაც ის ეპიზოდი გავიხსენოთ, როცა „მეტალურგის" საჯარიმოს ხაზთან არბიტრმა „თავისუფალი დარტყმა" დანიშნა: **ნიკა ახვლედიანის** შესრულებულ ამ სტანდარტულს კუთხური მოჰყვა, თუმცა ხიფათი ამით არ დამთავრებულა და **გიორგი ხიდეშელის** თავური დარტყმის მერე **თორნიკე კაპანაძემ** ბურთს მიმართულება ოდნავ შეუცვალა, მაგრამ ჩინებულ ფორმაში მყოფმა **გრიგოლ ბედიაშვილმა** ამ ეპიზოდშიც იყოჩაღა.

მეორე ტაიმი პირველზე უფრო სანახაობრივი გამოდგა, თანაც დასაწყისი ისეთი იყო, მასპინძლები უკეთესს რომ ვერ ინატრებდნენ! განახლდა თუ არა თამაში, **გიორგი ბერიაშვილმა** („მეტალურგში" დაბრუნების შემდეგ, ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი რომ ჩაატარა) ბოლომდე იბრძოლა, მეტოქეს ბურთი აართვა და მარცხენა ფლანგზე გარღვევაზე რევაზ გენაძე გაიყვანა, რომელიც მეტოქის საჯარიმოში ბურთიანად სწრაფად შეიჭრა და ახლო კუთხეში ძლიერი და ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა!

» მე-4 გვერდზე

# ქარსაც გამოყენება უნდა

09.11. ქუთაისი. ტორპედო. 200 მაყურებელი

**ჩიხურა 2**

**ზუგდიდი 0**

1:0 ჯილაური (35. ტატანაშვილის პასით), 2:0 ტატანაშვილი (61)

| ჩიხურა 4-1-4-1 | ზუგდიდი 4-4-2 |
|---|---|
| სომხიშვილი | მამალაძე |
| ოდიკაძე | რიგვავა |
| ლ. ჭელიძე | აქუბარდია |
| რეხვიაშვილი | რ. ონიანი |
| შ. კაშია | ახალაია |
| ბეჟვაია | ფარჯიკია |
| დეკანოიძე | ტყემალაძე |
| დათუნაიშვილი | კობერიძე |
| ჯილაური | წურწუმია |
| გაბედავა | ეხვაია |
| ტატანაშვილი | შ. ლომია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ს. ფრუიძე | ო. თეთხერიძე |

**ჩიხურა**

71. ჯილაური - **ქიმაძე**
71. დეკანოიძე - **ნ. კვასხვაძე**
84. დათუნაიშვილი - **ჩიკვაიძე**

*სათადარიგოები: თევდორაძე, ნადირაძე, დემეტრაშვილი*

**ზუგდიდი**

69. ტყემალაძე - **ქირია**
69. წურწუმია - **გულია**
76. ფარჯიკია - **ქომეთიანი**

*სათადარიგოები: კეკელიძე, მეგაპედი, სამუშია, კვარაცხელია*

გაფრთხილება: კობერიძე (54), რიგვავა (81)

არბიტრი: ბ. ნინუა

მატჩი „ჩიხურას" უპირატესობით დაიწყო. საჩხერელებმა ბურთზე თავიდანვე დაამყარეს კონტროლი და მეტოქის კართან რამდენიმე სახიფათო იერიშიც განახორციელეს. **გაბედავა** მეკარის ბაქანთან გამჭოლ გადაცემას უკეთებდა **ტატანაშვილს**, მაგრამ დაცვაში შესანიშნავად გაისარჯა **აქუბარდია**, რომელმაც ჩემპიონატის ბომბარდირს წამით დაასწრო და საკუთარი გუნდი გოლისგან იხსნა.

ამას საჯარიმოს მისადგომებიდან **დეკანოიძის** ძლიერი დარტყმა მოჰყვა, რომელიც **მამალაძემ** კუთხურზე მოიგერია. პირველ ტაიმში საჩხერელებს ზურგის ქარიც უწყობდათ ხელს და სტუმართა კართან მორიგ ხიფათში სტიქიამაც შეიტანა თავისი „წვლილი" - **ოდიკაძის** საჯარიმო დარტყმის შემდეგ ქარმა ბურთს მიმართულება შეუცვალა და კარისკენ უხერხულად წასული მამალაძემ კუთხურზე მოიგერია. ეს კუთხურიც ოდიკაძემ მოაწოდა და ქარის დახმარებით ბურთი კინალამ კარში ჩაახვია...

ახლოს იყო გატანასთან გაბედავაც, რომელიც ძალზე ხელსაყრელი პოზიციიდან ურტყამდა, მაგრამ კვლავ საიმედოდ გაისარჯა მეკარე მამალაძე. გამოუყენებელი მომენტების გამო „ჩიხურა" კინალამ დაისაჯა - ზუგდიდელებმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს და **ფარჯიკიამ** მეკარესთან პირისპირ გაიყვანა **ლომია**, რომელმაც თავიდან ცოტათი დააყოვნა, შემდეგ კი კარში ოდნავ მახვილი კუთხიდან დაარტყა, მაგრამ **სომხიშვილმა** ბურთი ნახტომში მოიგერია.

მატჩი კვლავ **სოსო ფრუიძის** გუნდის უპირატესობით გაგრძელდა და ნომინალურ მასპინძელთა შეტევას შედეგიც მოჰყვა - ტატანაშვილის გადაცემის შემდეგ **ჯილაურმა** კარში დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან დაარტყა, მამალაძე ბურთს კი შეეხო, მაგრამ გუნდის გადარჩენა ველარ მოახერხა - 1:0.

შესვენებამდე საჩხერელებს ანგარიშის გაზრდაც შეეძლოთ. ქარი კვლავ მათ მხარეს იყო. **დათუნაიშვილის** კუთხურის შემდეგ სტიქია კიდევ ერთხელ ჩაერია თამაშში, ბურთს მიმართულება შეუცვალა, მამალაძეს კარი „დაკარგული" კი ჰქონდა, მაგრამ რეაგირება მაინც მოასწრო. ამას ოდიკაძის სახიფათო ჯარიმა მოჰყვა, მაგრამ მამალაძემ ამჯერადაც განმუხტა ვითარება. ბოლოს კი ტატანაშვილს მიეცა გატანის შანსი, თუმცა სტუმართა კიპერმა მისი დარტყმაც გააუვნებელჰყო.

მეორე ტაიმში ქარი უკვე ზუგდიდელებს ეხმარებოდა, მაგრამ სტუმრები ამ უპირატესობით ვერ სარგებლობდნენ, პირიქით, სახიფათო მომენტებს კვლავ ზემოიმერლები ქმნიდნენ. ძლიერად, თუმცა არაზუსტად დაარტყა გაბედავამ, ჩვეულად აქტიური იყო მარჯვენაფლანგელი ოდიკაძე, რომლის სახიფათო გარღვევების შეჩერება სტუმრებს ძალიან უჭირდათ და მის წინააღმდეგ უხეშობასაც არ ერიდებოდნენ...

საჩხერელთა მეორე გოლი მამალაძის უხეშ შეცდომას მოჰყვა - აქუბარდიამ მეკარეს დაუბრუნა ბურთი, მამალაძემ ტატანაშვილის მოტყუება სცადა, მაგრამ გამოცდილმა ფორვარდმა სტუმართა კიპერს ბურთი „მოჰპარა" და ცარიელ კარში მიუჩინა ადგილი - 2:0.

მატჩის ბედიც, ფაქტობრივად, აქ გადაწყდა. სტუმრები თამაშის შემომტრიალებლებს არ ჰგავდნენ, პირიქით, დარჩენილ დროში საგოლე მომენტები კვლავ „ჩიხურას" ჰქონდა. ორჯერ სახიფათოდ დაარტყა შეცვლაზე შესულმა **კვასხვაძემ**, თუმცა პირველად ხარიხას გადააცილა, მეორედ კი მისი დარტყმული მეკარემ მოიგერია.

ბოლო წუთებზე „ზუგდიდი" გააქტიურდა, მაგრამ პრესტიჟის გოლის გატანა ვერ მოახერხა. „ჩიხურამ" დაგეგმილი 3 ქულა მოიპოვა და სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო გაიმყარა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

# ქოქოლა ქომაგისგან

09.11. გორი. თ. ბურჯანაძე. 2000 მაყურებელი

**დილა 0**

**სიონი 2**

0:1 თოთაძე (3), 0:2 განუგრავა (90+1)

*გამოუყენებელი პენალტი: მოდებაძე (19. დილა)*

| დილა 3-4-2-1 | სიონი 4-5-1 |
|---|---|
| რევიშვილი | მერლანი |
| კობახიძე | სვანიძე |
| ხიზანეიშვილი | აბრამიძე |
| კვახაძე | ქემოკლიძე |
| ალადაშვილი | თოთაძე |
| მაისურაძე | ფოფხაძე |
| აბურჯანია | გოგობერიშვილი |
| ლონლაძე | განუგრავა |
| დოლიძე | პარუნაშვილი |
| ბოლქვაძე | ბიბილეიშვილი |
| მოდებაძე | კახელიშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| რ. სოლოლაშვილი | ლ. ბურდული |

**დილა**

46. კობახიძე - **ქვილითაია**
68. აბურჯანია - **გორელიშვილი**
77. ხიზანეიშვილი - **ახალკაცი**

*სათადარიგოები: შეყრილაძე, გაბარაევი, პ. ხორგუაშვილი, თომაშვილი*

**სიონი**

60. ბიბილეიშვილი - **ლობჟანიძე**
65. პარუნაშვილი - **ჩივაძე**
82. კახელიშვილი - **აფციაური**

*სათადარიგოები: ბათიაშვილი, ცხადაია, სამხარაძე, ხუჭუა*

გაფრთხილება: თოთაძე (38), რევიშვილი (45+2), მაისურაძე (47), ქემოკლიძე (51), კახელიშვილი (56), მერლანი (75), აბრამიძე (82)

არბიტრი: ლ. სილაგავა

როგორც კი „დილას" გულშემატკივარმა გუნდის კრიზისიდან გამოსვლაზე დაიწყო ლაპარაკი, იმედის ნაპერწკალს უმალ ცივი წყალი გადაესხა - „სიონთან" თამაშით და, მით უფრო, მარცხით, „დილამ" უამრავი კითხვის ნიშანი გააჩინა...

რომ იტყვიან, მასპინძლებს სალამი არ ჰქონდათ დამთავრებული, რომ ტაბლოზე უკვე 0:1 ენთო. სტუმართა ერთი შეხედვით უწყინარი შეტევისას, **კვახაძეს** ხელზე მოხვდა ბურთი და დაახლოებით 18 მეტრიდან **თოთაძის** ჯარიმით (ბურთი „ცოცხალ კედელში" გაძვრა) სტუმრები წინ გავიდნენ.

„დილას" ქომაგთა შორის იმდენად დიდი იყო გამარჯვების მოლოდინი, „სიონის" გოლმა ბევრს ღიმილი მოჰგვარა. თანაც, სულ რაღაც ერთ წუთში, გორელები ძალიან ახლოს იყვნენ წონასწორობის აღდგენასთან - **დოლიძის** ფლანგურ ჩაწოდებას **მერლანის** კართან არეულობა მოჰყვა და მეურვეთაგან თავისუფალ **ლონლაძეს** ახლო მანძილიდან გატანის შანსი მიეცა, თუმცა... მის უძლიერეს დარტყმულს კარში ჩამდგარი მცველები გადაელობნენ.

პირველ ტაიმში მასპინძლები უფრო მონდომებით, თუმცა კი ერთფეროვნად უტევდნენ. სამი „სტოპერით" მოთამაშე „დილა" ფლანგებზე აქტიურობდა. **ალადაშვილი** და ლონლაძე იერიშებისას გარემარბის პოზიციებზე ადიოდნენ, საიდანაც საჯარიმოში აწვდიდნენ და „მეორე სართულზე" უპირატესობის მოპოვების ხარჯზე ეძებდნენ ხეირს. თუმცა ამას საგოლე მომენტები არ მოჰყოლია.

სოლოლაშვილის გუნდს ყველაზე რეალური შანსი მე-19 წუთზე მიეცა. სტუმრებმა საჯარიმოში შეჭრილი **მოდებაძე** წააქციეს და არბიტრმა **ლაშა სილაგავამ** პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა. დაზარალებულმა თავად გადაწყვიტა დარტყმა, მაგრამ... მიზანს ააცილა.

მეორე ტაიმში „დილა" კიდევ უფრო უსუსურად გამოიყურებოდა, ვიდრე შესვენებამდე. არადა, სოლოლაშვილმა სამივე ცვლილება თავდასხმის გასაძლიერებლად გამოიყენა. თავის მხრივ, სტუმრები დინჯად და სწორი თამაშით ახერხებდნენ თამაშის კონტროლს - არ აძლევდნენ გორელებს მწვავე მომენტების შექმნის საშუალებას, ხოლო თავად, მთელი გუნდით შეტევაში გადმოსული მეტოქის ზურგში, ხშირად პოულობდნენ ხვრელებს ხიფათის შესაქმნელად.

ამ ხერხით, „სიონის" გამოკვეთილი თავდამსხმელი **კახელიშვილი** ორჯერ ძალიან ახლოს იყო ანგარიშის გაზრდასთან. „დილას" კი ვერც მწვრთნელის მითითებები შველოდა და ვერც - მაყურებელთა ხმამაღალი კრიტიკული თუ გამამხნევებელი შეძახილები.

დრო გადიოდა და „დილას" ქომაგი სულ უფრო ნერვიულობდა, ტრიბუნაზე კამათსა და ჩხუბსაც კი ჰქონდა ადგილი... გულშემატკივარებმა „დილას" ფეხბურთელთა უსუსურობა ქოქოლითაც „შეამკეს". ამას გარდა, თამაშს არც სიხისტე აკლდა - სილაგავას შვიდჯერ მოუწია ყვითელი ბარათის ამოღებამ.

ბოლოსკენ, მასპინძლები ვა-ბანკზე წავიდნენ, იმის იმედით, რომ ქულა მაინც გადაერჩინათ. უკან მხოლოდ მეკარე რჩებოდა, რაც „სიონს" მეტოქის კონტრშეტევაზე გამოჭერის საშუალებას აძლევდა. სწორედ ამგვარ სიტუაციაში მოახერხა **განუგრავამ** უკანასკნელ წუთებზე ანგარიშის გაორმაგება - 0:2.

მომდევნო ტურებში „დილას" მეტად რთული კალენდარი აქვს - ერთმანეთის მიყოლებით ხვდება „დინამოს", „ტორპედოს", „მეტალურგსა" და „ზესტაფონს". ცხადია, ასეთი თამაშით გორელებს ძალიან გაუჭირდებათ სატურნირო ცხრილში ამჟამინდელი პოზიციის შენარჩუნება. „სიონს" კი ამ მოგებით ექვსეულში მოხვედრის შანსი გაეზარდა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან



სპარტაკმა შონიას გოლით მოიგო — სპარტაკის პრესსამსხურის ფოტო

# შონიას ყუმბარა ჰქონია

09.11. მცხეთა. მცხეთა პარკი. 600 მაყურებელი

**სპარტაკი 1**
**მერანი 0**

1:0 შონია (90)

| სპარტაკი 4-3-3 | მერანი 4-3-3 |
|---|---|
| ნადირაძე | შეროზია |
| ჯაფოძე | გეგეჭკორი |
| მგელაძე | გაბუნია |
| ქურდაძე | ქარქუზაშვილი |
| მეგრელიშვილი | მელიავა |
| შონია | კერძევაძე |
| კაკაშვილი | ფონიავა |
| თექთურმანიძე | ბაბუნაშვილი |
| ჩაფიძე | ქათამაძე |
| თუხარელი | მელქაძე |
| მეტრეველი | კუჭუხიძე |
| მწვრთნელი კ. კაჭარავა | მწვრთნელი ა. ჩხეტიანი |

**სპარტაკი**

56. თუხარელი - **კემუხტაშვილი**
80. თექთურმანიძე - **ფანცხავა**

*სათადარიგო:* ნანიევი, მაქაცარია, თვალავაძე, ბურძენაძე, კ. ხიზანეიშვილი

**მერანი**

77. ქათამაძე - **ციკოლია**
89. ბაბუნაშვილი - **ხუბუა**

*სათადარიგო:* სირბილაძე, ლ. ღონღაძე, გეგია, ქარდავა, ბანება

გაფრთხილება: კაკაშვილი (28), კერძევაძე (75), ციკოლია (88), გაბუნია (90+3)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

**კახა კაჭარავას** განვრთნილმა ცხინვალის „სპარტაკმა" მიჯრით მეორე შეხვედრა მოიგო. მცხეთაში მოვლენები დრამატულად განვითარდა, სპარტაკელებმა გამარჯვების გოლი ბოლო წუთზე გაიტანეს და ღირსეულად გაიმარჯვეს. თუმცა თამაში ისეთი იყო, წაგებისთვის ვერც ერთ გუნდს ვერ გაიმეტებდით.

პირველ ტაიმში მცირე უპირატესობას „სპარტაკი" ფლობდა, თუმცა რასაც საგოლე მომენტი ჰქვია, ასეთი არ შეუქმნია. გამოსარჩევი იყო ეპიზოდი, როცა **გიორგი თექთურმანიძემ** მარცხენა ფლანგზე ორი მეტოქე მოხდენილად ჩამოიცილა და კარის გასწვრივ ისე გაგზავნა ბურთი, ვინმეს ფეხი რომ დაეხვედრებინა, კარს ვერ ააცილებდა, თუმცა გადაცემას ვერავინ „გამოეხმაურა".

ცოტა ხანში **ლაშა ჩაფიძემ** მოინდომა ბურთის „ცხრიანში" მოთავსება, ჩანაფიქრი კარგი იყო, ხვეული დარტყმით გადაავლო ბურთი მარტვილელთა მეკარეს, თუმცა სიზუსტე დააკლდა. „მერანსაც" ჰქონდა შანსი, როცა სპარტაკელთა საჯარიმოში მყოფმა **ირაკლი ქათამაძემ** ძლიერად ვერ დაარტყა და **გიორგი ნადირაძემაც** იოლად მოიგდო ბურთი ხელებში.

მეორე ტაიმის დასაწყისი უკვე „მერანის" იყო. მარტვილელებმა აგრესიასა და ტემპს მოუმატეს. ჯერ **ლევან გეგეჭკორის** თავური ასცდა მიზანს, მერე კი **ლაშა კუჭუხიძემ** ვერ შეაგება ბურთს ზუსტი თავური. მწვავე ეპიზოდები ამა თუ იმ კართან იშვიათად იქმნებოდა, მოედნის ცენტრში კი უშელავათო, ხისტი და აგრესიული ბრძოლა იყო.

საგოლე მომენტი „სპარტაკმა" შექმნა: თექთურმანიძის მონაგრებული ჯარიმა ჩაფიძემ ჩააწოდა, **თემურ შონიამ** ახლოდან ღონიერი თავური უთავაზა, მაგრამ „მერანის" მეკარე **ჯონი შეროზიამ** პატარა სასწაული გვიჩვენა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

შეხვედრის ბოლო წუთებიც დაძაბული გამოდგა. თამაშის გახსნას არც ერთი გუნდი არ აპირებდა, თუმცა ფრესთან შეგუებაც არ უნდოდათ. და აი, **ზვიად მეტრეველმა** თავით დაუგდო ბურთი სპარტაკელთა კაპიტან შონიას, რომელმაც 18-ოდე მეტრიდან შეუჩერებლად „დააქუხა" და ბურთი ბადეში გაახვია.

ამ სეზონში შონია პირველად როდი გამოირჩა შორეული, ეფექტური საგოლე დარტყმით - თასის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრაში ქუთაისის „ტორპედოს" დაახლოებით 25 მეტრიდან გაუტანა გოლი ზუსტად ისეთ სტილში, როგორც ეს „მერანთან" მოახერხა.

**დავით თავართქილაძე**
მცხეთა-თბილისი

# ემოციური ფონი

« მე-3 გვერდიდან

„მეტალურგის" მეორე კომბინაციაც სწრაფი, ეფექტური და, რაც მთავარია, შედეგიანი აღმოჩნდა: შეტევა ფიფიამ წამოიწყო, გენაძემ კვლავაც მარცხენა ფლანგზე გააგრძელა და მეტოქის საჯარიმოში ჩაწოდებულ მაღალ ბურთს კი გიორგი ბერიაშვილმა მოხდენილი „თავური" მოაყოლა!

გულახდილად რომ ვთქვათ, ნაკლებად გვჯეროდა, რომ სტუმრები ამ ორბურთიან ჩამორჩენას აღმოფხვრიდნენ, თუმცა „ტორპედოში" მომხდარმა ცვლილებებმა და ტაქტიკურმა გადაადგილებებმა თამაშის სცენარი შეცვალა. ერთობ გააქტიურდა მარჯვენა ფლანგზე **ნიკა ახვლედიანი** (ამ 18 წლის ბიჭის „ტექნიკური არსენალი" მართლაც გაოცებას იწვევს), ვერცხლისწყალივით მოძრავი თორნიკე კაპანაძეც ბევრს მანევრირებდა, თუმცა სტუმართა გუნდის „ყოჩად" გიორგი ხიდეშელი მოგვევლინა, რომელიც, 2:0-ს შემდეგ, ფაქტობრივად, შემტევ ნახევარმცველად მოგვევლინა. სწორედ ხიდეშელის აქტიურობასა და მარცხენა ფლანგიდან მის ზუსტ გადაცემას მოჰყვა თითქმის 100-პროცენტიანი მომენტი, როცა შეცვლაზე შემოსულმა **მამია გავაშელიშვილი** ახლო მანძილიდან თავით გზავნიდა ბურთს მასპინძელთა კარისკენ, მაგრამ გრიგოლ ბედიაშვილმა თავისი გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა.

თუმცა „მეტალურგის" გამოცდილი მეკარე უძლური იყო მომდევნო ეპიზოდში: გავაშელიშვილმა მოხდენილი ფინტით მეურვე ჩამოიცილა და არანაკლებ ეფექტური დარტყმით თავის გუნდს თამაშის გადარჩენის შანსიც დაუტოვა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ტორპედოს" გოლი საკამათო „სტანდარტულის" მერე გავიდა; ყოველ შემთხვევაში, მასპინძლები თავიანთ სასარგებლოდ რომ ითხოვდნენ ჯარიმას, არბიტრმა... საპირისპირო მხარეს დანიშნა და ამას სტუმართა გოლიც მოჰყვა.

მატჩის ბოლო წუთი იყო, დაულალავმა ხიდეშელმა კვლავაც იაქტიურა მარცხენა ფლანგზე და ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩაკიდა, სადაც მაღალ ნახტომში ყველას თორნიკე კაპანაძემ დაასწრო, მაგრამ დარტყმა მცირეოდენ არაზუსტი გამოდგა.

**გია ტუხაშვილი**
თბილისი-რუსთავი

● ლეგიონის უქმეები

# ქართველთა ვიტესი ლიდერია!

## თარხნიშვილი ლატვიის ჩემპიონი გახდა, ძალამიძე წლის ბოლომდე ვერ ითამაშებს, ებრალიძე გააძევეს

**წინა კვირას ქართველმა ლეგიონერებმა 7 გოლი გაიტანეს და კიდევ ბევრჯერ გამოიჩინეს თავი საგოლე პასებით. აი, ასეთი ხვავრიელი უქმეების შემდეგ ამ შაბათ-კვირას ერთ ჩვენებურსაც არ გაუტანია, მეტიც, საგოლე პასიც კი არ გაუკეთებია.**

### ავთოს პირველი გაძევება

ბუნდესლიგის ყველაზე ხანდაზმული - მინდვრის მოთამაშე, 36 წლის **ლევან კობიაშვილი** მორიგ ტურს დააკლდა - „ჰოფენჰაიმთან" საგარეო მატჩში („ჰერტამ" მოიგო 3:2) **იოს ლუჰუკაიმ** ის არ წაიყვანა. ამ სეზონში „კობის" ანგარიშზე მხოლოდ 2 თამაშია. II ბუნდესლიგაში **ლევან ყენია** სათადარიგო იყო, ხოლო მისმა „ფორტუნამ" „ზანდჰაუზენს" 1:0 მოუგო.

III ბუნდესლიგაში „უნტერჰახინგმა" 4:0 გაანადგურა „შტუტგარტის" მეორე გუნდი . გამარჯვებულთა რიგებში **ლუკას ჰუფნაგელი** 83-ე წუთზე შეცვალეს. „უნტერჰახინგი" 27 ქულით III ადგილზეა.

პორტუგალიის თასის მორიგი, მე-4 რაუნდი გაიარა „ჟილ ვისენტემ". „კოვა პეიდადესთან" შეხვედრა 0:0 დასრულდა, პენალტების სერია კი ელიტის წარმომადგენელმა 4:3 მოიგო. მაგრამ ამ სერიამდე ველარ მიაღწია **ავთანდილ ებრალიძემ**, 92-ე წუთზე ქართველი მსაჯმა მოედნიდან გააძევა.

ჰოლანდიაში „ვიტესმა" 3:1 მოუგო „უტრეხტს" და „ფეიენოორდი"-"ალკმაარის" მატჩის დასრულებამდე ცხრილს სათავეში ჩაუდგა. 86-ე წუთამდე ანგარიში 1:1 იყო, შემდეგ კი მასპინძლებმა ორი გოლი გაიტანეს. თავიდან ბოლომდე ითამაშა კაპიტანმა **გურამ კაშიამ**, ხოლო „აიაქსთან" თამაშის გმირი **ვალერი ყაზაიშვილი** მოედანზე 66-ე წუთზე გამოჩნდა. კვლავ არ მიეცა თამაშის საშუალება **გიორგი ჭანტურიას**. ვინაიდან, „ალკმაარმა" „ფეიენოორდთან" ფრედ (2:2) ითამაშა ამ ტურში, **მერაბ ჟორდანიას** კლუბი პირველ ადგილზე გადავიდა - პირველად, ამ სეზონში.



გურამ კაშია

### არველაძის ზედიზედ მეხუთე

რუსეთის პრემიერლიგის მე-16 ტური პარასკევს დაიწყო - **ჯანო ანანიძის** „როსტოვმა" სტუმრად 4:1 გაანადგურა „ურალი". ქართველს საგოლე მომენტებში მონაწილეობა არ მიუღია, „ჩემპიონატმა" მისი თამაში 6 ბალით შეაფასა. **ალექსანდრე ამისულაშვილის** „კრილია სოვეტოვი" შინ 1:2 დამარცხდა მოსკოვის „დინამოსთან". ჩვენებურმა შეუცვლელად ითამაშა და „ჩემპიონატისგან" 5 ბალი მიიღო.

პერმში „ამკართან" 0:1 დამარცხდა ბოლოადგილოსანი „ანჟი", რომლის შემადგენლობაშიც შეუცვლელად ითამაშა **გია გრიგალავამ** (5,5 ბალი). **სოლომონ კვირკველიამ** 90 წუთი ითამაშა „კრასნოდართან". ქართველი მცველის „რუბინი" კი შინ 0:1 დამარცხდა.

რუსეთის I დივიზიონში 23-ე ტურის მატჩები გაიმართა. **დავით სირაძისა** და **გუჯა რუხაიას** „ნალჩიკმა" 2:0 მოუგო „სიბირს". რუხაია ბოლო წამებზე გამოჩნდა, სირაძე კი განაცხადში არ იყო. სარანსკის „მორდოვიამ" **აკაკი ხუბუტიას** გარეშე მოუგო „სკა ენერგიას" - 1:0. წაგებულთა რიგებში **გოგიტა გოგუამ** 90 წუთი ითამაშა (გააფრთხილეს).

წინა ტურში სენსაციის მომხდენი „ზორია" (კიევის „დინამოს" მოუგო) შინ „ტავრიას" დაუზავდა - 0:0. მასპინძელთა რიგებში **ჯაბა ლიპარტია** 56-ე წუთზე გამოჩნდა, მატჩის ბოლოსკენ კი ყვითელი ბარათი მიიღო. **ჯაბა კანკავას** და **სანდრო კობახიძის** „დნიპროს" თამაშმა არ მოუწია, რადგან მათი მეტოქე „არსენალი" დაიშალა.

თურქეთის სუპერლიგაში ძალიან უჭირს **ზურაბ ხიზანიშვილის** „ქაისერისფორს" - 6 ქულით ბოლო ადგილზეა. შაბათს „ქაისერი" შინ 0:3 განადგურდა „ბეშიქთაშთან". ხიზანიშვილი 84-ე წუთზე შეცვალეს. სამაგიეროდ, დიდებულად თამაშობს **შოთა არველაძის** „ქასიმფაშა" - ზედიზედ მე-5 მატჩი მოიგო ჩემპიონატში და 24 ქულით მეორე ადგილზეა. „ქასიმფაშამ" „გაზიანთეფი" 3:0 გაანადგურა.

ხორვატიაში, „ისტრასთან" 2:0-ზე მოგებულ მატჩში, ტრავმის გამო არ უთამაშია „ჰაიდუკის" შემტევ **გიორგი ილურიძეს**.

პარასკევს „იაგელონია" „ზავიშას" მატჩში ქართული დუეტიდან მხოლოდ **გიორგი ფოფხაძემ** ითამაშა. ეს შეხვედრა 1:1 მორჩა, ხოლო გიორგიმ 90 წუთი დაყო მოედანზე (გააფრთხილეს). სამწუხაროდ, ცუდი ამბავი გვაქვს „იაგელონიას" მეორე ქართველზე - ახლახან გამოჯანმრთელებულმა **ნიკა ძალამიძემ** მუხლი დაიზიანა და წლის ბოლომდე იძულებით დაისვენებს.

**ლადო დვალიშვილმა** 90 წუთი ითამაშა, მისმა „ლეგიამ" კი სტუმრად „ვიძევი" დამაარცხა (1:0) და ლიდერობა განიმტკიცა. გუშინდელ შეხვედრაში ლადოს თავი არაფრით გამოუჩენია.

### ქართველ მწვრთნელთა დუელი

კვიპროსში **შოთა გრიგალაშვილის** „ანორთოსისი" ლიმასოლის აელ-თან დამარცხდა - 1:3. ქართველს არ უთამაშია.

ბელარუსში „ბრესტმა" სტუმრად 4:0 დაამარცხა „ბელშინა". ამ გამარჯვებით **უჩა გოგოლაძის** გუნდმა დიდი ნაბიჯი გადადგა გადარჩენისკენ. ჩემპიონატის დასრულებამდე 2 ტური რჩება.

აზერბაიჯანში ქართველ მწვრთნელთა დაპირისპირება ფრედ დასრულდა: **კახა ცხადაძის** „ინტერმა" **გიორგი ჩიხრაძის** „სიმურგს" ვერ მოუგო - 0:0. ცხადაძემ „ინტერის" ოთხივე ქართველი სასტარტოში დააყენა: **გიორგი ლომაია** კარში შეუცვლელად იდგა, **ლაშა სალუქვაძე** შესვენებისას გამოცვალეს, **ალექსანდრე იაშვილი** - მე-80 წუთზე, **ბაჩანა ცხადაძე** კი - 89-ეზე. აზალ-ს სტუმრად დაუზავდა ლიდერი „ყარაბაღი", რომლის რიგებშიც შეუცვლელად ითამაშა **ნიკოლოზ გელაშვილმა**. ამჯერად მას თავი არ გამოუჩენია.

### ჩემპიონი და ბოლოადგილოსნები

დასრულდა ლატვიის ვირსლიგა და „ვენტსპილსთან" ერთად, ჩემპიონის ტიტული **თორნიკე თარხნიშვილმაც** მოიპოვა. ბოლო ტურში „ვენტსპილსმა" 1:0 მოუგო რიგის „დაუგავას". ამ შეხვედრაში წაგებულთა შორის 55-ე წუთამდე ითამაშა **გიორგი დიაკვნიშვილმა**, ხოლო გამარჯვებულებში 87-ე წუთზე გამოჩნდა თარხნიშვილი. ჩემპიონატი მან ბოლო წამებზე მიღებული ყვითელი ბარათით დაასრულა. 23 წლის ნახევარმცველმა 21 თამაშში 3 გოლი გაიტანა. ის ლატვიაში ბოლნისის „სიონიდან" გადავიდა. „ვენტსპილსი" მეხუთედ გახდა ლატვიის ჩემპიონი.

**თამაზ პერტიას** „სკონტო" ვერცხლის მედლებს დასჯერდა - ბოლო ტურში ქართველი მწვრთნელის გუნდი შინ „იელგავასთან" 0:2 დამარცხდა. „სკონტოს" რიგებში 51-ე წუთამდე გაისარჯა **ირაკლი კლიმიაშვილი**, ხოლო **ლადო დათუნაშვილი** სათადარიგო იყო.

ბოლოადგილოსანი და უკვე გავარდნილი „ილიუკსტე" შინ 2:10 შერცხვა „მეტალურგსთან". მასპინძელთა რიგებში 72-ე წუთამდე ითამაშა **გიორგი ხუმარაშვილმა**. 90-90 წუთი გაისარჯნენ **ჯემალ ჯალიაშვილი** და **გიორგი ტუხაშვილი**. „დაუგავა" „მეტას" ესტუმრა და 0:1 დამარცხდა. **ბიძინა ცინცაძე** 94-ე წუთზე გააძევეს, ხოლო „დაუგავას" მეორე ქართველმა **მამუკა ლონლაძემ** მეორე ტაიმი ითამაშა. **გიორგი ჩიხრაძე** განაცხადში არ იყო. ქართველთა ამ სამეულმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

ჩემპიონატი დასრულდა ლიტვაშიც. ყველაზე „ქართულმა" გუნდმა „ბანგამ" მე-6 ადგილი დაიკავა. ბოლო ტურში ის „ატლანტასს" ესტუმრა და 1:1 ითამაშა. **თამაზ ჩარგეიშვილი** სასტარტოში იყო. 88-ე წუთზე ის **ვაჟა ბედოიძემ** შეცვალა. სხვა ქართველებს არ უთამაშიათ.

ბოლო ადგილზე გავიდა „ტაურასი", რომელმაც ბოლო ტურში 0:1 წააგო „ეკრანასთან". **ირაკლი თვალავაძემ** წაგებულთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა. „ტაურასი" არ გავარდება, რადგან 9-გუნდიან ჩემპიონატს გაისად I ლიგის გამარჯვებული „გრანიტასი" დაემატება.

ჩემპიონატი ესტონეთშიც მორჩა - **თენგიზ ეთერიას** „პაიდემ" მე-5 ადგილი დაიკავა. ბოლო ტურში ამ გუნდმა „კალევს" 1:0 მოუგო. ეთერია მოედანზე 65-ე წუთზე გამოჩნდა.

უზბეკეთის ჩემპიონატი მე-4 ადგილზე დაასრულა **კახა მახარაძის** „ფახთაქორმა". ბოლო ტურში ტაშკენტური კლუბი სტუმრად „ნავბახორს" დაუზავდა - 2:2. ჩვენებურმა სრულად ითამაშა. 26 წლის ქართველმა ჯამში 24 თამაშში მიიღო მონაწილეობა და 6 გოლი გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XIII ტური

# რეალის მორიგი შოუ

**„რეალმა“ „რეალ სოსიედადი“ მიწასთან გაასწორა, „ვალენსიამ“ მორიგი უსახური მატჩი ჩაატარა, „ბილბაოს“ კი ძალიან გაუჭირდა. ტურის ერთ-ერთი მთავარი მატჩი „ელ მადრიგალზე“ შედგა, სადაც „სამეფო კლუბის“ მსგავსად, ქულები „ატლეტიკომაც“ დაკარგა. „ბარსელონამ“ კი ტურის ბოლო შეხვედრაში ქულები არა, მაგრამ ლიონელ მესი დაკარგა - არგენტინელმა ტრავმა მიიღო.**

## კმაყოფილი კარლო

მადრიდის „რეალმა“ მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა და „რეალ სოსიედადი“ დიდი ანგარიშით დაამარცხა. **კარლო ანჩელოტის** შეგირდებმა შეხვედრის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყვიტეს და მეტოქეს ოთხი უპასუხო ბურთი გაუტანეს. **კრიშტიანო რონალდომ** მორიგი ჰეთთრიქი შეასრულა, **ქარიმ ბენზემამ** კი გოლს საგოლე პასიც დაუმატა. არ გაუტანია **გარეთ ბეილს**, თუმცა უელსელი აქტიური იყო და 36-ე წუთზე **სამი ხედირამ** თავი სწორედ მისი გადაცემით გამოიჩინა. სხვათა შორის, გერმანელმა „მაგიური ტრიოს“ შესანიშნავი სვლა შეწყვიტა: ხედირას გოლამდე, „რეალის“ ბოლო 15 ბურთის ავტორი სწორედ სამეულის წევრები იყვნენ.

ყველა ტურნირზე ჩატარებულ ბოლო 4 შეხვედრაში „სამეფო კლუბმა“ 17 გოლი გაიტანა და აქედან 16 BBC-რონალდოს ანგარიშზეა. სწორედ ასე შეარქვეს ბეილის, ბენზემას და კრიშტიანო რონალდოს ტრიოს. ამ უკანასკნელმა 17-დან 9 საკუთარ ანგარიშზე ჩაიწერა და ლა ლიგის ბომბარდირთა დავაშიც დაწინაურდა. 16 გოლი ჩემპიონატში, 8 ჩემპიონთა ლიგაში - რონალდო საოცარ ფორმაშია.

*„ძალიან კარგად ვითამაშეთ. მეტოქე თავიდანვე წნეხში მოვაქციეთ და სწრაფი გოლიც გავიტანეთ. განსაკუთრებით კარგი პირველი ტაიმი იყო, 4:0-ის შემდეგ კი ოდნავ მოვეშვით, რაც გასაკვირი ნამდვილად არაა. ბოლოსკენ კი ისევ მოვუმატეთ და შეხვედრაც მაღალ ტემპში დავასრულეთ. ვცდილობ, რომ გუნდს დავეხმარო და გადამწყვეტი გოლები გავიტანო, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ გუნდმა მოიგოს და წინ იაროს. თანდათან უფრო და უფრო უკეთ გამოვიყურებით,“* - განაცხადა მატჩის გმირმა.

კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ ხედირას და აღვნიშნოთ, რომ „რეალის“ ნახევარმცველმა სეზონში თავისი პირველი, სულ კი ლა ლიგაში მეექვსე გოლი გაიტანა და აქედან 3-ჯერ 26 წლის ფეხბურთელმა თავი სწორედ „სოსიედადთან“ შეხვედრებში გამოიჩინა - შარშან, ხედირამ ბასკებს ორივე შეხვედრაში (4:3 მადრიდში, 3:3 - სან სებასტიანში) თითო გოლი გაუტანა.

შეხვედრის შემდეგ კმაყოფილი იყო **კარლო ანჩელოტიც**: *„პირველ ტაიმში გუნდმა იდეალურად ითამაშა. ბევრს ვმოძრაობდით, დაცვიდან შეტევაში სწრაფად გადავდიოდით და სახიფათო მომენტებსაც ვქმნიდით“.*

ცალკე აღნიშვნის ღირსია **ჩაბი ალონსოს** ბრწყინვალე თამაში. ბასკი ფეხბურთელი მოედნის ცენტრის ბატონ-პატრონი იყო და პრაქტიკულად ყველა შეტევას სწორედ ის იწყებდა.

## ვალვერდეს ოქროს ცვლილებები

ძალიან გაუჭირდა ბილბაოს „ატლეტიკს“, რომელიც ახალ საშინაო არენაზე პირველ მარცხთან საკმაოდ ახლოს იყო. „ლევანტე“ **დავიდ ბარალმა** პირველი ტაიმის ბოლოსკენ დააწინაურა და ტაიმიც ასე დასრულდა. მეორე ნახევრის დებიუტში კი მოედანზე **მიკელ რიკო** და **არიც ადურისი** გამოჩდნენ. ცვლილებებმა **ერნესტო ვალვერდეს** 100 პროცენტით გაუმართლა. 72-ე წუთზე სხვაობა მიკელ რიკომ შეამცირა, მატჩის დასრულებამდე 6 წუთით ადრე კი თავურით ადურისმა იხეირა და „ატლეტიკს“ უმძიმესი 3 ქულა მოუტანა. ბოლო წუთზე მატჩის გმირმა დაუმსახურებელი წითელი ბარათი მიიღო, თუმცა „ბაყაყებს“ ანგარიშის შესაცვლელად დრო არ დარჩათ.

„სელტამ“ „ბალაიდოსზე“ ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო, თანაც **ლუის ენრიკეს** შეგირდებს შინ გოლი უკვე 5 მატჩია არ გაუტანიათ! საკუთარ მოედანზე უკანასკნელი გოლი ვიგოელებმა 31 აგვისტოს, „გრანადასთან“ გაიტანეს (1:1), როდესაც თავი **რაფაელ ალკანტარამ** გამოიჩინა.

შელახულ და ყანას დამსგავსებულ მოედანს ალლო უფრო უკეთ მადრიდელებმა აუღეს და 24-ე წუთზე **ხონათან ვიერას** გოლით დაწინაურდნენ კიდეც, მეორე ტაიმში კი საგოლე შეტევა ცვლილებაზე შემოსულმა **ხოაკინ ლარივეიმ** დაასრულა და სეზონში თავისი მეორე გოლი გაიტანა.

## ანდალუსიელი არაბი

ანდალუსიური დერბის გმირი **იუსეფ ელ-არაბი** გახდა. 26 წლის მაროკოელმა „მალაგას“ სამი გოლი გაუტანა, მისმა გუნდმა კი ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო და სატურნირო ცხრილის პირველ ათეულში დამკვიდრდა, თავად ფეხბურთელი კი ბომბარდირთა დავაში გაერია. ელ-არაბი არ იყო ერთადერთი არაბი, რომელმაც თავი გამოიჩინა - ორი საგოლე პასი ალჟირელმა **იასინ ბრაჰიმიმ** მიითვალა, **ჰასან იებდამ** კი სტუმართა შემტევები არ გაახარა.

კიდევ ერთმა ანდალუსიურმა გუნდმა კი კატალონიაში ითამაშა და შინ სამი ქულა წაიღო. **ფედერიკო ფასიომ** და **ვიტოლომ** პირველ ათ წუთში ორი გოლი გაიტანეს და სტუმრებს უდიდესი უპირატესობა მოუპოვეს. მართალია, **სერხიო გარსიამ** სხვაობა შეამცირა, მაგრამ მეორე ტაიმის დებიუტში **კარლოს ბაკას** საგოლე დარტყმამ ყველაფერი გადაწყვიტა. „სევილიამ“ სტუმრად პირველი თამაში მოიგო, ხოლო „ესპანიოლს“ უკვე ოთხი ტურია არ უმარჯვია.

## ჯუკიჩმა ყოფილ გუნდს ვერ მოუგო

„ვალენსიამ“ კიდევ ერთი უფერული მატჩი ჩაატარა და „ვალიადოლიდთან“ მხოლოდ ქულას გამორჩა. **მიროსლავ ჯუკიჩმა** ყოფილ გუნდს ვერაფერი დააკლო, რის გამოც სერბის მოხსნა კვლავ დღის წესრიგში უნდა დადგეს. „ლამურები“ ორჯერ აგებდნენ, მაგრამ **დორლან პაბონმა** და **სოფიან ფეგულიმ** წონასწორობა აღადგინეს, თუმცა მეტი მასპინძლებმა ვერაფერი შეძლეს და მნიშვნელოვანი ორი ქულა დაკარგეს.

ასევე, ორი ქულა დაკარგა კიდევ ერთმა ვალენსიურმა გუნდმა „ვილიარეალმა“, რომელიც „ატლეტიკოს“ მასპინძლობდა და ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერთან დიდ უპირატესობასაც ფლობდა, მაგრამ მეორე წუთზე გაშვებულ ბურთს მხოლოდ ერთით უპასუხა. გულშემატკივრებმა ორი ავტოგოლი იხილეს - „როხიბლანკო“ **მარიოს** ავტოგოლით დაწინაურდა, 79-ე წუთზე კი საკუთარ კარში **ხუანფრანმა** გაიტანა.

ამით ისარგებლა „ბარსელონამ“ და მდევართან ქულათა სხვაობა სამამდე გაზარდა. **ხერარდო მარტინოს** გუნდმა ბოლო ადგილზე მყოფი „ბეტისი“ გაანადგურა, მაგრამ კატალონიელები ბოლომდე კმაყოფილები ვერ იქნებოდნენ - **ლიონელ მესიმ** მორიგი ტრავმა მიიღო, თუმცა არგენტინელმა მოედანი დაუხმარებლად დატოვა. მისი ტრავმის სიმძიმის შესახებ გამოკვლევის შემდეგ გახდება ცნობილი.

რაც შეეხება „ბეტისს“: ანდალუსიელებმა ბოლო 6 ტურში მხოლოდ ერთი ქულა აიღეს და არაა გამორიცხული, მათი მთავარი მწვრთნელი **პეპე მელი** უკვე დღეს უმუშევარი დარჩეს.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**




კრიშტიანო რონალდოს ანგარიშზე 16 გოლია

### ოსასუნა-ალმერია 0:1

**გოლი:** 0:1 როდრი (18)

**ოსასუნა (4-2-3-1):** ანდრეს ფერნანდესი - მარკ ბერტრანი, მიგელ ფლანიო, არიბასი, დამია - ფ. სილვა, ლოე (66. ხოსე გარსია) - სეხუდო (80. პუნიალი), რ. ტორესი, ე. არმენტეროსი (46. ა. ნუნიესი) - ორიოლ რიერა

**ალმერია (5-4-1):** ესტებანი - ნელსონი, პელერანო, ტრუხილიო, ტორსილიერი, დუბარბიერი - ალექს ვიდალი (86. რაულ გარსია), ტებარი, აზიზი, სორიანო (62. ოსკარ დიასი) - როდრი (90. ელდერ ბარბოსა)

**გაფრთხილება:** დამია, ორიოლ რიერა - ტებარი, ალექს ვიდალი, ოსკარ დიასი

**კუთხური:** 12-5; **ჯარიმა:** 9-16; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 21-4 (6-2); **ბურთის ფლობა:** 68%-32%

**მაყურებელი:** 14 654

### გრანადა-მალაგა 3:1

**გოლები:** 1:0 ელ-არაბი (48), 1:1 ხუანმი (54), 2:1 ელ-არაბი (59), 3:1 ელ-არაბი (77)

**გრანადა (4-3-2-1):** რობერტო - ფულკიე, დიახატე, მურილიო, ანგულო - იტურა, იებდა (69. ფატაუ), ფრან რიკო - ბუონანოტე (61. პიტი), ბრაჰიმი - ელ-არაბი (86. რიკი)

**მალაგა (4-2-3-1):** ვ. კაბალიერო - ხესუს გამესი, სერხიო სანჩესი, ანხელერი, ანტუნეში - ტისონე, დარდერი - ოლინგა (53. ხუანმი), პორტილიო, ელიზეუ - სამუ (81. ი. კამაჩო)

**გაფრთხილება:** იებდა, ბრაჰიმი, ბუონანოტე - სერხიო სანჩესი, ხესუს გამესი, ანხელერი

**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 17-17; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 16-17 (10-7); **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 14 863

### რეალი-სოსიედადი 5:1

**გოლები:** 1:0 კრიშტიანო რონალდო (12), 2:0 ბენზემა (18), 3:0 კრიშტიანო რონალდო (26-პენ), 4:0 ხედირა (36), 4:1 გრიზმანი (61), 5:1 კრიშტიანო რონალდო (76)

**რეალი (4-3-3):** დიეგო ლოპესი - დანი კარვახალი, ვარანი, პეპე, არბელოა - ხედირა (77. ისკო), ჩაბი ალონსო (70. ილიარამენდი), მოდრიჩი - ბეილი, ბენზემა (83. მორატა), კრიშტიანო რონალდო

**სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი (59. ანსოტეგი), მ. გონსალესი, ი. მარტინესი, ხოსე ანხელი - ელუსტონდო (46. სურუტუსა), ბერგარა - ველა, ჩაბი პრიეტო, გრიზმანი - სეფეროვიჩი (46. დე ლა ბელია)

**გაფრთხილება:** პეპე, არბელოა - მ. გონსალესი

**კუთხური:** 2-7; **ჯარიმა:** 16-9; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 17-8 (8-3); **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 77 427

### ხეტაფე-ელჩე 1:1

**გოლები:** 1:0 პედრო ლეონი (18), 1:1 ბოაკი (61)

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ხუან ვალერა, ლისანდრო ლოპესი (58. ლოპო), რაფა, რ. ლაგო - ბორხა, მოსკერა - პედრო ლეონი, პ. სარაბია, დიეგო კასტრო (67. გავილანი) - მარიკა

**ელჩე (4-2-3-1):** მანუ ერერა - დ. სუარესი, ბოტია, ს. პელეგრინი, სისმა - კ. სანჩესი, რუბენ პერესი - კარლეს ხილი, ხავი მარკესი (83. მ. სტევანოვიჩი), აარონ ნიგესი (71. ფიდელი) - ბოაკი (74. კორომინასი)

**გაფრთხილება:** რ. ლაგო, ბორხა, რაფა - დ. სუარესი, სისმა, რუბენ პერესი, აარონ ნიგესი, კ. სანჩესი, მ. სტევანოვიჩი

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 7-1; **კარში დარტყმა:** 10-10 (2-5); **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 7 000

### ბილბაო-ლევანტე 2:1

**გოლები:** 0:1 ბარალი (34), 1:1 მიკელ რიკო (72), 2:1 ადურისი (84)

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, გურპეგი, ლაპორტი, დე მარკოსი - იტურასპე, ბენიატი (46. ადურისი) - სუსაეტა, მუნიაინი (46. მიკელ რიკო), იბაი გომესი - გილერმო (69. ტოკერო)

**ლევანტე (4-2-3-1):** კ. ნავასი - პედრო ლოპესი, ელ ადუა, ექტორ როდასი, ხუანფრანი - პ. დიოპი (88. ნონგი), სიმაო ჟუნიორი - სუმეტრა, ივანშიტცი (64. კარაბელასი), რუბენ გარსია - ბარალი (76. ელ ჟარი)

**გაფრთხილება:** ლაპორტი, ბენიატი, დე მარკოსი - პედრო ლოპესი, ივანშიტცი, ექტორ როდასი, პ. დიოპი, ნონგი

**გაძევება:** ადურისი (90. ბილბაო)

**კუთხური:** 11-2; **ჯარიმა:** 19-24; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 21-7 (9-3); **ბურთის ფლობა:** 63%-37%

**მაყურებელი:** 35 000

### სელტა-ვალეკანო 0:2

**გოლები:** 0:1 ხ. ვიერა (24), 0:2 ლარივეი (72)

**სელტა (4-3-2-1):** იოელი - უგო მალიო, დავიდ კოსტასი (74. კასტრო), ფონტასი, ტონი - ა. ფერნანდესი, ბორხა ოუბინია (68. კრონ-დელი), ალექს ლოპესი - სანტი მინა (57. რაფაელ ალკანტარა), ნოლიტო - შარლესი

**ვალეკანო (4-2-3-1):** რუბენი - ტიტო, გალვესი, არბილია, ნაჩო მარტინესი - ტრაშორასი, საულ ნიგესი - ლ. ბანგურა (76. მოხიკა), ა. ბუენო (55. ლარივეი), იაგო ფალკე (69. ადრი ემბარბა) - ხ. ვიერა

**გაფრთხილება:** ნოლიტო, ბორხა ოუბინია, კრონ-დელი - გალვესი, იაგო ფალკე

**კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 16-19; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 14-16 (4-4); **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 20 696

### ესპანიოლი-სევილია 1:3

**გოლები:** 0:1 ფასიო (4), 0:2 ვიტოლო (10), 1:2 სერხიო გარსია (24), 1:3 ბაკა (59)

**ესპანიოლი (4-3-2-1):** კასილია - ხავი ლოპესი, სიდნეი, ე. მორენო, ხუან ფუენტესი - რაულ როდრიგესი, აბრაამი (46. ჯ. კორდობა), ვიქტორ სანჩესი - ლანსაროტე (51. ტიევი), სიმაო (70. პიცი) - სერხიო გარსია

**სევილია (4-2-3-1):** ბეტუ - დ. ფიგეირაში, ფასიო, პარეხა (54. კრისტოფორო), ა. მორენო - იბორა, კარიკო - ხაირო სამპეირო (76. პეროტი), რაკიტიჩი, ვიტოლო (90. რეიესი) - ბაკა

**გაფრთხილება:** სიდნეი, ხავი ლოპესი, ვიქტორ სანჩესი

**გაძევება:** ვიქტორ სანჩესი (85. ესპანიოლი)

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 19-11; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 15-12 (2-4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 21 000

### ვალენსია-ვალიადოლიდი 2:2

**გოლები:** 0:1 ხავი გერა (9), 1:1 პაბონი (29), 1:2 გ. გარსია (50), 2:2 ფეგული (76)

**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა - ბარაგანი, რ. კოსტა, მატიო, ბერნატი - ხავი ფუეგო, პარეხო - პაბონი, ბანეგა (46. კანალესი), პიატი (58. ფეგული) - პაკო ალკასერი (73. ელდერ პოსტიგა)

**ვალიადოლიდი (4-3-2-1):** დიეგო მარინიო - გ. გარსია, ხესუს რუედა, მარკ ვალიენტე, პენია - სასტრე, ფ. როსი, ა. რუბიო (87. ბარახა) - დ. ლარსონი (82. ოსორიო), ბერგდიხი (78. რამა) - ხავი გერა

გამოუყენებელ პენალტი: ბანეგა (5. ვალენსია)

**გაფრთხილება:** პაკო ალკასერი - დიეგო მარინიო, ა. რუბიო, ხესუს რუედა, ფ. როსი, სასტრე

**კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 8-17; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 19-11 (6-6); **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 27 000

### ვილიარეალი-ატლეტიკო 1:1

**გოლები:** 0:1 მარიო (2-საკ. კარში), 1:1 ხუანფრანი (79-საკ. კარში)

**ვილიარეალი (4-4-2):** ასენხო - მარიო, მუსაჩიო, გაბრიელ პაულისტა, ხაუმე კოსტა - ე. პერესი (61. ხ. აკინო), პინა (60. ტრიგეროსი), ბრუნო, კანი - ი. უჩე, ხ. პერეირა (74. პერბე)

**ატლეტიკო (4-4-2):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, ალდერვეირელდი, ე. ინსუაი - რაულ გარსია (62. არდა თურანი), ტიაგო, გაბი, კოკე - ვილია, დიეგო კოშტა (82. ადრიანი)

**გაფრთხილება:** ბრუნო, ხაუმე კოსტა, პერბე - ტიაგო, გაბი, რაულ გარსია, კოკე

**კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 14-22; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 15-7 (3-?1); **ბურთის ფლობა:** 66%-34%

**მაყურებელი:** 20 832

### ბეტისი-ბარსელონა 1:4

**გოლები:** 0:1 ნეიმარი (36), 0:2 პედრო (37), 0:3 ფაბრეგასი (63), 0:4 ფაბრეგასი (79), 1:4 ხორხე მოლინა (90-პენ)

**ბეტისი (4-2-3-1):** სარა - შტაინჰოფერი, ხოსე კარო, ხორდი ფიგერასი, ნაჩო - ხავი ტორესი, ნონო (75. მატილია) - ვადილიო, ვერდუ (63. ჩული), ხუან კარლოსი (67. დიდაკ ვილა) - ხორხე მოლინა

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, ბარტრა, პუიოლი, მონტოია - ფაბრეგასი (80. სერხი რობერტო), ა. სონგი, ჩავი - პედრო, მესი (22. ინიესტა), ნეიმარი (73. ტელიო)

**გაფრთხილება:** ხუან კარლოსი, ნონო, ხავი ტორესი - ვალდესი, დანი ალვეში

**კუთხური:** 9-0; **ჯარიმა:** 18-10; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 15-10 (5-8); **ბურთის ფლობა:** 43%-57%

**მაყურებელი:** 35 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 13 | 12 | 1 | 0 | 38-8 | 37 |
| 2. ატლეტიკო | 13 | 11 | 1 | 1 | 31-9 | 34 |
| 3. რეალი | 13 | 10 | 1 | 2 | 35-17 | 31 |
| 4. ვილიარეალი | 13 | 7 | 3 | 3 | 21-13 | 24 |
| 5. ბილბაო | 13 | 7 | 2 | 4 | 20-18 | 23 |
| 6. ხეტაფე | 13 | 6 | 2 | 5 | 17-14 | 20 |
| 7. სოსიედადი | 13 | 4 | 5 | 4 | 19-17 | 17 |
| 8. გრანადა | 13 | 5 | 2 | 6 | 11-13 | 17 |
| 9. ვალენსია | 13 | 5 | 2 | 6 | 17-21 | 17 |
| 10. ლევანტე | 13 | 4 | 5 | 4 | 13-17 | 17 |
| 11. სევილია | 13 | 4 | 4 | 5 | 23-26 | 16 |
| 12. ესპანიოლი | 13 | 4 | 3 | 6 | 13-18 | 15 |
| 13. ელჩე | 13 | 3 | 5 | 5 | 13-17 | 14 |
| 14. მალაგა | 13 | 3 | 4 | 6 | 15-19 | 13 |
| 15. ვალიადოლიდი | 13 | 2 | 6 | 5 | 16-20 | 12 |
| 16. სელტა | 13 | 3 | 3 | 7 | 14-18 | 12 |
| 17. ალმერია | 13 | 3 | 3 | 7 | 15-24 | 12 |
| 18. ვალეკანო | 13 | 4 | 0 | 9 | 12-30 | 12 |
| 19. ოსასუნა | 13 | 3 | 1 | 9 | 10-22 | 10 |
| 20. ბეტისი | 13 | 2 | 3 | 8 | 12-24 | 9 |

**ბომბარდირები:** 16 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 13 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 8 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი), ლიონელ მესი (ბარსელონა);

### მომდევნო ტური:

22 ნოემბერი: ვალიადოლიდი-ოსასუნა

23 ნოემბერი: ბარსელონა-გრანადა, სოსიედადი-სელტა, ალმერია-რეალი, ატლეტიკო-ხეტაფე

24 ნოემბერი: ლევანტე-ვილიარეალი, ვალეკანო-ესპანიოლი, ელჩე-ვალენსია, სევილია-ბეტისი

25 ნოემბერი: მალაგა-ბილბაო

### სეგუნდა დივიზიონი. XIII ტური

**ბარსელონა B-ხაენი 0:3**

გოლები: 0:1 ფრან მაჩადო (11), 0:2 მეხია (42), 0:3 ვიქტორ კურტო (87-პენ)

**ლუგო-მურსია 1:1**

გოლები: 0:1 საულ ბერხონი (58), 1:1 კარლოს პიტა (81)

**სარაგოსა-ნუმანსია 1:2**

გოლები: 1:0 ა. ენრიკესი (53), 1:1 ხ. ალვარესი (80-პენ), 1:2 გაფური (83)

**ერკულესი-ლას პალმასი 2:1**

გოლები: 0:1 ქრისანტუსი (18), 1:1 პაჯიჩი (30), 2:1 ა. სისოკო (47)

**უელვა-დეპორტივო 0:1**

გოლი: 0:1 ინსუა (79)

**მირანდესი-ჟირონა 1:2**

გოლები: 0:1 ამაგატი (12), 0:2 ფელიპე სანჩონი (33), 1:2 სესარ კანედა (65)

**სპორტინგი-საბადელი 3:1**

გოლები: 0:1 ფერნანდო ლორენტე (31), 1:1 შჩეპოვიჩი (65-პენ), 2:1 ლეკიჩი (81), 3:1 ალექს ბარერა (89)

**ტენერიფე-ეიბარი 2:0**

გოლები: 1:0 ინიგო როსი (41), 2:0 აიოსე პერესი (59)

**რეალი B-ალავესი 1:0**

გოლი: 1:0 ომარ მასკარელი (34-პენ)

**მალიორკა-პონფერადინა 2:2**

გოლები: 1:0 ოსკარ რამირესი (5-პენ), 1:1 ფოფო (21), 2:1 ვიქტორი (31), 2:2 იური (84)

**ალკორკონი-კორდობა 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უელვა | 13 | 8 | 2 | 3 | 25-17 | 26 |
| 2. დეპორტივო | 13 | 7 | 2 | 4 | 12-7 | 23 |
| 3. ლუგო | 13 | 6 | 4 | 3 | 17-12 | 22 |
| 4. ნუმანსია | 13 | 5 | 6 | 2 | 17-13 | 21 |
| 5. სპორტინგი | 13 | 5 | 5 | 3 | 21-17 | 20 |
| 6. მურსია | 13 | 5 | 5 | 3 | 20-17 | 20 |
| 7. კორდობა | 13 | 5 | 5 | 3 | 13-10 | 20 |
| 8. ლას პალმასი | 13 | 5 | 5 | 3 | 13-11 | 20 |
| 9. პონფერადინა | 13 | 5 | 4 | 4 | 20-14 | 19 |
| 10. ჟირონა | 13 | 5 | 4 | 4 | 16-16 | 19 |
| 11. ეიბარი | 13 | 5 | 4 | 4 | 12-13 | 19 |
| 12. მირანდესი | 13 | 5 | 3 | 5 | 11-12 | 18 |
| 13. მალიორკა | 13 | 5 | 3 | 5 | 16-23 | 18 |
| 14. ხაენი | 13 | 5 | 2 | 6 | 18-20 | 17 |
| 15. სარაგოსა | 13 | 4 | 4 | 5 | 19-17 | 16 |
| 16. ალკორკონი | 13 | 4 | 3 | 6 | 8-7 | 15 |
| 17. საბადელი | 13 | 4 | 3 | 6 | 14-16 | 15 |
| 18. ტენერიფე | 13 | 4 | 3 | 6 | 11-14 | 15 |
| 19. ალავესი | 13 | 3 | 5 | 5 | 19-19 | 14 |
| 20. ბარსელონა B | 13 | 4 | 1 | 8 | 11-19 | 13 |
| 21. ერკულესი | 13 | 2 | 6 | 5 | 12-21 | 12 |
| 22. რეალი B | 13 | 2 | 1 | 10 | 7-17 | 7 |

**ბომბარდირები:** 10 - შჩეპოვიჩი (სპორტინგი); 9 - მეხია (ხაენი), ვიგერა (ალავესი); 8 - არანა (უელვა), ფოფო (პონფერადინა), კიკე (მურსია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საფრანგეთი. ლიგა 1. XIII ტური

# იადონებმა ბუდე გაიკეთეს

## რენი ქარმა წაიღო

### ზლატანი

პსჟ სანაკრებო პაუზაზე გულდამშვიდებული გავა. **ლორან ბლანის** გუნდმა „ანდერლეხტთან" ვერმოგების ჯავრი „ნიცაზე" იყარა, რომელსაც ცალი ფეხით გაუსწორდა და იმის წყალობით, რომ უშუალო კონკურენტებმა „იყოჩალეს", მდევრებთან სხვაობაც კიდევ უფრო გაზარდა.

„ნიცა" შეხვედრის დებიუტში კინალამ დაწინაურდა და მერე, მეტოქეს დიდი ხანი უძალიანდებოდა, მაგრამ 39-ე წუთზე მაინც გატყდა - **გრეგორი ვან დერ ვილმა** თავის მარჯვენა ფლანგზე გაინავარდა და მორიგი საგოლე პასი მიითვალა, **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა დავიდ ოსპინას** არყოფნაში ნიცელთა კარში ჩამდგარ **ლუკა ვერონეზეს** დაასწრო.

სხვაობა იმავე იბრაჰიმოვიჩის ჯადოქრობის წყალობით გაიზარდა - მან დიდებული, დახვეწილი პასი გაუკეთა **ედინსონ კავანის**, ვერონეზეს აქაც დაასწრეს და სტუმართა გოლკიპერმა ურუგვაელი მოცელა. პენალტის ნიშნულთან არა კავანი, არამედ ზლატანი მივიდა და უნაკლოდ დაარტყა.

სტუმრებმა პსჟ-ს ოდნავ მოდუნებაც კი არ აპატიეს და სხვაობა შეამცირეს, მაგრამ პარიზელებმა ისინი უმალვე თავის ადგილას დააყენეს - შეცვლაზე წუთის შემოსულმა **ლუკასმა** ფლანგზე იცელქა და იბრაჰიმოვიჩს ჩაუწოდა, რომელმაც ჰეთთრიქი გაიფორა. ეს ლუკასის მეოთხე საგოლე პასიიყო, იგი გუნდის საუკეთესო მეპასეა. ხოლო იბრამ მერვე გოლი გაიტანა, ცოტაც და ის ბომბარდირთა სიის სათავეში აღმოჩნდება.

*„პირველ 5 წუთში „ნიცას" გატანა შეეძლო. თუმცა ამის შემდეგ მატჩის მსვლელობას ჩვენ ვაკონტროლებდით. მინდვრის საფარი არც ისე კარგ მდგომარეობაში იყო. ეს ხელის შემშლელი ფაქტორი გახლდათ. მშვენიერი სალამო გამოვიდა სანაკრებო პაუზის წინ,"* - თქვა ბლანმა.

„ნიცას" თავკაცი **კლოდ პუელი**: *„თამაშით კმაყოფილი ვარ, გვქონდა მომენტებიც და შემართებაც მომეწონა. წავაგეთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემი ახალგაზრდა გუნდისთვის ეს მატჩი ძალიან სასარგებლო იყო".*

### კეთილი და პატიოსანი

„მონაკო" საკუთარ „ლუი მეორეზე" ძალიან მძიმედ გამოიყურება და ნელნელა კრიზისზეც იწყება ლაპარაკი. გუნდს ვერც **ემანუელ რივიერის** დაბრუნებამ უშველა. **კლაუდიო რანიერი** წესიერი, კეთილი და პატიოსანი კაცია, უპრობლემოდ აღიარა წაგება გვეკუთვნოდაო. „ევიანი" იგებდა კიდეც, გოლი გუნდის დაუღალავმა დანიელმა გარემარბმა **დანიელ ვასმა** გაიტანა **მოდუ სუგუს** პასით. თუმცა „მონაკომ" მალევე გაათანაბრა, კლასისა და ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე - **ჯეიმს როდრიგესმა რადამელ ფალკაოს** მე-9 გოლი გაატანინა, რომელიც კავანისთან ერთად ბომბარდირთა სიაში გაალიდერა. როდრიგესი კი მეპასეთა რეიტინგშია პირველი 5 საგოლე გადაცემით. სტუმართა მხრიდან მარტო სუგუს რამდენჯერმე უნდა გაეტანა, მაგრამ სენეგალელმა ვერ იხეირა. მონაკოელებმა კი მეტოქეს კარში სულ ორჯერ დაურტყეს.

*„ჩვენ ქულა მოვიპოვეთ. „ევიანს" მოგება ეკუთვნოდა, სტუმრებს 3:1 რომ მოეგოთ სამართლიანი იქნებოდა. გუნდურობა გვაკლდა და მარტო ინდივიდუალურად ვცდილობდით ფონს გასვლას, ეს კი ცუდია. მე მსურს მინდორზე მებრძოლი და შემართული ჩემპიონები ვნახო ხოლმე. შეიძლება ვინმე ფიქრობდა რომ ყველაფერი ადვილად იქნებოდა, მაგრამ ფეხბურთი ადვილი არ არის და სულ კონცენტრირებული უნდა იყო"* - განაცხადა რანიერიმ.

### იქით-აქეთ

ეს ტური ფრეებითა და წითელი ბარათებით დახუნძლული გამოდგა. დავიწყოთ იმით, რომ „გენგამთან" რთული გასვლა ვერ მოიგო „ლილმა", მაგრამ არც წააგო და გოლი კვლავაც არ გაუშვა. საინტერესოა, რომ ორივე მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა შედეგით. **რენე ჟირარმა** თქვა, როცა ვერ იგებ, უნდა იცოდე როგორ არ წააგოო... მას 4 წამყვანი ფეხბურთელი აკლდა და გადაადგილებები დასჭირდა. ჟირარმა თავისი შეგირდები შეაქო და ისურვა, რომ სანაკრებო პაუზის მერე ყველა მწყობრში ჰყავდეს. „ლილი", რომელმაც მატჩის ბოლო 10 წუთი რიცხობრივ უპირატესობაში ჩაატარა, მეორე ადგილზე რჩება.

უგოლობა და წითელი ბარათი იყო ლორიანშიც. ისევ არ წააგო „რეიმსმა". არადა მასპინძლები მიუხედავად იმისა რომ უპირატესობას ფლობდნენ , დაახლოებით 20 წუთი 10 კაცით მოუხდათ თამაში. რეიმსელთა ტოგოელმა მეკარე **კოსი აგასამ** მეხუთედ შეინახა კარი მშრალად, ეს გუნდის მეოთხე 0:0 იყო.

„ვალანსიენი" სწრაფი გოლის წყალობით მთელი მატჩის განმავლობაში უგებდა „მონპელიეს" და გასავარდნი ზონიდანაც ამოდიოდა, მაგრამ 91-ე წუთზე უკვე ათი კაცით დარჩენილმა სტუმრებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს და უნდა ვაღიაროთ რომ ეს სამართლიანი იყო, რადგან **ჟან ფერნანდესის** გუნდს მომენტები ჰქონდა.

„ტულუზმა" „აიაჩო" დაბომბა, მაგრამ ერთი გოლის მეტი ვერ გაუტანა, ხოლო კორსიკელებმა ერთხელ დაარტყეს და... **ალენ კაზანოვა** გაცეცხლებული იყო. „აიაჩოს" ახალი თავკაცი **კრისტიან ბრაკონი** კი პირიქით, გახარებული, მას კარგი დებიუტი გამოუვიდა.

„არმან სეზარიზე" „ბასტიამ" „ლილიდან" ნათხოვარი **ჟანი ბრუნოს** ადრეული გოლით „რენი" დასცა. ბრეტონელების თავკაცი **ფილიპ მონტანიე** მატჩის შემდეგ ყველაფერს ქარს, უიღბლობასა და მინდვრის საფარის უხარისხობას აბრალებდა. ისე კორსიკაზე მართლა სერიოზული ქარი იყო.

### კვირა

მშვენიერი სერიის მერე, „ბორდომ" ძალიან პრინციპული მატჩი წააგო **მიშელ დერ ზაქარიანის** „ნანტთან", რომელიც აღარ ხუმრობს. „იადონებმა" „შაბან დელმაზე" შთამბეჭდავად მოიგეს და მეოთხე ადგილზე კომფორტული ბუდე აქვთ გაკეთებული. ცოტაც და ისინი ნისკარტს ჩემპიონთა ლიგის ზონაში ჩაყოფენ - შემდეგ ტურში „ნანტი"-"მონაკოა". ისევ გაიტანა **ფილიპ ჯორჯევიჩმაც**. სერბს უკვე 8 გოლი აქვს, თანაც უშუალო კონკურენტებისგან განსხვავებით. ყველა თამაშიდან, არც ერთი პენალტით.

„მარსელმა" უკვე იცოდა, რომ „მონაკომ" და „ლილმა" ქულები დაკარგეს, ხოლო „ნანტმა" მოიგო და ძალიან წინ „გაიქცა". ამიტომაც, **ელი ბოპს** მოგება უკვე ორმაგად ესაჭიროებოდა. აკი გითხარით **ფლორიან ტოვენი** ბრწყინვალე ფორმაშიათქო, მან უკვე მე-4 წუთზე დააწინაურა „მარსელი". თუმცა „სოშოს" მხრიდან „საუთჰემპტონიდან" მოყვანილმა **ემანუელ მაიუკამ** გაათანაბრა და „ველოდრომი" ისევ ცრემლების ღვრისთვის ემზადებოდა სტუმართა კარში პენალტი რომ დაინიშნა. შეცვლაზე 3 წუთის შემოსულმა **ანდრე პიერ ჟინიაკმა** ზუსტად დაარტყა და მატჩის გმირადაც იქცა.

**გიორგი პაპაბაძე**



„მარსელს" ანდრე-პიერ ჟინიაკმა მოაგებინა

**მონაკო-ევიანი 1:1**

**გოლები:** 0:1 ვასი (20), 1:1 ფალკაო (27)

**მონაკო (4-3-3):** სუბაშიჩი - ფაბინიო (83. რაჯი), რ. კარვალიო, აბიდალი, კურჟავა - მოუტინიო (68. კონდოგბია), ჯ. როდრიგესი, ტულალანი - ოკამპოსი, ფერეირა კარასკო (68. რივიერი), ფალკაო

**პსჟ-ნიცა 3:1**

**გოლები:** 1:0 იბრაჰიმოვიჩი (39), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (57-პენ.), 2:1 პიეჩინოვიჩი (70), 3:1 იბრაჰიმოვიჩი (76)

**პსჟ (4-3-3):** სირიგუ - ვან დერ ვილი, ალექსი, ტიაგო სილვა, მაქსველი - მატუიდი, ტიაგო მოტა, რაბიო - პასტორე (75. ლუკასი), კავანი (79. მენეზი), იბრაჰიმოვიჩი

**ბასტია-რენი 1:0**

**გოლი:** 1:0 ჯ. ბრუნო (8)

**ლორიანი-რეიმსი 0:0**

**გაძევება:** ბარტელმე (72)

**გენგამი-ლილი 0:0**

**გაძევება:** მატის (80. გენგამი)

**ტულუზი-აიაჩო 1:1**

**გოლები:** 0:1 ლასნე (7), 1:1 სილა (42)

**ვალანსიენი-მონპელიე 1:1**

**გოლები:** 1:0 ანგუა, 1:1 სტამბული (90)
**გაძევება:** დეპლანი (74. მონპელიე)

**ბორდო-ნანტი 0:3**

**გოლები:** 0:1 ბესატი (41), 0:2 ჯილობოჯი (60), 0:3 ჯორჯევიჩი (64)

**მარსელი-სოშო 2:1**

**გოლები:** 1:0 ტოვენი (4), 1:1 მაიუკა (60), 2:1 ჟინიაკი (83-პენ.)

**მარსელი (4-2-3-1):** მანდანდა - აბდალა, ნკულუ, დიავარა, მენდი - რომაო, შეირუ (75. ხელიფა) - ვალბუენა (84. იმბულა), ტოვენი, პაიე - ჯ. აიუ (80. ჟინიაკი)

**სტ. ეტიენი-ლიონი 1:2**

**გოლები:** 0:1 ლაკაზეტი (49), 1:1 ამუმა (65), 1:2 ბრიანი (93)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 13 | 9 | 4 | 0 | 27-8 | 31 |
| 2. ლილი | 13 | 8 | 3 | 2 | 15-4 | 27 |
| 3. მონაკო | 13 | 7 | 5 | 1 | 21-11 | 26 |
| 4. ნანტი | 13 | 7 | 2 | 4 | 19-10 | 23 |
| 5. მარსელი | 13 | 6 | 3 | 4 | 18-13 | 21 |
| 6. რეიმსი | 13 | 4 | 7 | 2 | 15-12 | 19 |
| 7. ლიონი | 13 | 5 | 3 | 5 | 19-16 | 18 |
| 8. გენგამი | 13 | 5 | 3 | 5 | 16-14 | 18 |
| 9. სტ. ეტიენი | 13 | 5 | 3 | 5 | 18-17 | 18 |
| 10. ბასტია | 13 | 5 | 3 | 5 | 15-19 | 18 |
| 11. რენი | 13 | 4 | 5 | 4 | 16-13 | 17 |
| 12. ბორდო | 13 | 4 | 5 | 4 | 16-17 | 17 |
| 13. ნიცა | 13 | 5 | 2 | 6 | 14-16 | 17 |
| 14. ევიანი | 13 | 4 | 4 | 5 | 15-21 | 16 |
| 15. ტულუზი | 13 | 4 | 4 | 5 | 11-19 | 16 |
| 16. მონპელიე | 13 | 2 | 8 | 3 | 16-17 | 14 |
| 17. ლორიანი | 13 | 3 | 2 | 8 | 11-23 | 11 |
| 18. ვალანსიენი | 13 | 2 | 3 | 8 | 11-20 | 9 |
| 19. აიაჩო | 13 | 1 | 5 | 7 | 9-19 | 8 |
| 20. სოშო | 13 | 1 | 4 | 8 | 11-24 | 7 |

**ბომბარდირები:** 9 - ედინსონ კავანი (პსჟ), რადამელ ფალკაო (მონაკო); 8 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ), ფილიპ ჯორჯევიჩი (ნანტი); 7 - ნელსონ ოლივეირა (რენი), დარიო ცვიტანიჩი (ნიცა)

**მომდევნო ტური**

22 ნოემბერი. აიაჩო-მარსელი;

23 ნოემბერი. რეიმსი-პსჟ, ევიანი-ლორიანი, ლიონი-ვალანსიენი, მონპელიე-გენგამი, რენი-ბორდო, სოშო-ბასტია;

24 ნოემბერი. ლილი-ტულუზი, ნიცა-სტ. ეტიენი, ნანტი-მონაკო.

## ჰოლანდია

**ერედივიზიე. XIII ტური**

**ჰეერენვეენი-ვაალვაიკი 5:2**

**გოლები:** 1:0 ოტიგბა (34), 2:0 ფინბოგასონი (48-პენ), 3:0 ფინბოგასონი (64), 3:1 ბეგული (72), 4:1 ფინბოგასონი (79-პენ), 5:1 ზიეჩი (85), 5:2 ლამეი (88)

**როდა-იგლზი 1:4**

**გოლები:** 0:1 ანტონია (9), 0:2 ანტონია (10), 1:2 დონალდი (29), 1:3 ჰუტკოპი (34), 1:4 ფალკენბურგი (55)
**გაძევება:** 48 წთ. ვან პეპენი (როდა)

**ჰერაკლესი-გრონინგენი 0:3**

**გოლები:** 0:1 ჟივკოვიჩი (61), 0:2 კოსტიჩი (67), 0:3 კოსტიჩი (85)

**ვიტესი-უტრეხტი 3:1**

**გოლები:** 1:0 აცუ (31-პენ), 1:1 დე რიდერი (63-პენ), 2:1 ჰავენაარი (86), 3:1 დრიოპერი (90+3)

**დენ ჰააგი-კამბუური 3:0**

**გოლები:** 1:0 გერტი (13), 2:0 ვან დუინენი (32), 3:0 გერტი (71)

**ზვოლე-ტვენტე 1:1**

**გოლები:** 1:0 ფერნანდესი (49), 1:1 პრომესი (72)

**ბრედა-ეინდჰოვენი 2:1**

**გოლები:** 0:1 ლოკადია (44), 1:1 კვაკმანი (67), 2:1 კვაკმანი (80)
**ეინდჰოვენი (4-3-3):** ტიტონი - არიასი, ბრუმა, რეკიკი (70. იორგენსენი), ვილემსი (82. მატავზი) - სხაარსი, ტოივონენი, მაჰერი - ნარსინხი (62. იოზეფზონი), ლოკადია, დეპაი

**ნაიმეგენი-აიაქსი 0:3**

**გოლები:** 0:1 დე იონგი (26), 0:2 ბოილესენი (28), 0:3 დე იონგი (72)
**აიაქსი (4-3-3):** სილესენი - ვან რაინი, ველტმანი, დენსვილი, ბოილესენი - ბლინდი (50. პოულსენი), კლაასენი, სერერო - შიონი, სიგტორსონი (65. ფიშერი), დე იონგი

**ფეიენოორდი-ალკმაარი 2:2**

**გოლები:** 0:1 იოჰანსონი (17), 1:1 ტე ვრედე (48), 1:2 იმერსი (51), 2:2 იოჰანსონი (57-პენ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტესი | 13 | 7 | 3 | 3 | 25-18 | 24 |
| 2. ალკმაარი | 13 | 7 | 2 | 4 | 23-19 | 23 |
| 3. აიაქსი | 13 | 6 | 4 | 3 | 26-15 | 22 |
| 4. გრონინგენი | 13 | 6 | 4 | 3 | 28-25 | 22 |
| 5. ტვენტე | 13 | 5 | 6 | 2 | 28-12 | 21 |
| 6. ფეიენოორდი | 13 | 6 | 3 | 4 | 27-21 | 21 |
| 7. ზვოლე | 13 | 5 | 5 | 3 | 22-14 | 20 |
| 8. ეინდჰოვენი | 13 | 5 | 4 | 4 | 24-14 | 19 |
| 9. ჰეერენვეენი | 12 | 5 | 3 | 4 | 29-25 | 18 |
| 10. ბრედა | 13 | 5 | 3 | 5 | 22-18 | 18 |
| 11. როდა | 13 | 4 | 5 | 4 | 22-28 | 17 |
| 12. იგლზი | 12 | 4 | 4 | 4 | 20-29 | 16 |
| 13. უტრეხტი | 13 | 4 | 3 | 6 | 17-26 | 15 |
| 14. ჰერაკლესი | 12 | 4 | 2 | 6 | 16-22 | 14 |
| 15. დენ ჰააგი | 12 | 4 | 1 | 7 | 17-27 | 13 |
| 16. კამბუური | 13 | 3 | 3 | 7 | 11-17 | 12 |
| 17. ვაალვაიკი | 13 | 2 | 3 | 8 | 18-29 | 9 |
| 18. ნაიმეგენი | 13 | 1 | 6 | 6 | 19-35 | 9 |

**ბომბარდირები:** 14 - ალფრედ ფინბოგასონი (ჰეერენვეენი), 10 - გრაციანო პელე (ფეიენოორდი)

**ლევან ბიბილაშვილი**

● ფიფა

## ხუთი ნომინანტი სამის ნაცვლად

ფიფას პრეზიდენტმა **იოზეფ ბლატერმა** განაცხადა, რომ „ოქროს ბურთისთვის" ბრძოლაში, 9 დეკემბერს ხუთი კანდიდატის ვინაობა დასახელდება და არა სამის, როგორც ადრე იყო. გამარჯვებულის ვინაობა საზოგადოებისთვის 2014 წლის 13 იანვარს გახდება ცნობილი. .

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



გერმანია. ბუნდესლიგა. XII ტური

# დორტმუნდი კრიზისშია!

## გერმანია ბორუსია-ბაიერნის მოლოდინში გაირინდა



დორტმუნდელებმა ვოლფსბურგში სამი ქულა და დაცვის ბურჯი ნევენ სუბოტიჩი დაკარგეს

დორტმუნდის „ბორუსიას" უმნიშვნელოვანესი კვირა ჰქონდა და **იურგენ კლოპის** გუნდმა ეს გამოცდა ვერ ჩააბარა. ორი წაგება ოთხ დღეში, **ნევენ სუბოტიჩის** უმძიმესი ტრავმა, მომდევნო ტურში კი კრიზისში მყოფი დორტმუნდელები „ბაიერნს" ხვდებიან. „ბორუსიას" ფანები ამ სიტყვას გადაჩვეულები იყვნენ, მაგრამ „არსენალთან" და „ვოლფსბურგთან" წაგებული თამაშებისა და სუბოტიჩის სეზონის ბოლომდე დაკარგვა სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს, წინ კი, როგორც გითხარით, „ბაიერნთან" დუელია.

სერბი მცველი 42-ე წუთზე დაშავდა. **ივიცა ოლიჩთან** საჰაერო ორთაბრძოლის მერე მას ფეხი გადაუბრუნდა და „ბორუსიას" ბანაკში მაშინვე მიხვდნენ, რომ საქმე ცუდად იყო. ექიმებმა სუბოტიჩს რამდენიმე წუთის განმავლობაში უმკურნალეს, მერე კი მოედნიდან საკაცით გაიყვანეს, დიაგნოზი: მყესები განწყვეტილია და ნევენი ალბათ სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს.

კლოპს და მის ამალას ვოლფსბურგში ნერვები მსაჯებმაც მოუშალეს. „მგლების" მარცხენა მცველმა **როდრიგესმა** დორტმუნდელთა გოლეადორი **ლევანდოვსკი** საჯარიმოში ორჯერ დასცა, მაგრამ მსაჯ **დრეესის** სასტვენი ორივე შემთხვევაში დუმდა. „ბორუსია" პენალტს განსაკუთრებით მეორე ეპიზოდში იმსახურებდა, როცა როდრიგესმა ლევანდოვსკის ფეხი ფეხში მოარტყა და კარში არ დაარტყმევინა. შესაბამისი იყო კლოპის რეაქციაც: საფინალო სასტვენის შემდეგ იურგენი პირდაპირ დრეესთან მიიჭრა და დისკუსია სახალხოდ გაუმართა.

*„პირველი რიგში ჩემი ფეხბურთელების გამოყვანა, მსაჯისგან მოშორება მინდოდა. მერე კი დემონსტრაციულად ხელი გავუწოდე და ალბათ ამიტომაც შეეშინდა. იმ წუთასაც ვუთხარი და ახლაც ვეუბნები: დოქტორო დრეეს, მე არ ვარ დარწმუნებული, რომ... მოდით, ასე ვიტყვი: ჩემს ცხოვრებაში ამაზე გაცილებით ბედნიერი მომენტები მქონია და ამაზე უკეთესი მსაჯობაც ძალიან ბევრჯერ მინახავს,"* - მაქსიმალურად დიპლომატიური გახლდათ მატჩის შემდეგ კლოპი.

კლოპისა და დრეესის დაპირისპირება არახალია და ფაქტია, რომ ისინი მეგობრები არასდროს გახდებიან. ბოლოს მათი გზები წინა სეზონის 34-ე ტურში გადაიკვეთა, როცა „დორტმუნდი" „ჰოფენჰაიმთან" 1:2 დამარცხდა. იმ შეხვედრაში დრეესმა დორტმუნდელთა კარში ორი პენალტი დანიშნა და მათი მეკარე **რომან ვაიდენფელერი** მოედნიდან გააძევა. გარდა ამისა, იმავე შეხვედრაში დრეესმა ლევანდოვსკის გოლი ჯერ ჩაუთვალა, მერე კი გაუუქმა.

„დორტმუნდის" ფეხბურთელებს მსაჯზე აღარ უსაუბრიათ - როგორც ჩანს, კლოპმა აუკრძალა. ფაქტი კი ისაა, რომ „ბაიერნთან" მატჩის წინ (ეს სუპერჯახი 23 ნოემბერს გაიმართება) „ბორუსია" რეკორდმაისტერს 4 ქულით ჩამორჩა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოგების შემთხვევაშიც ვერ გადაასწრებს. და თუ ის თამაში „ბაიერნმა" მოიგო, მაშინ უკვე თამამად შეგვეძლება იმის თქმა, რომ გერმანიის ჩემპიონის ვინაობა ნოემბერში, მე-13 ტურში გაირკვევა.

### ჰიონესმა დორტმუნდის წაგებაზე ფული დადო

როგორც მოსალოდნელი იყო, „ბაიერნს" „აუგსბურგის" დამარცხება არ გასჭირვებია. მიუნხენელებმა ბავარიულ დერბიში „აუგსბურგი" 3:0 გაანადგურეს. რეკორდმაისტერის პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** სამივე გოლი ემოციურად იზეიმა, მაგრამ „ბაიერნის" გოლებზე მეტად იმ გოლმა გაახარა, რომელიც მიუნხენიდან 600 კილომეტრის მოშორებით, ვოლფსბურგში გავიდა. ულისთვის ის ფაქტიც არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი, რომ „ბაიერნმა" ზედიზედ 37-ე თამაში არ წააგო და ამით „ჰამბურგის" რეკორდი დაამხო. ჰიონესი „ბაიერნის" სამივე გოლზე მეტად 69-ე წუთზე მოსულმა ინფორმაციამ გაახარა - იმ დროს „ალიანს არენაზე" გამოაცხადეს, რომ „ვოლფსბურგი" „დორტმუნდს" 2:1-ს უგებდა. ამის გაგებისას ული VIP-ლოჟაში წამოხტა და მუშტების ქნევას მოჰყვა.

„როგორ არ უნდა გამხარებოდა, *მაგ თამაშზე სანაძლეო მქონდა დადებული!"* - თქვა ჰიონესმა მატჩის შემდეგ და ცხადია, რომ ფსონი „ვოლფსბურგის" მოგებაზე ექნებოდა გაკეთებული. კითხვაზე, რამდენი მოიგო, ულიმ ასე უპასუხა: *„ერთი შაბათ-კვირის სამყოფი ფული მოვიგე!"*

მოგებული ფული ჰიონესისთვის დიდად მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, არ არის. მისთვის მთავარი ისაა, რომ „ბაიერნმა" „დორტმუნდთან" დუელის წინ მოსისხლე მტერს ოთხი ქულით გაასწრო. *„4-ქულიანი უპირატესობა დორტმუნდში სტუმრობის წინ მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური უპირატესობაა,"* - ამბობს ული.

„ბაიერნისა" და „აუგსბურგის" მატჩში მნიშვნელოვანი იყო **ფრანკ რიბერის** გოლიც. 30 წლის ფრანგმა გრანდიოზული ჯარიმა დაარტყა. ბურთი აუგსბურგელთა კარისკენ 98 კმ/სთ სისწრაფით გაფრინდა!

### მსაჯმა აუგსბურგის ფეხბურთელი შეურაცხჰყო?

„ბაიერნისა" და „აუგსბურგის" მატჩზე საუბარს ამითაც არ ვამთავრებთ. შეხვედრის შემდეგ ყურადღების ცენტრში მთავარი არბიტრი, გამოცდილი, 45 წლის მსაჯი **პეტერ გაგელმანი** მოექცა. საქმე იმაშია, რომ „აუგსბურგის" მენეჯერი **შტეფან როიტერი** მას მძიმე ბრალდებებს უყენებს. მისი თქმით, გაგელმანმა „აუგსბურგის" ფეხბურთელებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

*„როცა მსაჯი ფეხბურთელს ეუბნება, „გააფსიო", საერთოდ რაზე უნდა ვილაპარაკოთ? მე მგონია, რომ ასეთ მსაჯს მოედანზე არაფერი ესაქმება,"* - ეს როიტერის სიტყვებია, რომელიც დაიმუქრა, გაგელმანს გერმანიის საფეხბურთო კავშირში ვუჩივლებო: *„ეს ისეთი შემთხვევაა, რომელიც რეაქციის გარეშე არ უნდა დავტოვოთ!"*

მომხდარზე კომენტარი „აუგსბურგის" ფეხბურთელმა **მათიას ოსტრცოლეკმაც** გააკეთა: *„საშინელებაა, როცა მსაჯი ფეხბურთელებს განსხვავებულად ექცევა. „ბაიერნის" მოთამაშეებს ჩვეულებრივად ემასლაათებოდა, ჩვენ კი აგდებულად გველაპარაკებოდა."*

ამ ამბავს გაგრძელება აუცილებლად ექნება.

### სხვა მატჩები

სხვამხრივ, გერმანიის ჩემპიონატის მე-12 ტური იმითაც გახლდათ გამორჩეული, რომ ცხრიდან სამი თამაში (!) მეორე ტაიმში შეტრიალდა. „ვოლფსბურგთან" ერთად, პირველი ტაიმები წააგეს და თამაშები მაინც მოიგეს „შალკემ" („ვერდერთან" 3:1) და „გლადბახმა" („ნიურნბერგთან" 3:1). პარასკევს, ქვემოსაქსონიური დერბი უგოლოდ დამთავრდა. „ლევერკუზენისა" და „ჰამბურგის" დაპირისპირება კი უხვგოლიანი გამოვიდა - „ფარმაცევტებმა" 5:3 მოიგეს და „დორტმუნდს" ისევ გაუთანაბრდნენ. აღნიშვნის ღირსია „ჰერტას" გამარჯვებაც - ბერლინელებმა „ჰოფენჰაიმი" სტუმრად 3:2 დაამარცხეს და საუკეთესო ექვსეულის სიახლოვეს დარჩნენ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

## თურქეთი

### სუპერლიგა. XI ტური

**ელაზიგი-ერჩიესი 0:1**
გოლი: 0:1 ვლემინკი (60)

**ესქიშეჰირი-ახიშარი 2:0**
გოლები: 1:0 გუჩერი (55), 2:0 ათესი (65)

**ქასიმფაშა-გაზიანთეფი 3:0**
გოლები: 1:0 სკარიონე (13), 2:0 კასტრო (16), 3:0 ექერი (22)

**ქაისერი-ბეშიქთაში 0:3**
გოლები: 0:1 შაჰანი (21), 0:2 რამონი (82), 0:3 ენერამო (90)

**სივასი-ბურსა 2:1**
გოლები: 1:0 ეზერი (59), 1:1 ტ. ტაიუ (77), 2:1 ჩაპეჩოუპე (80)

**ქარაბიუქი-რიზე 2:1**
გოლები: 1:0 პარლაკი (41), 2:0 მაბიალა (65), 2:1 ქიოშე (69)

**კონია-ანთალია 2:0**
გოლები: 1:0 კაბზე (20), 2:0 ჯალმა (46)

**გენჩლერბირლიგი-ტრაბზონი 3:2**
გოლები: 0:1 პაულო (1), 0:2 კოლმანი (34-პენ), 1:2 სტანჩუ (45), 2:2 ჩალიქი (67), 3:2 დურმაზი (80)

**ფენერბაჰჩე-გალათასარაი 2:0**
გოლები: 1:0 ემრე (23-პენ), 2:0 ბარონი (66)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 11 | 9 | 1 | 1 | 26-11 | 28 |
| 2. ქასიმფაშა | 11 | 8 | 0 | 3 | 25-13 | 24 |
| 3. სივასი | 11 | 7 | 1 | 3 | 22-13 | 22 |
| 4. ბეშიქთაში | 11 | 6 | 3 | 2 | 18-10 | 21 |
| 5. ესქიშეჰირი | 11 | 6 | 1 | 4 | 16-9 | 19 |
| 6. გალათასარაი | 11 | 5 | 4 | 2 | 17-12 | 19 |
| 7. ტრაბზონი | 11 | 5 | 2 | 4 | 14-12 | 17 |
| 8. ახიშარი | 11 | 4 | 3 | 4 | 13-12 | 15 |
| 9. რიზე | 11 | 4 | 3 | 4 | 15-15 | 15 |
| 10. ანთალია | 11 | 3 | 5 | 3 | 11-11 | 14 |
| 11. ბურსა | 11 | 4 | 2 | 5 | 11-14 | 14 |
| 12. გენჩლერბ. | 11 | 4 | 1 | 6 | 12-13 | 13 |
| 13. ქარაბიუქი | 11 | 3 | 4 | 4 | 9-11 | 13 |
| 14. კონია | 11 | 4 | 1 | 6 | 12-16 | 13 |
| 15. ერჩიესი | 11 | 2 | 3 | 6 | 7-15 | 9 |
| 16. გაზიანთეფი | 11 | 2 | 2 | 7 | 11-24 | 8 |
| 17. ელაზიგი | 11 | 2 | 1 | 8 | 11-27 | 7 |
| 18. ქაისერი | 11 | 1 | 3 | 7 | 9-21 | 6 |

**ბომბარდირები:** 9 - აიტიფ ჩაჰეჩუპე (სივასი); 7 - ესეკილ სკარიონე (ქასიმფაშა); 6 - დიდიე დროგბა (გალათასარაი).

### ჰანოვერი-ბრაუნშვაიგი 0:0

**ჰანოვერი (4-2-3-1):** ცილერი - ჰ. საკაი, ჰოფმანი, კ. შულცი, პოკონიოლი - ანდრეასენი, შტინდლი - ბიტენკური (67. შლაუდრაფი), პრიბი (86. ა. ზობიეხი), ჰუსტი - მ. დიუფი.

**ბრაუნშვაიგი (4-3-2-1):** დავარი - ელაბდელაუი, ბიჩაქჩიჩი, დოგანი, პერთელი - მ. კალიჯური (85. პფიტცნერი), ვრანჩიჩი, თოიერკაუფი - კრუპკე (76. ადემი), ბოლანდი - კუმბელა (91. ჯექსონი).

**გაფრთხილება:** ანდრეასენი - ბიჩაქჩიჩი

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 27-16; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 19(6)-8(1); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 47 200

### ბაიერნი-აუგსბურგი 3:0

**გოლები:** 1:0 ჟ. ბოატენგი (4), 2:0 რიბერი (42), 3:0 თ. მიულერი (95)

**ბაიერნი (4-1-4-1):** ნოიერი - რაფინია (74. თ. მიულერი), ჟ. ბოატენგი, დანტე, ალაბა - ხავი მარტინესი - გიოტცე (66. რობენი), ლამი, ტ. კროოსი (81. კირხჰოფი), რიბერი - მანჯუკიჩი.

**აუგსბურგი (4-2-3-1):** ჰიტცი - ვერჰეგი, კალსენბრაკერი, კლავანი, ოსტრცოლეკი - ფოგტი (79. მიოლდერსი), ბაიერი - ჰანი, მორავეკი (74. ჰონგი), ტო. ვერნერი - ჰალილ ალთინთოფი (54. მილიკი).

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 12-11; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 23(9)-6(0); **ბურთის ფლობა:** 72%-28%.

**მაყურებელი:** 71 000

### შალკე-ვერდერი 3:1

**გოლები:** 0:1 ფ. კროოსი (22), 1:1 კ. ბოატენგი (64), 2:1 კ. ბოატენგი (85), 3:1 ფარფანი (91)

**შალკე (4-2-3-1):** ჰილდებრანდი - უჩიდა, ჰიოვედესი, მატიპი, აოგო - ნოიშტედტერი (46. ფუხსი), ჯონსი - მ. მაიერი (87. ფელიპე სანტანა), კ. ბოატენგი, დრაქსლერი - სალაი (74. ფარფანი).

**ვერდერი (4-1-2-1-2):** მილიტცი - ფრიტცი (73. იგნიოვსკი), ლუკიმია, კალდიროლა, გარსია (41. შმიტცი) - ფ. კროოსი - გებრე სელასიე, მაკიადი - ჰანტი - იუნუზოვიჩი, ელია (71. ზელკე).

**გაფრთხილება:** ჯონსი, დრაქსლერი - გებრე სელასიე, გარსია, შმიტცი, კალდიროლა

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 16-19; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 16(6)-9(3); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 61 973

### ლევერკუზენი-ჰამბურგი 5:3

**გოლები:** 1:0 სონი (9), 2:0 სონი (16), 2:1 ბაისტერი (23), 2:2 ლასოგა (49), 3:2 სონი (55), 4:2 კისლინგი (72), 4:3 ლასოგა (74), 5:3 კასტრო (89)

**ლევერკუზენი (4-3-3):** ლენო - დონატი, თოფრაქი, სპაჰიჩი, ბიონიში - ჩანი, კასტრო, როლფესი (92. ვოლშაიდი) - სემი (83. კრუსი), კისლინგი, სონი (90. ჰეგელერი).

**ჰამბურგი (4-2-3-1):** ადლერი - ვესტერმანი, ლ. ზობიეხი, თაა, იანსენი - ბადელი, არსლანი (86. ზუა) - ბაისტერი, ვან დერ ვაარტი, ჩალჰანოლლუ (64. ილიჩევიჩი) - ლასოგა.

**გაფრთხილება:** თოფრაქი, დონატი, ჩანი - იანსენი, ბაისტერი, არსლანი, ილიჩევიჩი

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 12-19; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 20(7)-11(6); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 28 000

### ვოლფსბურგი-დორტმუნდი 2:1

**გოლები:** 0:1 როისი (45+2), 1:1 როდრიგესი (56), 2:1 ოლიჩი (69)

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო - ოხსი, კნოხე, ნალდო, როდრიგესი - მედოიევიჩი, ლუის გუსტავო - პერიშიჩი, არნოლდი (91. პოლაკი), დ. კალიჯური (86. მ. შეფერი) - ოლიჩი (79. დოსტი).

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - გროსკროიტცი, სუბოტიჩი (45. სოკრატისი), ჰუმელსი, შმელცერი - ს. ბენდერი (77. დუკში), ნ. შაჰინი - ობამეიანგი (77. ი. ჰოფმანი), მხითარიანი, როისი - ლევანდოვსკი.

**გაფრთხილება:** დ. კალიჯური, ოხსი, ნალდო - ს. ბენდერი, ჰუმელსი, მხითარიანი, ლევანდოვსკი

**კუთხური:** 5-2; **ჯარიმა:** 13-19; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 10(4)-12(2); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 30 000

### ჰოფენჰაიმი-ჰერტა 2:3

**გოლები:** 0:1 ბენ-ჰატირა (13), 0:2 რამოსი (53-პენ), 1:2 სალიჰოვიჩი (70-პენ), 2:2 სალიჰოვიჩი (81), 2:3 რამოსი (84)

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** კასტეელსი - ბეკი, აბრაამი (28. ვესტერგაარდი), ზიულე, სალიჰოვიჩი - პოლანსკი (66. შიპლოკი), შტრობლი - ფოლანდი, რობერტო ფირმინო, ელიუნუსი (46. ფ. ჯონსონი) - მოდესტე.

**ჰერტა (4-2-3-1):** კრაფტი - პეკარიკი, ლუსტენბერგერი, ს. ლანგკამპი, ვან დერ ბერგი - ჩიგერჩი, ჰოსოგაი - სკიელბრედი (72. ნიმაიერი), ბენ-ჰატირა (67. ნ. შულცი), ალაგუი (79. მ. ნდიენგი) - რამოსი.

**გაფრთხილება:** შტრობლი, მოდესტე - პეკარიკი, ბენ-ჰატირა

**კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 22-20; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 9(7)-11(5); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 25 000

### გლადბახი-ნიურნბერგი 3:1

**გოლები:** 0:1 დრმიჩი (21), 1:1 არანგო (72), 2:1 შტარკი (75-საკ. კარში), 3:1 ჰერმანი (87)

**გლადბახი (4-2-3-1):** ტერ შტეგენი - კორბი, იანჩკე, შტრანცლი, ვენდტი - კრამერი, ჯაკა - ჰერმანი (88. ჰრგოტა), რაფაელი (84. ლ. დე იონგი), არანგო (91. დემსი) - კრუზე.

**ნიურნბერგი (4-2-3-1):** რ. შეფერი - ჩენდლერი, ნილსონი (62. შტარკი), პოგატეცი, პლატენჰარდტი - ჰასებე, ფრანტცი (83. პეკჰარტი) - ფოილნერი, კიოტაკე, ჰლუშეკი (77. გინჩეკი) - დრმიჩი.

**გაფრთხილება:** ჯაკა, არანგო - ფოილნერი, პოგატეცი

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 8-18; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 12(4)-19(3); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 53 235

### მაინცი-აინტრახტი 1:0

**გოლი:** 1:0 ჩუპო-მოტინგი (88)

**მაინცი (4-2-3-1):** კარიუსი - პოსპეხი, ბელი, ნოვესკი, პარკი - გაისი, სოტო - პოლტერი, ზიმლინგი (61. ჩუპო-მოტინგი), მალი (74. შ. პარკერი) - ოკაზაკი (81. ზალერი).

**აინტრახტი (4-2-3-1):** ტრაპი - ს. იუნგი, რუსი, ანდერსონი, ოჩიპკა - ფლუმი, როდე - ბარნეტა, ა. მაიერი, ინუი (75. როზენტალი) - კადლეცი (89. ხოსელუ).

**გაფრთხილება:** გაისი, სოტო, ბელი, ჩუპო-მოტინგი - ფლუმი

**კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 20-17; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 20(9)-14(4); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 34 000

### ფრაიბურგი-შტუტგარტი 1:3

**გოლები:** 0:1 იბიშევიჩი (9), 0:2 ტი. ვერნერი (10), 1:2 ჰანკე (78), 1:3 ტი. ვერნერი (82)

**ფრაიბურგი (4-2-2-2):** ბაუმანი - დიანიე, გინტერი, ჰიონი, კ. გიუნტერი - ჰიოფლერი, ფერნანდესი - კლაუსი, კოკელინი (46. კერკი) - ფრაისი (77. ჰანკე), მეჰმედი.

**შტუტგარტი (4-2-2-1-1):** ულრაიხი - შვააბი, ჰაგი, ნიდერმაიერი, რაუში (60. გ. საკაი) - კვისტი, გენტნერი - ტი. ვერნერი (85. ტრაორე), ლაიტნერი (81. ჰარნიკი) - მაქსიმი - იბიშევიჩი.

**გაფრთხილება:** კლაუსი, ჰანკე - ნიდერმაიერი

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 7-13; **თამაშგარე:** 1-7; **კარში დარტყმა:** 19(5)-10(7); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 23 700

### მომდევნო ტური

22 ნოემბერი. შტუტგარტი-გლადბახი

23 ნოემბერი. ნიურნბერგი-ვოლფსბურგი, აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი, ბრაუნშვაიგი-ფრაიბურგი, აინტრახტი-შალკე, ჰერტა-ლევერკუზენი, დორტმუნდი-ბაიერნი.

24 ნოემბერი. ჰამბურგი-ჰანოვერი, ვერდერი-მაინცი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 12 | 10 | 2 | 0 | 27-7 | 32 |
| 2. დორტმუნდი | 12 | 9 | 1 | 2 | 32-11 | 28 |
| 3. ლევერკუზენი | 12 | 9 | 1 | 2 | 27-14 | 28 |
| 4. გლადბახი | 12 | 7 | 1 | 4 | 28-16 | 22 |
| 5. ვოლფსბურგი | 12 | 7 | 0 | 5 | 18-14 | 21 |
| 6. შალკე | 12 | 6 | 2 | 4 | 23-23 | 20 |
| 7. ჰერტა | 12 | 5 | 3 | 4 | 20-16 | 18 |
| 8. შტუტგარტი | 12 | 4 | 4 | 4 | 24-21 | 16 |
| 9. მაინცი | 12 | 5 | 1 | 6 | 17-23 | 16 |
| 10. ვერდერი | 12 | 4 | 3 | 5 | 13-20 | 15 |
| 11. ჰანოვერი | 12 | 4 | 2 | 6 | 14-19 | 14 |
| 12. ჰოფენჰაიმი | 12 | 3 | 4 | 5 | 28-28 | 13 |
| 13. აუგსბურგი | 12 | 4 | 1 | 7 | 13-23 | 13 |
| 14. ჰამბურგი | 12 | 3 | 3 | 6 | 26-29 | 12 |
| 15. აინტრახტი | 12 | 2 | 4 | 6 | 14-21 | 10 |
| 16. ფრაიბურგი | 12 | 1 | 5 | 6 | 13-24 | 8 |
| 17. ბრაუნშვაიგი | 12 | 2 | 2 | 8 | 8-23 | 8 |
| 18. ნიურნბერგი | 12 | 0 | 7 | 5 | 12-25 | 7 |

**ბომბარდირები:** 9- რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი); 8 - პიერ-მიშელ ლასოგა (ჰამბურგი), მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი), ვედად იბიშევიჩი (შტუტგარტი).

### II ბუნდესლიგა. XIV ტური

**ფიურტი-პადერბორნი 3:0**
გოლები: 1:0 შტიბერი (30), 2:0 მადრინსკი (34), 3:0 შტიბერი (83)

**ფრანკფურტი-კაიზერსლაუტ. 0:4**
გოლები: 0:1 იდრისუ (4-პენ), 0:2 ლიოვე (40), 0:3 მატმური (45+2-პენ), 0:4 ცოლერი (60)

**ინგოლშტადტი-აალენი 2:0**
გოლები: 1:0 კაიუბი (20), 2:0 აიგლერი (52)

**უნიონი-კარლსრუე 0:0**

**არმინია-მიუნხენ 1860 0:1**
გოლი: 0:1 შტალი (57)

**ფორტუნა-ზანდჰაუზენი 1:0**
გოლი: 1:0 ბონსე (60)

**ბოხუმი-კიოლნი 1:0**
გოლი: 1:0 სუკუტა-პასუ (65)

**დინამო-აუე 1:1**
გოლები: 1:0 ტ. შულცი (71), 1:1 კლინგბაილი (91)

### 11 ნოემბერი

**ზანქტ პაული-კოტბუსი 23:15**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კიოლნი | 14 | 7 | 6 | 1 | 21-6 | 27 |
| 2. ფიურტი | 14 | 8 | 2 | 4 | 29-16 | 26 |
| 3. კაიზერსლ. | 14 | 7 | 4 | 3 | 25-14 | 25 |
| 4. უნიონი | 14 | 7 | 4 | 3 | 21-16 | 25 |
| 5. კარლსრუე | 14 | 5 | 5 | 4 | 16-14 | 20 |
| 6. ზანქტ პაული | 13 | 5 | 4 | 4 | 18-18 | 19 |
| 7. აალენი | 14 | 5 | 4 | 5 | 13-14 | 19 |
| 8. პადერბორნი | 14 | 5 | 4 | 5 | 23-26 | 19 |
| 9. ფორტუნა | 14 | 5 | 4 | 5 | 15-20 | 19 |
| 10. ბოხუმი | 14 | 5 | 3 | 6 | 15-14 | 18 |
| 11. მიუნხენ 1860 | 14 | 5 | 3 | 6 | 11-15 | 18 |
| 12. ზანდჰაუზენი | 14 | 4 | 5 | 5 | 10-12 | 17 |
| 13. ფრანკფურტი | 14 | 4 | 4 | 6 | 17-19 | 16 |
| 14. დინამო | 14 | 3 | 7 | 4 | 15-20 | 16 |
| 15. აუე | 14 | 5 | 1 | 8 | 17-26 | 16 |
| 16. ინგოლშტადტი | 14 | 4 | 2 | 8 | 14-21 | 14 |
| 17. არმინია | 14 | 4 | 2 | 8 | 18-27 | 14 |
| 18. კოტბუსი | 13 | 3 | 4 | 6 | 18-18 | 13 |

**ბომბარდირები:** 9 - ზალიკი (პადერბორნი); 8 - იდრისუ (კაიზერსლაუტერნი), ცოლერი (კაიზერსლაუტერნი); 7 - რისსე (კიოლნი).

### III ბუნდესლიგა

**უნტერჰახინგი-შტუტგარტი II 4:0, შტუტ. კიკერსი-ჰალეშერი 1:0, ზაარბრიუკენი-პროისენ მიუნსტერი 2:2, ჰანზა-ბურგჰაუზენი 1:1, დარმშტადტი-ლაიპციგი 0:1, დორტმუნდი II-ერფურტი 0:3, ხემნიტცი-ვეენი 1:2, რეგენსბურგი-ჰოლშტაინ კილი 1:0, ჰაიდენჰაიმი-ელვერსბერგი 1:0, ოსნაბრიუკი-დუისბურგი 0:1.**

europe-bet.com ევროპული ბიბლიოთეკა

# იუნაიტედი ფავორიტებში დაბრუნდა

## მარინერმა ჩელსი ვერ გაწირა

„ჩელსი“-„ვესტ ბრომვიჩს“ 42 წლის **ანდრე მარინერი** უძღვებოდა, არბიტრი, ვინც თავისი რბილი მსაჯობით ცნობილი არასოდეს ყოფილა. ამას სტატისტიკაც მოწმობს: მიმდინარე სეზონში მან ყველა ტურნირზე 12 შეხვედრაში იმსაჯა და 4 წითელი ბარათი უჩვენა. კომპენსირებული დროის მე-6 წუთზე **სტივენ რიდისა** და **რამირესის** უმნიშვნელო კონტაქტის შემდეგ მან პენალტი დანიშნა. აშკარა იყო, რომ ბრაზილიელმა იქამდე დაიწყო ვარდნა, ვიდრე მეტოქეს შეეხებოდა. არადა, სტუმარი დამსახურებულად იგებდა ულიმლამო შეხვედრას. **სტივ კლარკს** შეეძლო გამხდარიყო პირველი მწვრთნელი, ვინც **ჟოზე მოურინიოს** პრემიერლიგაში საკუთარ მოედანზე დაამარცხებდა, თუმცა მარინერმა აბსურდული გადაწყვეტილებით ამის საშუალება არ მისცა.

ახლა ორიოდე სიტყვით უშუალოდ თამაშსაც შევეხოთ. პირველი ტაიმის მიწურულს **სამუელ ეტოომ** უკანასკნელ ოთხ შეხვედრაში მეოთხედ გამოიჩინა თავი. კამერუნელის გოლი რაღაცით „შალკესთან“ გატანილს ჰგავდა, თუმცა სხვაობა ის იყო, რომ სტუმართა მეკარე არაფერ შუაში იყო. **მაიჰილის** მოგერიებული ბურთი **რიჯუელმა** დროულად ვერ გამოიტანა და სამუელმა ამჯერად მას დაასწრო და ახლო მანძილიდან შეაგდო. მეორე ტაიმში „ვესტ ბრომვიჩმა“ უარი თქვა ყრუ დაცვაზე და შეტევაში წავიდა. **შეინ ლონგს** 56-ეზე თავურით უნდა გაეთანაბრებინა, თუმცა ხარიხას მოარტყა. ოთხ წუთში კუთხურის შემდეგ დამაგვირგვინებელი დარტყმა ისევ ირლანდიელმა აილო საკუთარ თავზე. მან ბურთისთვის ბრძოლა **ტერის, ლამპარდსა** და **ივანოვიჩს** ერთადროულად მოუგო და ჩეხი „დახვრიტა“. 68-ე წუთზე ტერი კიდევ ერთხელ შეცდა, არანაკლები როლი ითამაშა ჩეხმაც. **სესინიონმა** პირველი იოლად მოატყუა, მეორეს კი ხელებში გაუძვრინა - 1:2. ბოლო წუთების შესახებ კი ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

## ზედიზედ მეორედ

ცოტა რამ ისტორიიდან: „ენფილდზე“ „ფულჰემის“ შარშანდელი სტუმრობაც 4:0 დასრულდა. პარალელები ამით არ მთავრდება. ანგარიშის გარდა განმეორდა გოლის ავტორთა სახელებიც: **სუარესი** და **შკრტელი**. **ჯერარდმა** კი შარშანდელი ერთი ბურთი შაბათს ორ შედეგიან გადაცემაში „გადაცვალა“.

„წითლებმა“ წინა ტურში „არსენალთან“ უსახური ნაგების შემდეგ საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ განსაკუთრებულად მოინდომეს და ამგვარად მოიხადეს ბოდიში. შაბათს მოედანზე სულ სხვა „ლივერპული“ ვნახეთ. ეს იყო გუნდი, რომელმაც საკუთარ არენაზე ზედიზედ მეორედ გაიტანა 4 გოლი. „ვესტ ბრომვიჩთან“ სუარესმა ჰეთთრიკი შეასრულა, მაგრამ ურუგვაელი მაშინაც არ ყოფილა კარზე ასე დაგეშილი. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მას 6-7 გოლის გატანა შეეძლო. ლუისის წინააღმდეგ ლონდონელთა ცენტრალური მცველები **სენდეროსი** და **ამორებიეტა** ვერაფერს გახდნენ. უკანასკნელმა ჯერ საკუთარი კარი დალაშქრა, მერე შკრტელთან ორთაბრძოლაც წააგო და სლოვაკს 11-თვიანი პაუზის შემდეგ გაატანინა. დიახ, მარტინის საგოლე პაუზა „ფულჰემთან“ შარშანდელი მატჩის შემდეგ გრძელდებოდა.

შეტევები 4:0-ის შემდეგაც არ შეწყვეტილა. თუმცა ეს უფრო ინერციის დამსახურება გახლდათ. **სტეკელენბურგს** თამაშში ჩართვა და საკუთარი ოსტატობის დემონსტრირება უხდებოდა.

## საუკეთესოს რჩეულნი

პარასკევს „საუთჰემპტონის“ 41 წლის დამრიგებელი **მაურისიო პოჩეტინიო** პრემიერლიგამ ოქტომბრის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა. წინა დღეებში კი ინგლისის ნაკრების თავკაცმა **როი ჰოჯსონმა** „წმინდანებიდან“ სამ ფეხბურთელს უხმო შეკრებაზე. გუშინწინ „სენტ მერიზე“ ის თავადაც მიბრძანდა. ნაკრებში გამოძახებამ განსაკუთრებულად აღაფრთოვანა **ადამ ლალანა**. 25 წლის ნახევარმცველმა მაყურებელს შესთავაზა წარმოდგენა, სადაც მთავარი როლიც თავად შეასრულა და მეორადსაც გასწვდა. 90 წუთის განმავლობაში ბურთს ის 69-ჯერ შეეხო, პასების აბსოლუტური უმრავლესობა ზუსტი გააკეთა, მოიპოვა პენალტი, რამაც „ჰალი“ საბოლოოდ გატეხა და რაც მთავარია, გაიტანა. ლალანას გოლი ცალკე უნდა გამოვყოთ. ადამმა **ჰადლსტოუნი, კერტისი** და **ელმოჰამადი** ისე იოლად ჩამოიშორა, თითქოს, ვერც შეამჩნია მათი არსებობა. ბრწყინვალედ ითამაშა **რიკი ლამბერტმაც**. მან გოლის გარდა ორი საგოლე გადაცემა გააკეთა.

## კვირადღის მოულოდნელობები

კვირის შეხვედრებმა ცხრილში სერიოზული ცვლილებები შეიტანა. პირველები მოედანზე „ტოტენჰემი“ და „ნიუკასლი“ გავიდნენ. „უაით ჰართ ლეინს“ გუშინ მხოლოდ ერთი გმირი ჰყავდა და მას **ტიმ კრული** ჰქვია. თუკი სტატისტიკას ვენდობით, 25 წლის ჰოლანდიელმა საკუთარი გუნდი 14-ჯერ გადაარჩინა. აქედან იყო ეპიზოდები, რომელშიც ადამიანური ლოგიკით ისიც კი უძლური უნდა ყოფილიყო. ძლიერი დარტყმის შემდეგ მან რამდენჯერმე უხეიროდ მოიგერია, თუმცა შეცდომებს ამ შემთხვევებშიც თავად ასწორებდა. „ნიუკასლისგან“ ერთადერთი გოლი კონტრშეტევაზე **რემიმ** გაიტანა. ფრანგისთვის ეს სეზონში უკვე მეშვიდე ბურთია.

„სტედიუმ ოფ ლაითსზე“ „სანდერლენდმა“ მრისხანე მეტოქე ზედიზედ მეოთხედ დაამარცხა მინიმალური ანგარიშით. ამ მატჩებში „შავი კატებმა“ ორჯერ გოლი სულაც საფინალო სასტვენამდე წამებით ადრე გაიტანეს. ამჯერად საქმე აქამდე არ მისულა. ყველაფერი 21-ე წუთზე გადაწყდა. ეს გააკეთა ფეხბურთელმა, ვინც **დი კანიოს** შერისხული ჰყავდა და გუნდში **პოიეტმა** დააბრუნა. **ბერდსლიმ** მადლობა 3 ქულით გადაიხადა. დარჩენილი 69 წუთი „სიტის“ ტოტალური უპირატესობით წარიმართა. მას არათუ გათანაბრება, მეტოქის დიდი ანგარიშით დამარცხებაც კი შეეძლო, მაგრამ საბოლოოდ ვერაფერს გახდა.

## ემოციები და ფეხბურთი

„იუნაიტედი“ „ოლდ ტრეფორდზე“ დაბრუნდა. წასვლით ის არსად წასულა, მაგრამ დაბრუნდა ჩემპიონატის ფავორიტთა შორის. **რობინ ვან პერსიმ** ერთი ზუსტი თავურით გუნდს სტატუსი დაუბრუნა. „არსენალმა“ მეორე ტაიმში მასპინძელი საკუთარ ნახევარზე გამოკეტა. სერიოზული უპირატესობის მიუხედავად, „მეთოფეებმა“ **დე ხეას** კართან სულ რამდენიმე მომენტი შექმნეს და ისიც ქარს გაატანეს. ყველაზე რეალური შანსი **ბენდტნერს** ჰქონდა.

ბევრს ლაპარაკობდნენ „ეშმაკების“ კრიზისზე, **მოიესის** ნაცვლად **ფერგიუსონის** დაბრუნებაზეც კი, მაგრამ ნათლად გამოჩნდა, რომ ეს ყველაფერი ცარიელი ლაყბობაა და მეტი არაფერი. დაშორება პირველი ადგილიდან სულ რაღაც 5 ქულაა, „ჩელსი“ მხოლოდ ერთით არის წინ, „სიტი“ და „ტოტენჰემი“ კი უკვე „იუნაიტედის“ ზურგს უკან სუნთქავენ. ახლა კი, მოდი, მატჩის შემდგომ მოვლენებზე საუბარი, თქვენი ნებართვით, ხვალისთვის გადავდოთ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**




„იუნაიტედს“ გამარჯვება რობინ ვან პერსიმ მოუტანა

## შოტლანდია

### პრემიერშიპი. XIII ტური

**როს ქაუნთი-სელტიკი 1:4**

**გოლები:** 0:1 ვან დაიკი (41), 0:2 ვან დაიკი (53), 1:2 სპრული (68), 1:3 ლედლი (70), 1:4 ლედლი (73)

**სელტიკი (4-4-2):** ფორსტერი - ფიშერი, ემბროუზი, ვან დაიკი, ისაგირე - ლედლი (85. ბურიხტერი), ფორესტი (71. სტოუკსი), ბიტონი (80. როგიჩი), ბრაუნი - მალგრიუ, პუკი

| | |
|---|---|
| აბერდინი-ჰართსი | 1:3 |
| ჰიბერნიანი-ინვერნესი | 0:2 |
| მოზერველი-დანდი იუნ. | 0:4 |
| პატრიკი-სტ. მირენი | 0:3 |
| სტ. ჯონსტონი-კილმარნოკი | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 12 | 9 | 3 | 0 | 27-11 | 30 |
| 2. ინვერნესი | 12 | 8 | 1 | 3 | 20-11 | 25 |
| 3. აბერდინი | 13 | 7 | 2 | 4 | 19-11 | 23 |
| 4. მოზერველი | 13 | 7 | 1 | 5 | 14-18 | 22 |
| 5. სტ. ჯონსტონი | 13 | 6 | 3 | 4 | 22-14 | 21 |
| 6. დანდი იუნ. | 13 | 5 | 5 | 3 | 21-9 | 20 |
| 7. ჰიბერნიანი | 13 | 4 | 3 | 6 | 9-14 | 15 |
| 8. პატრიკი | 13 | 3 | 4 | 6 | 11-20 | 13 |
| 9. სტ. მირენი | 11 | 3 | 2 | 6 | 12-20 | 11 |
| 10. როს ქაუნთი | 11 | 3 | 1 | 7 | 12-23 | 10 |
| 11. კილმარნოკი | 13 | 2 | 3 | 8 | 14-21 | 9 |
| 12. ჰართსი* | 13 | 3 | 2 | 8 | 10-19 | -4 |

* ჰართსს დაკლებული აქვს 15 ქულა

### ასტონ ვილა-კარდიფი 2:0

**გოლები:** 1:0 ბაკუნა (76), 2:0 კოზაკი (84)

**ასტონ ვილა (4-4-2):** გუზანი - ბაკუნა, ვლაარი, ბეიკერი, კლარკი - ვესტვუდი, სილა, ტონევი, ელ ალმადი (74. ლოუტონი) - ბენტეკე, კოზაკი (88. ბოუერი)

**კარდიფი (4-2-3-1):** მარშალი - ტეოფილ-კეტრინი, კოლკერი, ტერნერი, ტეილორი - მედელი, უიტინგჰემი - კოუი, გუნარსონი (65. მატჩი), ბელამი (82. მაინარდი) - ოდემვინგე (55. კემპბელი)

**გაფრთხილება:** კლარკი - მედელი

**კარში დარტყმა:** 23-10 (6-2) **კუთხური:** 5-3 **თამაშგარე:** 5-7 **ჯარიმა:** 10-3 **ბურთის ფლობა:** 43%-57%

**მაყურებელი:** 35 809

### ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი 2:2

**გოლები:** 1:0 ეტოო (45), 1:1 ლონგი (60), 1:2 სესინიონი (68), 2:2 აზარი (90+6-პენ)

**ჩელსი (4-2-3-1):** ჩეხი - ივანოვიჩი, კეჰილი, ტერი, ასპილიკუეტა (73. მიკელი) - ლემპარდი (64. ბა), რამირესი - აზარი, ოსკარი (73. მატა), უილიანი - ეტოო

**ვესტ ბრომვიჩი (4-2-3-1):** მაიჰილი - რიდი, მაკაული, ოლსონი, რიჯუელი - იაკობი, მულუმბუ - ბრანტი, სესინიონი (81. მორისონი), ამალფიტანო (89. პოპოვი) - ლონგი (79. ანიჩებე)

**გაფრთხილება:** ლემპარდი, ეტოო, ივანოვიჩი - იაკობი, ლონგი, ამალფიტანო, ბრანტი, მაკაული, რიჯუელი, ოლსონი

**კარში დარტყმა:** 24-14 (7-3) **კუთხური:** 9-4 **თამაშგარე:** 3-0 **ჯარიმა:** 11-15 **ბურთის ფლობა:** 69%-31%

**მაყურებელი:** 41 623

### პალასი-ევერტონი 0:0

**პალასი (4-2-3-1):** სპერონი - ვორდი, გებიდონი, დელეინი, მოქსი - ჟედინაკი, დიკგაჩოი (46. ოკიფი) - ტომასი (85. პანჩეონი), ბენანი, ბოლასი - შამახი

**ევერტონი (4-2-3-1):** ჰოვარდი - კოულმენი, იაგიელკა, დისტენი, ბეინსი - მაკარტი, ბერი, მირალიაში (56. დეულოფეუ), ოსმანი (63. ბარკლი), პიენაარი - ლუკაკუ

**გაფრთხილება:** ჟედინაკი -

**კარში დარტყმა:** 11-17 (2-2) **კუთხური:** 4-7 **თამაშგარე:** 4-1 **ჯარიმა:** 16-8 **ბურთის ფლობა:** 27%-73%

**მაყურებელი:** 25 231

### ლივერპული-ფულჰემი 4:0

**გოლები:** 1:0 ამორებიეტა (23-ს.კ-ში), 2:0 შკრტელი (26), 3:0 სუარესი (36), 4:0 სუარესი (54)

**ლივერპული (4-3-1-2):** მინიოლე - ჯონსონი, შკრტელი, აგერი, სისოკო (61. ხ. ენრიკე) - ჯერარდი (67. ალენი), ჰენდერსონი, ლეივა - კოუტინიო - სტარიჯი (76. მოზესი), სუარესი

**ფულჰემი (4-2-3-1):** სტეკელენბურგი - ზვეროტიჩი (61. ჰიუზი), სენდეროსი, ამორებიეტა, რიჩარდსონი - სიდუელი, პარკერი - კაჩანიკლიჩი (46. რუისი), დეჟაგა, კასამი - ბერბატოვი (83. კარაგუნისი)

**გაფრთხილება:** - პარკერი

**კარში დარტყმა:** 42-5 (10-1) **კუთხური:** 9-3 **თამაშგარე:** 4-2 **ჯარიმა:** 13-9 **ბურთის ფლობა:** 68%-32%

**მაყურებელი:** 44 768

### საუთჰემპტონი-ჰალი 4:1

**გოლები:** 1:0 შნაიდერლინი (16), 2:0 ლამბერტი (30-პენ), 3:0 ლალანა (37), 3:1 საგბო (55), 4:1 დევისი (88)

**საუთჰემპტონი (4-2-3-1):** ბორუცი - კლაინი, ფონტე, ლოვრენი, შოუ - შნაიდერლინი, ვანიამა (63. ს. დევისი) - ლალანა (84. კორკი), ვორდ-პრაუსი, ჯ. როდრიგესი - ლამბერტი (76. ოსვალდო)

**ჰალი (4-2-3-1):** ჰარპერი - როსენიორი, კ. დევისი, მაკშეინი, ფიგეროა - ჰადლსტოუნი, ლივერმორი - მეილერი (73. გრემი), ელმოჰამადი (46. კორენი), ბოიდი (80. ქუინი) - საგბო

**გაფრთხილება:** შნაიდერლინი - ჰარპერი, კ. დევისი

**კარში დარტყმა:** 22-12 (7-2) **კუთხური:** 6-5 **თამაშგარე:** 3-6 **ჯარიმა:** 10-15 **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 30 022

### ნორვიჩი-ვესტ ჰემი 3:1

**გოლები:** 0:1 მორისონი (32), 1:1 ჰუპერი (54-პენ), 2:1 სნოდგრასი (72), 3:1 ფერი (90)

**ნორვიჩი (4-4-2):** რადი - მარტინი, ტერნერი, ბენეტი, ოლსონი - ფერი, ჰაუსონი, პილკინგტონი (33. რედმონდი), სნოდგრასი - ელმანდერი, ჰუპერი (87. ბ. ჯონსონი)

**ვესტ ჰემი (4-4-2):** იასკელაინენი - დემელი, კოლინსი, ტომკინსი, რაცი - კოლისონი (74. კ. კოული), ნოუბლი (87. ჯარვისი), ჯ. კოული (72. დიამე), დაუნინგი - მორისონი, ნოლანი

**გაფრთხილება:** ტერნერი - ნოლანი

**კარში დარტყმა:** 20-16 (6-4) **კუთხური:** 4-2 **თამაშგარე:** 0-6 **ჯარიმა:** 12-11 **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 26 824

### ტოტენჰემი-ნიუკასლი 0:1

**გოლი:** 0:1 რემი (13)

**ტოტენჰემი (4-2-3-1):** ფრიდელი - უოლკერი, კირიკეში (46. კაბული), დოუსონი, ვერტონგენი - დემბელე (46. სანდრო), პაულინიო - სიგურდსონი (69. დეფო), ერიკსენი, ტაუნსენდი - სოლდადო

**ნიუკასლი (4-4-2):** კრული - დებუში, უილიამსონი, იანგა-მბივა, სანტონი - კაბაი, ტიოტე, სისოკო, გუფრანი (85. ობერტანი) - რემი (75. სისე), შ. ამეობი (60. ანიტა)

**გაფრთხილება:** დოუსონი - დებუში, სისოკო

**კარში დარტყმა:** 42-12 (13-4) **კუთხური:** 11-4 **თამაშგარე:** 2-8 **ჯარიმა:** 5-15 **ბურთის ფლობა:** 66%-34%

**მაყურებელი:** 36 042

### სანდერლენდი-სიტი 1:0

**გოლი:** 1:0 ბერდსლი (21)

**სანდერლენდი (4-1-4-1):** მანონე - ჩელუსტკა, ბრაუნი, ბერდსლი, ოში - კი - კოლბეკი, ლარსონი, ჯაკერინი (72. გარდნერი), ა. ჯონსონი (87. ბორინი) - ფლეტჩერი (77. ალტიდორი)

**სიტი (4-4-2):** პანტილიმონი - რიჩარდსი (71. საბალეტა), დემიკელისი, ლესკოტი, კოლაროვი - ხ. გარსია (46. ნავასი), ტურე, მილნერი, ნასრი - აგუერო, ნეგრედო (71. ჯეკო)

**გაფრთხილება:** - ხ. გარსია

**კარში დარტყმა:** 7-28 (2-4) **კუთხური:** 0-14 **თამაშგარე:** 0-2 **ჯარიმა:** 6-13 **ბურთის ფლობა:** 37%-63%

**მაყურებელი:** 40 137

### იუნაიტედი-არსენალი 1:0

**გოლი:** 1:0 ვან პერსი (27)

**იუნაიტედი (4-2-3-1):** დე ხეა - სმოლინგი, ვიდიჩი (46. კლევერლი), ევანსი, ევრა - კერიკი, ჯონსი - კაგავა (78. გიგზი), რუნი, ვალენსია - ვან პერსი (85. ფელაინი)

**არსენალი (4-4-1-1):** შჩესნი - სანია, კოშელნი, ვერმალენი, გიბსი - არტეტა (81. გნაბრი), ფლამინი (61. უილშირი) - რემსი, იოზილი, კასორლა (78. ბენდტნერი) - ჟირუ

**გაფრთხილება:** ჯონსი, რუნი - სანია, ფლამინი, უილშირი

**კარში დარტყმა:** 7-12 (2-2) **კუთხური:** 5-6 **თამაშგარე:** 2-2 **ჯარიმა:** 12-11 **ბურთის ფლობა:** 40%-60%

**მაყურებელი:** 75 138

### სუონსი-სტოკი 3:3

**გოლები:** 0:1 უოლტერსი (8), 0:2 აირლანდი (25), 1:2 ბონი (56), 2:2 დაიერი (74), 3:2 ბონი (86), 3:3 ადამი (90+6-პენ)

**სუონსი (4-2-3-1):** ტრემელი - რანხელი, ჩიკო, უილიამსი, დევისი - ბრიტონი, დე გუზმანი (71. შელვი) - ლამა (55. დაიერი), პოსუელო (90+3. კანიასი), რუტლეჯი - ბონი

**სტოკი (4-2-3-1):** ბეგოვიჩი - კემერონი, შოუკროსი, ჰუთი, პიტერსი - ნზონზი, პალასიოსი (72. ადამი) - უოლტერსი, აირლანდი (72. უილსონი), არნაუტოვიჩი (55. ეთერინგტონი) - კრაუჩი

**გაფრთხილება:** ჩიკო, უილიამსი, რანხელი, დაიერი, რუტლეჯი - ჰუთი, ადამი, ბეგოვიჩი

**კარში დარტყმა:** 16-10 (5-5) **კუთხური:** 9-3 **თამაშგარე:** 5-1 **ჯარიმა:** 10-13 **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 19 242

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 11 | 8 | 1 | 2 | 22-10 | 25 |
| 2. ლივერპული | 11 | 7 | 2 | 2 | 21-10 | 23 |
| 3. საუთჰემპტონი | 11 | 6 | 4 | 1 | 15-5 | 22 |
| 4. ჩელსი | 11 | 6 | 3 | 2 | 18-10 | 21 |
| 5. იუნაიტედი | 11 | 6 | 2 | 3 | 18-13 | 20 |
| 6. ევერტონი | 11 | 5 | 5 | 1 | 14-10 | 20 |
| 7. ტოტენჰემი | 11 | 6 | 2 | 3 | 9-6 | 20 |
| 8. სიტი | 11 | 6 | 1 | 4 | 28-12 | 19 |
| 9. ნიუკასლი | 11 | 5 | 2 | 4 | 15-16 | 17 |
| 10. ვესტ ბრომვიჩი | 11 | 3 | 5 | 3 | 12-12 | 14 |
| 11. ასტონ ვილა | 11 | 4 | 2 | 5 | 11-12 | 14 |
| 12. ჰალ სიტი | 11 | 4 | 2 | 5 | 9-14 | 14 |
| 13. სუონსი | 11 | 3 | 3 | 5 | 15-15 | 12 |
| 14. კარდიფი | 11 | 3 | 3 | 5 | 9-15 | 12 |
| 15. ნორვიჩი | 11 | 3 | 2 | 6 | 9-21 | 11 |
| 16. ვესტ ჰემი | 11 | 2 | 4 | 5 | 9-11 | 10 |
| 17. სტოკი | 11 | 2 | 4 | 5 | 10-14 | 10 |
| 18. ფულჰემი | 11 | 3 | 1 | 7 | 10-19 | 10 |
| 19. სანდერლენდი | 11 | 2 | 1 | 8 | 8-22 | 7 |
| 20. პალასი | 11 | 1 | 1 | 9 | 6-21 | 4 |

**ბომბარდირები:** 8 - დანიელ სტარიჯი ლუის სუარესი (ორივე ლივერპული), სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი); 7 - ლოიკ რემი (ნიუკასლი), რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი)

### მომდევნო ტური

23 ნოემბერი: ევერტონი-ლივერპული, არსენალი-საუთჰემპტონი, ფულჰემი-სუონსი, ჰალ სიტი-კრისტალ პალასი, ნიუკასლი-ნორვიჩი, სტოკ სიტი-სანდერლენდი, ვესტ ჰემი-ჩელსი

24 ნოემბერი: მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი, კარდიფი-მანჩესტერ იუნაიტედი

25 ნოემბერი: ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა

### ჩემპიონშიპი. XV ტური

**რედინგი-ქუინზ პარკი 1:1**
**გოლები:** 1:0 მაკლირი (62), 1:1 ბარტონი (78)

**ბარნსლი-დონკასტერი 0:0**

**ბლექპული-იპსვიჩი 2:3**
**გოლები:** 1:0 დობი (23), 0:2 ნოუბლი (65), 0:3 ტეილორი (84), 1:3 დევისი (90+1), 2:3 მერფი (90+3)

**ბოლტონი-მილუოლი 3:1**
**გოლები:** 1:0 ჰოლი (5), 1:1 ისტერი (28), 2:1 ბეკფორდი (43), 3:1 მორიტცი (89)

**ბრაიტონი-ბლექბერნი 3:0**
**გოლები:** 1:0 ბარნსი (35-პენ), 2:0 ფორსტერ-კასკი (56), 3:0 ბარნსი (77)

**ბარნლი-ბორნმუთი 1:1**
**გოლები:** 0:1 რანტიე (54), 1:1 ინგსი (84)

**დერბი-შეფილდ უენს 3:0**
**გოლები:** 1:0 ბაქსტონი (45), 2:0 ჰიუზი (49), 3:0 მარტინი (58)

**ჰადერსფილდი-ბირმინგემი 1:3**
**გოლები:** 0:1 ჟიგიჩი (11), 1:1 ჯერარდი (31), 1:2 ბარტლი (66), 1:3 ბარტლი (81)
**გაძევება:** 82 წთ. ბარტლი (ბირმინგემი)

**ლესტერი-ნოტინგემი 0:2**
**გოლები:** 0:1 კოქსი (31), 0:2 მაკი (43)

**მიდლსბრო-უოტფორდი 2:2**
**გოლები:** 1:0 ადომა (23), 1:1 დინი (32), 2:1 ფორესტიერი (73), 2:2 აიალა (90+3)

**ჩარლტონი-ლიდსი 2:4**
**გოლები:** 0:1 მაკორმაკი (17), 1:1 სტიუარტი (45), 1:2 მაკორმაკი (48-პენ), 2:2 ჯექსონი (70), 2:3 მაკორმაკი (73), 2:4 მაკორმაკი (90+1)

**იოვილი-უიგანი 0:1**
**გოლები:** 0:1 ფორჩუნი (78)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარნლი | 15 | 10 | 4 | 1 | 27-10 | 34 |
| 2. ლესტერი | 15 | 10 | 2 | 3 | 24-15 | 32 |
| 3. ქუინზ პარკი | 15 | 9 | 5 | 1 | 17-8 | 32 |
| 4. ბლექპული | 15 | 7 | 6 | 2 | 19-14 | 27 |
| 5. ნოტინგემი | 15 | 7 | 5 | 3 | 23-16 | 26 |
| 6. რედინგი | 15 | 6 | 6 | 3 | 23-18 | 24 |
| 7. უოტფორდი | 15 | 6 | 5 | 4 | 27-20 | 23 |
| 8. ლიდსი | 15 | 7 | 2 | 6 | 22-18 | 23 |
| 9. დერბი | 15 | 6 | 4 | 5 | 29-23 | 22 |
| 10. უიგანი | 14 | 6 | 4 | 4 | 17-12 | 22 |
| 11. ბრაიტონი | 15 | 5 | 6 | 4 | 18-14 | 21 |
| 12. იპსვიჩი | 15 | 5 | 5 | 5 | 23-20 | 20 |
| 13. ბლექბერნი | 15 | 5 | 4 | 6 | 20-19 | 19 |
| 14. ბორნმუთი | 15 | 5 | 3 | 7 | 21-30 | 18 |
| 15. ჰადერსფილდი | 15 | 4 | 5 | 6 | 19-19 | 17 |
| 16. მიდლსბრო | 15 | 3 | 7 | 5 | 25-24 | 16 |
| 17. ბოლტონი | 15 | 3 | 7 | 5 | 16-21 | 16 |
| 18. ბირმინგემი | 15 | 4 | 2 | 9 | 17-22 | 14 |
| 19. ჩარლტონი | 14 | 3 | 5 | 6 | 12-18 | 14 |
| 20. მილუოლი | 15 | 3 | 5 | 7 | 18-31 | 14 |
| 21. დონკასტერი | 14 | 3 | 4 | 7 | 12-23 | 13 |
| 22. შეფილდ იუნ. | 14 | 1 | 8 | 5 | 17-23 | 11 |
| 23. ბარნსლი | 15 | 2 | 5 | 8 | 16-31 | 11 |
| 24. იოვილი | 15 | 2 | 3 | 10 | 9-22 | 9 |

**ბომბარდირები:** 11 - როს მაკორმაკი (ლიდსი) 10 - ჯორდან როუდსი (ბლექბერნი), დენი ინგსი (ბარნლი), 9 - სემ ვოუკსი (ბარნლი), ჯეიმს ვონი (ჰადერსფილდი)

● იტალია. სერია A XII ტური



იუვენტუსი ნაპოლის ადვილად გაუსწორდა

# გატყდა რომა?

## იუვემ ნაპოლის გადაურბინა

ტურის ცენტრალური მატჩი ტურინში გაიმართა, რომლის შესახებაც ხვალინდელ ნომერში დეტალურად მოგითხრობთ. დღეს ყურადღება სხვა თემებზე გავამახვილოთ: „რომას“ მიჯრით მეორე ფრე, „მილანის“ მორიგი წარუმატებლობა და ხავიერ ძანეტის დაბრუნება.

### რომამ ვერც სასუოლოს მოუგო

როგორც წინასამატჩო პრესკონფერენციაზე **რუდი გარსიამ** განაცხადა, „რომას“ „სასუოლოსთან“ ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი უნდა გაემართა - გამართა და ზედიზედ მეორე შეხვედრაში დაკარგა ქულები. ბევრმა ივარაუდა, რომ 10 მოგებული მატჩის შემდეგ, ტურინში გაჩერება გუნდზე მძიმედ იმოქმედებდა და „სასუოლოსთან“ ფრემ ეს ეჭვები კიდევ უფრო გაამყარა.

„ჯალოროსის“ ჰქონდა უპირატესობა, მაგრამ ვერც იმას დავიჩემებთ, რომ დედაქალაქელები ორი თავით სჯობდნენ მეტოქეს. მასპინძელთა იერიშებს სიმწვავე აკლდა, სტუმრები კი პერიოდულად კონტრშეტევებზე მწარედ იჩხვლიტებოდნენ. მოკლედ, „სასუოლომ“ იბრძოლა და მატჩის უკანასკნელ წუთზე გამათანაბრებელი გოლი გაიტანა. შედეგიანი დარტყმა **დომენიკო ბერარდის** ანგარიშზეა, რომელმაც წინა ტურში „სამპდორიას“ ჰეთთერიკი შეუსრულა. ერთი სიტყვით, „სასუოლოს“ გამტანი ფორვარდი გამოუჩნდა, ასეთი ფეხბურთელი კი „რომას“ ნამდვილად აკლია, განსაკუთრებით ბოლო ტურებში.

მატჩის შემდეგ რუდი გარსია ემოციებს ვერ მალავდა: *„ძალიან დასანანია, რომ უკანასკნელ წუთზე გოლი გავუშვით და მატჩის მოსაგებად დრო ფაქტობრივად აღარ დაგვრჩა. 1:0 სარისკო ანგარიშია და ამად იყო, შეგირდებს შეტევაში წასვლისკენ რომ მოვუწოდებდი. სამწუხაროდ, დღეს ბევრი რამ ვერ შევასრულეთ და შედეგად, დავისაჯეთ. „სასუოლოსთან“ ფრედ კარგი გაკვეთილი უნდა იყოს - ყველაფერს გავაკეთებ, რომ მომდევნო ტურში გულშემატკივრებმა სხვა „რომა“ იხილონ“.*

### ძანეტის დაბრუნება

„ინტერმა“ „ლივორნოს“ უმასპინძლა და მორიგი გამარჯვება მოიპოვა. მილანელებმა ორი უპასუხო გოლი გაუტანეს მეტოქეს და ცოტა მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ დამაგვირგვინებელ ფაზაში, მეტსაც გაიტანდნენ. თუმცა მეტოქემაც გაიბრძოლა და მთლიანობაში, კარგი თამაში გამოვიდა. მილანელთაგან მეორე გოლი **იუტო ნაგატომომ** გაიტანა, პირველი კი „ლივორნოს“ გოლკიპერმა საკუთარ კარში ჩაჭრა.

და ყველაზე მთავარი: მოედანს უბერებელი **ხავიერ ძანეტი** დაუბრუნდა. დიახ, „ინტერის“ ლეგენდარული კაპიტანი სრულად გამოჯანმრთელდა და ბოლო ათი წუთი ითამაშა კიდეც. ბუნებრივია, „ჯუზეპე მეაცაზე“ შეკრებილმა ტიფოზები ხავიერს მხურვალედ შეეგებნენ, ფეხზე დაუდგნენ და არც ტაში დააკლეს. ნამატჩევს მრავლისმნახველი ძანეტი ემოციებს აჰყვა:

*„ვიცოდი, რომ გულშემატკივრები თბილად მიმიღებდნენ, მაგრამ ასეთ რამეს მაინც არ ველოდი. ბოლო ათი წუთი, ტიფოზები ჩემს სახელს სკანდირებდნენ, რაც არასადროს დამავიწყდება. ნამდვილად ღირდა მოედანზე დაბრუნება და ამ ყველაფრის შეგრძნება. კარგი მატჩი გამოვიდა, რომელშიც უფრო ძლიერმა გაიმარჯვა. ამ სეზონში, „ინტერს“ უმაღლესი მიზნების მიღწევა ძალუძს, რაც მთავარი: მწვრთნელის ვალტერ მაცარის დამსახურებაა“.*

### მილანის ვარდნა გრძელდება

„მილანი“ მეათე ადგილზე იყო და ამავე პოზიციაზე დარჩა, მაგრამ ლიდერებთან კიდევ უფრო დაშორება სწორედაც რომ ვარდნაა. **მასიმილიანო ალეგრის** გუნდმა ვერც „კიევოს“ მოუგო გასვლაზე და კიდევ უფრო გაირთულა მდგომარეობა. „მილანის“ კრიზისი ღრმავდება და სადამდე მივა ეს ყველაფერი, რთული სათქმელია. შეგახსენებთ, რომ „კიევო“ სერია A-ს მიმდინარე გათამაშების აუტსაიდერია და ამ გუნდთან ფრე სწორედაც რომ მარცხის ტოლფასია.

მილანელებს კოლოსალური უპირატესობა ჰქონდათ ბურთის ფლობის მხრივ, მაგრამ ბოლო ფაზაში მოიკოჭლებდნენ. თავად განსაჯეთ, ალეგრის შეგირდებმა 17-ჯერ დაარტყეს მეტოქის კარის მიმართულებით და აქედან მხოლოდ 3-ჯერ წავიდა ბურთი კარის ჩარჩოში. „მილანს“ **მარიო ბალოტელი** აკლდა და ვერც **რიკარდო კაკამ** იფრინა - შედეგად, კიდევ ერთი უნიათო თამაში და მორიგი დაკარგული ქულები. ბოლოს, სიტყვა მასიმილიანო ალეგრის გადავცეთ, რომელსაც ჟურნალისტთა ნაწილი პოსტიდან გათავისუფლებას უწინასწარმეტყველებს:

*„ბევრი მომენტი გავატანეთ ქარს და ეს მაშინ, როდესაც მეტოქე ხეირიანად არც კი გადმოსულა ჩვენს ნახევარზე. შეგირდთა გარჯით მთლიანობაში კმაყოფილი ვარ და ვერც ვითხოვ მათგან უფრო მეტს. ცოტა იღბალი რომ გვქონოდა, ამ თამაშს აუცილებლად მოვიგებდით და დღეს „მილანის“ კრიზისის დაძლევაზე ილაპარაკებდნენ. შევინარჩუნებ თუ არა პოსტს? - ვერაფერს გეტყვით, ეს კლუბის მესვეურთა გადასაწყვეტია“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ნაგატომომ გოლი ძანეტის მიუძღვნა

### კატანია-უდინეზე 1:0

**გოლი:** 1:0 ლოპესი (30-პენ.).
**კატანია (4-3-3):** ანდუხარი - როლინი, ლეგროტალიე, გიომბერი, კაპუანო - პანაიოტისი, გუარენტე (65. ალვარესი), ალმირონი (49. ისკო) - კეკო (71. ლეტო), ლოპესი, კასტრო.
**უდინეზე (4-5-1):** ბრკიჩი - ერუ (61. ლოპესი), დანილო, დომიცი (90. ნალდო), გაბრიელ სილვა - ბასტა, პერეირა, პინცი (83.Aლანი), ლაძარი, ფერნანდესი - მურიელი.
გაფრთხილება: გუარენტე, ლოპესი - დომიცი, ბასტა, პინცი.
**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 14-21; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 7-14(4-1); **ბურთის ფლობა:** 34%-67%.
**მაყურებელი:** 16 000

### ინტერი-ლივორნო 2:0

**გოლები:** 1:0 ბარდი (30-საკ. კარში), 2:0 ნაგატომო (90).
**ინტერი (3-5-1-1):** ჰანდანოვიჩი - რანოკია, სამუელი, როლანდო - ჯონატანი, ტაიდერი (82. ძანეტი), კამბიასო, ალვარესი (59. კოვაჩიჩი), ნაგატომო - გუარინი (71. ბელფოდილი) - პალასიო.
**ლივორნო (3-5-2):** ბარდი - ჩეკერინი, ვალენტინი, ემერსონი - მბაიე, სკატარელა, ლუჩი, დუნკანი (46. ბენასი), ჯემიტი (87. ბორა) - პაულინიო, სილიგარდი (65. ემეგარა).
**გაფრთხილება:** რანოკია, როლანდო, სამუელი - სკატარელა, დუნკანი, პაულინიო.
**კუთხური:** 6-0; **ჯარიმა:** 8-15; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 8-9 (4-1); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.
**მაყურებელი:** 50 000

### ჯენოა-ვერონა 2:0

**გოლები:** პორტანოვა (29), 2:0 კუჩკა (35).
**ჯენოა (3-4-2-1):** პერინი - ანტონინი, პორტანოვა, მანფრედინი - ვრსალკო, კოფიე, მათუზალემი (61. ლოდი), ანტონელი (51. მარკეზე) - ფელტფატციდისი, კუჩკა (89. ლოდი) - ჯილარდინო.
**ვერონა (4-3-3):** რაფაელი - კაჩატორე (60. კაჩა), გონსალესი, მაიეტა, აგოსტინი - რომულო, ფრელო, ალფრედსონი (29. დონატი) - იტურბე (71. მარტინიო), ტონი, იანკოვიჩი.
**გაფრთხილება:** რანოკია, როლანდო, სამუელი - სკატარელა, დუნკანი, პაულინიო.
**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 8-8; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 8-14 (3-4); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.
მაყურებელი: 22 000

### ატალანტა-ბოლონია 2:1

**გოლები:** 1:0 ბრივიო (73), 1:1 ბიანკი (78), 2:1 ლივაია (90).
**ატალანტა (4-4-2):** კონსილი - კანინი, სკალონი, სტენდარდო, ბრივიო - რაიმონდი, მილიაჩო (66. ბაზელი), ჩიგარინი, მორალესი (86. ბრიენცა) - ლივაია, დე ლუკა (57. მარილუნგო).
**ბოლონია (3-5-1-1):** კურჩი - გარიჩი, ანტონსონი, სორენსენი - კრესპო (74. ბიანკი), კონე, კრპინი, ლაქსალტი (66. დელა როკა), მორლეო - დიამანტი - კრისტალდო (82. ხრისტოდოლოპულოსი).
**გაფრთხილება:** მილიაჩო, ლივაია - ანტონსონი, დიამანტი.
**კუთხური:** 8-1; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 10-9(3-4); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.
**მაყურებელი:** 20 000

### კალიარი-ტორინო 2:1

**გოლები:** 1:0 კონტი (43), 1:1 იმობილე (52), 2:1 კონტი (88).
**კალიარი (4-3-1-2):** ავრამოვი - როსეტინი, პიზანო (75. კოსუ), ასტორი, მურუ - კონტი, დესენა, ერიკსონი - ნაინგოლანი (88. კაბრერა) - საუ (80. იბრაიმი), იბარბო.
**ტორინო (4-3-3):** პადელი - გლიკი, დარმიანი, მორეტი, ელ ქადური - ვივესი, გაცი, ბელომო (69. ელ ქადური) - დამბროზიო, ჩერჩი, იმობილე.
**გაფრთხილება:** პიზანო, კონტი, ნაინგოლანი, იბარბო - მორეტი, ვივესი, ელ ქადური, ბელომო.
**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 11-19; **თამაშგარე:** 1-6; **კარში დარტყმა:** 8-6 (5-4); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.
**მაყურებელი:** 10 000

### კიევო-მილანი 0:0

**კიევო (3-5-2):** პუჯონი - ცეზარი, ფრეი, დაინელი - სარდო, პამიჩი, ესტიგარიბია (46. ჰეტემაი), რადოვანოვიჩი, რიგონი - თერეუ (65. პელისიერი), პალოსკი (78. აკოსტი).
**მილანი (4-4-1-1):** აბიატი - აბატე, მექსე, საპატა, ემანუელსონი - მუნტარი (66. რობინიო), მონტოლივო, დე იონგი, პოლი (78. კონსტანტი) - კაკა (85. კრისტანტე) - მატრი.
**გაფრთხილება:** ცეზარი, რიგონი (კიევო).
**გაძევება:** პელისიერი (90) - მონტოლივო (83).
**კუთხური:** 2-8; **ჯარიმა:** 8-15; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 5-17(2-3); **ბურთის ფლობა:** 25%-75%.
**მაყურებელი:** 15 000

### პარმა-ლაციო 1:1

**გოლები:** კეიტა (50), 1:1 ლუკარელი (64).
**პარმა (3-5-2):** მირანტე - კასანი, ლუკარელი, ფელიპე - როზი, პაროლო, მარკიონი, ობი (26. ვალდესი), გობი - კასანო (81. ამაური), პალადინო (45. სანსონე).
**ლაციო (4-3-3):** მარკეტი - პერეირინია (86. კავანდა), ნოვარეტი, ცანა, რადუ - ერნანესი (70. ბილია), ლედესმა, ონაზი - კეიტა, კანდრევა, კლოზე (84. ფლოკარი).
**გაფრთხილება:** ფელიპე, პაროლო - პერეირინია, კლოზე.
**გაძევება:** როზი (86. პარმა).
**კუთხური:** 4-10; **ჯარიმა:** 11-6; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 8-10(4-4); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.
**მაყურებელი:** 18 000

### რომა-სასუოლო 1:1

**გოლები:** 1:0 ლონგი (19-საკ. კარში), 1:1 ბერარდი (90).
**რომა (4-3-3):** დე სანქტისი - მაიკონი, კასტანი, ბურდისო, ბალცარეტი - პიანიჩი (75. კაპრარი), დე როსი, სტროტმანი - ფლორენცი (84. მარკინიო), ლიაიჩი, ბორიელო (33. ბრედლი).
**სასუოლო (3-5-2):** პეგოლო - ანტეი, აჩერბი, ბიანკო - გაცოლა (71. კურტიჩი), მისიროლი (64. ფარიასი), მანიანელი (78. ძაძა), ლონგი, მარონე - ფლორო ფლორესი, ბერარდი.
**გაფრთხილება:** სტროტმანი, ლიაიჩი - მანიანელი, ფლორო ფლორესი, ბერარდი, კურტიჩი.
**კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 15-9; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 11-9 (6-7); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.
**მაყურებელი:** 60 000

### ფიორენტინა-სამპდორია 2:1

**გოლები:** 1:0 როსი (11-პენ.), 2:0 როსი (17), 2:1 გაბიადინი (74).
**ფიორენტინა (4-3-3):** ნეტო - ტომოვიჩი, გონსალო, სავიჩი, პასკუალი - ბორხა ვალერო, აკვილანი, ფერნანდესი (84. ვეჩინო) - ხოაკინი (69. ვარგასი), კუადრადო (79. რებიჩი), როსი.
**სამპდორია (3-5-2):** და კოსტა - მუსტაფი, პალომბო, რეჯინი - დე სილვესტრი, ობიანგი, ბერარდი (60. გავაცი), კრსტიჩიჩი, გენცოლლუ (52. ვიჟოლლეკი) - ედერი, გაბიადინი (84. პოცი).
**გაფრთხილება:** მუსტაფი, გენცოლლუ, ბერარდი, ედერი (სამპდორია).
**კუთხური:** 9-1; **ჯარიმა:** 14-7; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 10-12 (5-3); **ბურთის ფლობა:** 55%-34%.
**მაყურებელი:** 30 000

### იუვენტუსი-ნაპოლი 3:0

**გოლები:** 1:0 ლორენტე (2), 2:0 პირლო (74), 3:0 პოგბა (80).
**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - ბარცალი, ბონუჩი, ოგბონა - ისლა, ვიდალი (86. მარკიზიო), პოგბა, პირლო, ასამოა - ტევესი (84. პელუზო), ლორენტე (88. კვალიარელა).
**ნაპოლი (4-2-3-1):** რეინა - მაჯო, ალბიოლი, ფერნანდესი, არმერო - ინლერი (79. საპატა), ბერამი - ჰამშიკი, კალეხონი (71. მერტენსი), ინსინიე - იგუაინი.
**გაფრთხილება:** ბონუჩი, ვიდალი - ჰამშიკი.
**გაძევება:** ოგბონა (83. იუვენტუსი).
**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 15-16; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 13-12 (10-5); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.
**მაყურებელი:** 40 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რომა | 12 | 10 | 2 | 0 | 26-3 | 32 |
| 2. იუვენტუსი | 12 | 10 | 1 | 1 | 26-10 | 31 |
| 3. ნაპოლი | 12 | 9 | 1 | 2 | 24-11 | 28 |
| 4. ინტერი | 12 | 7 | 4 | 1 | 29-12 | 25 |
| 5. ფიორენტინა | 12 | 7 | 3 | 2 | 24-13 | 24 |
| 6. ვერონა | 12 | 7 | 1 | 4 | 22-19 | 22 |
| 7. ჯენოა | 12 | 5 | 2 | 5 | 13-14 | 17 |
| 8. ლაციო | 12 | 4 | 4 | 4 | 16-16 | 16 |
| 9. ატალანტა | 12 | 5 | 1 | 6 | 14-15 | 16 |
| 10. მილანი | 12 | 3 | 4 | 5 | 17-19 | 13 |
| 11. პარმა | 12 | 3 | 4 | 5 | 17-20 | 13 |
| 12. უდინეზე | 12 | 4 | 1 | 7 | 11-15 | 13 |
| 13. კალიარი | 12 | 3 | 4 | 5 | 13-20 | 13 |
| 14. ტორინო | 12 | 2 | 6 | 4 | 18-21 | 12 |
| 15. ლივორნო | 12 | 3 | 3 | 6 | 13-18 | 12 |
| 16. ბოლონია | 12 | 2 | 4 | 6 | 14-24 | 10 |
| 17. სასუოლო | 12 | 2 | 4 | 6 | 13-28 | 10 |
| 18. სამპდორია | 12 | 2 | 3 | 7 | 13-22 | 9 |
| 19. კატანია | 12 | 2 | 3 | 7 | 8-19 | 9 |
| 20. კიევო | 12 | 1 | 3 | 8 | 7-18 | 6 |

ბომბარდირები: 11 - ჯუზეპე როსი (ფიორენტინა); 8 - ალესიო ჩერჩი (ტორინო); 7 - როდრიგო პალასიო (ინტერი).

### მომდევნო ტური

23 ნოემბერი: ვერონა-კიევო, მილანი-ჯენოა, ნაპოლი-პარმა;
24 ნოემბერი: ლივორნო-იუვენტუსი, სამპდორია-ლაციო, სასუოლო-ატალანტა, ტორინო-კატანია უდინეზე-ფიორენტინა, ბოლონია-ინტერი; 25 ნოემბერი: რომა-კალიარი.

### სერია B. XIII ტური

**სპეცია-ჩეზენა 2:1**
გოლები: 0:1 დეფრელი (31).

**ბარი-ვარეზე 2:1**
**გოლები:** 1:0 გალანო (33), 2:0 დეფენდი (51-პენ.), 2:1 ფალკონე (69-პენ.).

**ბრეშა-აველინო 0:2**
**გოლები:** 0:1 გალაბინოვი (29), 0:2 კასტალდო (90).

**კარპი-კროტონე 1:2**
**გოლები:** 0:1 ბერნარდესკი (10), 0:2 ბერნარდესკი (23), 1:2 აბრუცეზე (33-საკ. კარში).

**ჩიტადელა-პესკარა 0:1**
**გოლი:** 0:1 რაგუზა (11).

**იუვე სტაბია-მოდენა 1:1**
**გოლები:** 1:0 ვიტალე (11), 1:1 დუდუ (74).

**ნოვარა-ლატინა 2:2**
**გოლები:** 0:1 ჯონატასი (21), 0:2 ჯონატასი (35-პენ.), 1:2 რუბინო (56), 2:2 ლაპილერი (77).

**პალერმო-ტრაპანი 3:0**
**გოლები:** 1:0 ლაფერტი (52), 2:0 ბარეტო (87), 3:0 ბელოტი (90).

**რეჯინა-პადოვა 2:1**
**გოლები:** 0:1 სიანო (47), 1:1 დი მიკელე (55), 2:1 დი მიკელე (88).

**ლანჩანო-სიენა 1:1**
**გოლები:** 1:0 პლაზმატი (8), 1:1 როზინა (84).

### 11 ნოემბერი

**ტერნანა-ემპოლი 23.30**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლანჩანო | 13 | 7 | 5 | 1 | 15-7 | 26 |
| 2. ემპოლი | 12 | 7 | 3 | 2 | 19-9 | 24 |
| 3. პალერმო | 13 | 7 | 3 | 3 | 21-10 | 24 |
| 4. აველინო | 13 | 7 | 3 | 3 | 16-12 | 24 |
| 5. კროტონე | 13 | 7 | 2 | 4 | 23-20 | 23 |
| 6. ჩეზენა | 13 | 6 | 4 | 3 | 18-12 | 22 |
| 7. სპეცია | 13 | 5 | 5 | 3 | 13-12 | 20 |
| 8. მოდენა | 13 | 5 | 4 | 4 | 18-13 | 19 |
| 9. ვარეზე | 13 | 4 | 5 | 4 | 16-15 | 17 |
| 10. ლატინა | 13 | 3 | 8 | 2 | 10-11 | 17 |
| 11. პესკარა | 13 | 3 | 6 | 4 | 19-18 | 15 |
| 12. კარპი | 12 | 4 | 2 | 6 | 9-15 | 14 |
| 13. სიენა | 13 | 4 | 7 | 2 | 24-18 | 14 |
| 14. ბრეშა | 13 | 2 | 8 | 3 | 18-19 | 14 |
| 15. ჩიტადელა | 13 | 3 | 5 | 5 | 10-16 | 14 |
| 16. ბარი | 13 | 4 | 4 | 5 | 12-13 | 13 |
| 17. ნოვარა | 13 | 2 | 7 | 4 | 13-21 | 13 |
| 18. ტრაპანი | 13 | 2 | 6 | 5 | 14-16 | 12 |
| 19. რეჯინა | 13 | 3 | 3 | 7 | 11-20 | 12 |
| 20. ტერნანა | 12 | 2 | 5 | 5 | 17-16 | 11 |
| 21. პადოვა | 12 | 3 | 1 | 8 | 9-19 | 10 |
| 22. იუვე სტაბია | 13 | 1 | 4 | 8 | 11-24 | 7 |

*შენიშვნა: სიენა - 5, ბარი - 3 ქულა.*

ბომბარდირები: 8 - ანტენუჩი (ტერნანა), ბაბაქარი (მოდენა), ერნანდესი (პალერმო); 7 - პავოლეტი (ვარეზე), მანკოზუ (ტრაპანი), ტავანო (ემპოლი).

### სერია C1/B

**ბენევენტო-პიზა 1:1, გროსეტო-კატანძარო 0:1, გუბიო-ბარლეტა 0:1, პერუჯა-ლაკვილა 2:1, პონტედერა-ლეჩე 0:0, პრატო-ფროზინონე 3:3, ვიარეჯო-ასკოლი 0:0, სალერნიტანა-ნოჩერინა გადაიდო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## ინგლისი

### კონფერენსი

გადადებული მატჩი

ჰაიდი-ჩესტერი 1:2

## ინგლისის თასი

### I რაუნდი

უიმბლდონი-ქოვენთრი 1:3
გრიმსბი-სკანთორპი 0:0
ბორეჰემი-კარლაილი 0:0
აკრინგტონი-ტრანმერი 0:1
ბრენტრი-ნიუპორტი 1:1
ბრენტფორდი-სტეინსი 5:0
ბრისტოლი-დაგენჰემი 3:0
ჩესტერფილდი-დევენტრი 2:0
კოლჩესტერი-შეფილდი 2:3
კორბი-დოვერი 1:2
ჯილინგემი-ბრეკლი 1:1
გლოუჩესტერი-ფლიტვუდი 0:2
ჰარტლპული-ნოტსი 3:2
ჰენდესფორდი-ქროული 1:2
კიდერმინსტერი-სატონი 4:1
ლეიტონი-სკანთორპი 5:2
ლინკოლნი-პლიმუტი 0:0
მაკლსფილდი-სუინდონი 4:0
მილტონი-ჰალიფაქსი 4:1
მორეკამბი-საუთენდი 0:3
ოლდჰემი-ვულვზი 1:1
ოქსფორდი-გეიტშიდი 2:2
პიტერბორო-ექსეტერი 2:0
პრესტონი-ბარნეტი 6:0
როტერჰემი-ბრედფორდი 3:0
სალისბერი-დარტფორდი 4:2
სტ. ალბანსი-მენსფილდი 1:8
სტივენიჯი-პორტსმუტი 2:1
სტაურბრიჯი-ბიგლსუეიდი 4:1
ტამუორტი-ჩელტენემი 1:0
ტორკი-როჩდეილი 0:2
უოლსოლი-შრიუსბერი 3:0
უელინგი-ლუტონი 2:1
უიკომბი-ქრიუ 1:1
რექსემი-ალფრეტონი 3:1
ბიშოპი-ნორთჰემპტონი 1:2
ბარტონი-ჰერეფორდი 2:0
შორტვუდი-პორტ ვეილი დღეს

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ბაიერნი)

XXII ტური

ჰაიმშტეტენი-ზელიგენპორტენი 1:4
ფიურტი II-აინტრახტი (ბ) 2:3
შვაინფურტი-შალდინგი 0:0
ვიურცბურგერი-რაინი 5:2
ნიურნბერგი II-ბაიერნ ჰოფი 2:1
ინგოლშტადტი II-ვიქტორია (ა) 4:1
როზენჰაიმი-ილერტისენი 1:2

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XV ტური

ჰამბურგი II-ჰაველსე 2:0
სტ. პაული II-ვერდერი II 1:2
აინტრახტი (ნ)-ფლენსბურგი 1:2
გოსლარერი-ვიქტორია 1:3
ჰანოვერი II-კლოპენბურგი 2:0
ნოიმუნსტერი-აიხედი 1:1
ვილჰელმსჰავენი-ვოლფსბურგი II 0:2
რედენი-ოლდენბურგი 0:0

### რეგიონალლიგა (ჩ-ა)

XIII ტური

ცვიკაუ-პლაუენი 2:1
ბერლინერი-ნოიშტრელიცი 0:2
გერმანია-რატენოვი 2:1
ლოკომოტივი-ვიქტორია 0:1
უნიონი II-კარლ ცაისი 3:3
აუერბახი-ვაკერი 2:3
მოისელვიცი-ჰერთა II 2:1

### რეგიონალლიგა (დას)

XVI ტური

კიოლნი II-გლადბახი II 0:3
ფორტუნა (კ)-ვიქტორია 4:2
ლიპშტადტი-ბოხუმი II 1:4
ვერლი-ზიგენი 1:1
შალკე II-ვიდენბრიუკი 0:2
ვატენშაიდი-ლევერკუზენი II 1:1
ველბერტი-ფორტუნა II 0:3

### რეგიონალლიგა (ს-დ)

XVI ტური

ჰფიულენდორფი-აინტრახტი II 0:2
ცვაიბრიუკენი-კასელი 3:0
ნეკარელცი-ფრაიბურგი II 1:0
ვორმატია-ზონენჰოფი 1:1
ტრირი-ჰომბურგი 0:2
ჰოფენჰაიმი II-ულმი 3:0
ბაუნატალი-მანჰაიმი გადაიდო

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

XIV ტური

მეცი-დიჟონი 2:0
არლი-ბრესტი 1:0
ნიორი-ლანსი დღეს

## ჰოლანდია

### II დივიზიონი

XVI ტური

სპარტა-დორდრეხტი 2:3
ეინდჰოვენი-ახილესი 3:1
ვოლენდამი-ვენლო 1:1
აიაქსი II-გრააფსხაპი დღეს
პსვ II-მაასტრიხტი დღეს

## ბელგია

XV ტური

სერკლი-კორტრიიკი 3:1
ოსტენდე-მონსი 2:0
ლოკერენი-ლიერსი 2:0
შარლერუა-გენტი 0:1
სტანდარდი-ბრიუგე 0:0
გენკი-ანდერლეხტი 0:1
ვარეგემი-ვაასლანდი 2:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტანდარდი | 15 | 10 | 4 | 1 | 29-9 | 34 |
| 2. გენკი | 15 | 10 | 2 | 3 | 28-13 | 32 |
| 3. ვარეგემი | 15 | 9 | 5 | 1 | 32-21 | 32 |
| 4. ანდერლეხტი | 15 | 10 | 1 | 4 | 38-17 | 31 |
| 5. ბრიუგე | 15 | 9 | 3 | 3 | 22-14 | 30 |
| 6. ლოკერენი | 15 | 8 | 2 | 5 | 29-20 | 26 |
| 7. კორტრიიკი | 15 | 8 | 1 | 6 | 21-17 | 25 |
| 8. სერკლი | 15 | 5 | 5 | 5 | 15-22 | 20 |
| 9. გენტი | 15 | 4 | 6 | 5 | 17-22 | 18 |
| 10. მეხელენი | 15 | 4 | 4 | 7 | 20-27 | 16 |
| 11. შარლერუა | 15 | 3 | 6 | 6 | 17-22 | 15 |
| 12. ლიერსი | 15 | 4 | 2 | 9 | 11-25 | 14 |
| 13. ჰევერლე | 15 | 3 | 5 | 7 | 19-26 | 14 |
| 14. ოსტენდე | 15 | 3 | 3 | 9 | 11-25 | 12 |
| 15. ვაასლანდი | 15 | 1 | 6 | 8 | 11-22 | 9 |
| 16. მონსი | 15 | 0 | 3 | 12 | 11-28 | 3 |

### II დივიზიონი

XV ტური

ანტვერპენი-ვოლუვე 2:1; ჰუგსტრატენი-დესელი 1:3; ჰაისტი-ბორინაჟი 0:0; ლომელი-ვიზე 5:1; მუსკრონი-ბრიუსელი 0:1; ტუბეკე-ვირტონი 1:0; აალსტი-რუზელარე 4:1; გეელი-ვესტერლო 1:3.

## პორტუგალია

### II დივიზიონი

XV ტური

მარიტიმუ B-ლეიქსოესი 2:1
ბრაგა B-პორტიმონენსე 0:1
ფეირენსე-ფარენსე 0:1
ოლივეირენსე-სპორტინგი B 2:3
კოვილია-ტროფენსე 1:4
ტონდელა-ბეირა მარი 2:1
მადეირა-პორტუ B 1:0
სანტა კლარა-ავეში 1:2

## პორტუგალიის თასი

### 1/16 ფინალი

კოვა-ჟილ ვისენტე 0:0 პენ. 3:4
რიბეირაო-პენაფიელი 0:2
აროუკა-შავეში 2:0
ბენფიკა-სპორტინგი 4:3 დ.დ.
კამაჩა-ატლეტიკო 1:2
აკადემიკა-ვიზელა 1:1 პენ. 4:3
ფამალიკაო-ესტორილი 0:1 დ.დ.
მარიტიმუ-ოლივეირენსე 3:0
რიუ ავე-სერტანენსე 4:2
სეტუბალი-სანტა მარია 2:1
ოლჰანენსე-ბრაგა 1:3
გიმარაეში-პორტუ 0:2

## შოტლანდია

### ჩემპიონშიპი

XII ტური

კოუდენბიტი-ალოა 0:2
დანდი-რეითი 2:0
ფალკირკი-ლივინგსტონი 4:1
მორტონი-დამბარტონი 2:0
ქუინი-ჰამილტონი 0:1

### I ლიგა

XII ტური

არბროუთი-ისტ ფაიფი 2:2
დანფერმლაინი-სტენჰაუსმუირი 3:2
ფორფარი-ბრეჩინი 2:0
რეინჯერსი-აირდრი 2:0

### II ლიგა

XI ტური

ალბიონი-ანენი 2:0
ისტ სტირლინგი-სტირლინგი 2:2
ელჯინი-პიტერჰედი 2:4
ქუინზ პარკი-კლაიდი 1:1

## ავსტრია

XV ტური

ვაკერი-ვინერი 4:0
აუსტრია-ვოლფსი 1:0
გრიოდიგი-რაპიდი 2:2
ადმირა-ზალცბურგი 3:1
შტურმი-რიდი გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 15 | 10 | 4 | 1 | 46-13 | 34 |
| 2. რაპიდი | 15 | 6 | 6 | 3 | 28-18 | 24 |
| 3. რიდი | 14 | 6 | 6 | 2 | 28-21 | 24 |
| 4. აუსტრია | 15 | 6 | 4 | 5 | 26-19 | 22 |
| 5. გრიოდიგი | 15 | 6 | 4 | 5 | 33-30 | 22 |
| 6. შტურმი | 14 | 4 | 4 | 6 | 18-22 | 16 |
| 7. ვოლფსი | 15 | 3 | 6 | 6 | 23-28 | 15 |
| 8. ვინერი | 15 | 3 | 5 | 7 | 20-42 | 14 |
| 9. ტიროლი | 15 | 2 | 7 | 6 | 21-33 | 13 |
| 10. ადმირა | 15 | 4 | 2 | 9 | 18-35 | 6 |

## ბრაზილია

XXXIII ტური

ბაია-ატ. მინეირო 0:0
პორტუგეზა-კორიტიბა 0:0
ფლამენგო-გოიაში 1:1
ატ. პარანაენსე-სან პაულუ 3:0
კრუზეირო-გრემიო 3:0
ინტერნასიონალი-ბოტაფოგო 2:1
პონტე პრეტა-ვიტორია 0:3
კორინთიანსი-ფლუმინენსე გვ. დასრულდა
ნაუტიკო-კრისიუმა გვ. დასრულდა
ვასკო და გამა-სანტოსი გვ. დასრულდა

## კვიპროსი

IX ტური

აელ-ანორთოსისი 3:1
ეთნიკოსი-დოქსა 0:3
ნეა სალამისი-არისი 2:1
აეკ-ერმისი 0:0
კუკლიონი-ომონია 0:4
აპოელ-ალკი დღეს
ენოსისი-აპოლონი დღეს

## დანია

XV ტური

ნორდსიელანდი-სონდერიისკი 3:0
ოდენსე-ვესტსიელანდი 1:3
ესბერგი-კოპენჰაგენი 1:1
ბრონდბიუ-აგფ ორჰუსი 3:0
რანდერსი-ოლბორგი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მიდტიულანდ | 15 | 8 | 6 | 1 | 28-15 | 30 |
| 2. ოლბორგი | 14 | 7 | 3 | 4 | 20-16 | 24 |
| 3. კოპენჰაგენი | 15 | 5 | 6 | 4 | 26-19 | 21 |
| 4. ბრონდბიუ | 15 | 5 | 6 | 4 | 20-18 | 21 |
| 5. აგფ ორჰუსი | 15 | 6 | 3 | 6 | 22-24 | 21 |
| 6. ვიბორგი | 15 | 5 | 5 | 5 | 25-23 | 20 |
| 7. ვესტსიელანდ | 15 | 5 | 5 | 5 | 18-22 | 20 |
| 8. ესბერგი | 15 | 5 | 3 | 7 | 27-24 | 18 |
| 9. ოდენსე | 15 | 4 | 6 | 5 | 23-22 | 18 |
| 10. რანდერსი | 14 | 4 | 6 | 4 | 20-21 | 18 |
| 11. ნორდსილანდ | 15 | 5 | 3 | 7 | 16-23 | 18 |
| 12. სონდერიისკი | 15 | 3 | 2 | 10 | 13-31 | 11 |

### II დივიზიონი

XVI ტური

ბრონსჰოი-ჰორსენსი 1:2; მარიენლისტ-ჰობრო გადაიდო; ლუნგბიუ-ფრედერისია 1:0; ვენდსისელი-კიოგე 2:1.

## საბერძნეთი

XI ტური

პლატანიასი-აპოლონი 2:0
იანინა-ოფი 2:1
არისი-პანათინაიკოსი 0:2
პანიონიოსი-ატრომიტოსი 2:1
ერგოტელისი-პანთრაკიკოსი 3:1
პანაიტოლიკოსი-ლევადია 2:1
ვერია-კალონი 0:3
ოლიმპიაკოსი-პაოკი 4:0
ასტერასი-ქსანთი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 11 | 10 | 1 | 0 | 34-3 | 31 |
| 2. პაოკი | 11 | 8 | 1 | 2 | 20-11 | 25 |
| 3. ატრომიტოსი | 11 | 5 | 3 | 3 | 17-10 | 18 |
| 4. პანათინაიკოს | 11 | 5 | 2 | 4 | 13-11 | 17 |
| 5. პანაიტოლიკ | 11 | 4 | 5 | 2 | 13-7 | 17 |
| 6. ერგოტელისი | 11 | 4 | 5 | 2 | 14-10 | 17 |
| 7. იანინა | 11 | 5 | 2 | 4 | 13-12 | 17 |
| 8. კალონი | 11 | 5 | 0 | 6 | 13-17 | 15 |
| 9. პანიონიოსი | 11 | 4 | 3 | 4 | 14-15 | 15 |
| 10. ასტერასი | 10 | 3 | 5 | 2 | 15-12 | 14 |
| 11. პანთრაკიკოს | 11 | 3 | 5 | 3 | 12-15 | 14 |
| 12. ქსანთი | 10 | 4 | 1 | 5 | 12-16 | 13 |
| 13. ლევადია | 11 | 3 | 2 | 6 | 10-21 | 11 |
| 14. პლატანიასი | 11 | 2 | 5 | 4 | 11-15 | 11 |
| 15. ოფი | 11 | 1 | 6 | 4 | 8-14 | 9 |
| 16. აპოლონი | 11 | 2 | 2 | 7 | 11-20 | 8 |
| 17. არისი | 11 | 2 | 2 | 7 | 6-16 | 8 |
| 18. ვერია | 11 | 1 | 4 | 6 | 8-19 | 7 |

## ნორვეგია

XXX ტური

ბრანი-ტრომსიო 4:1
ლილესტრიომი-როზენბორგი 0:3
მიოლდე-სტარტი 0:1
ოდ გრენლანდი-ჰიონეფოსი 3:2
სოგნდალი-ოლესუნდი 1:2
სტრიომსგოდსეტი-ჰაუგესუნდი 4:0
ვიკინგი-სარპსბორგი 2:1
ვოლერენგა-სანდნესი 2:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტრიომსგოდ | 30 | 19 | 6 | 5 | 66-26 | 63 |
| 2. როზენბორგი | 30 | 18 | 8 | 4 | 50-25 | 62 |
| 3. ჰაუგესუნდი | 30 | 15 | 6 | 9 | 41-39 | 51 |
| 4. ოლესუნდი | 30 | 14 | 7 | 9 | 55-44 | 49 |
| 5. ვიკინგი | 30 | 12 | 10 | 8 | 41-36 | 46 |
| 6. მიოლდე | 30 | 12 | 8 | 10 | 47-38 | 44 |
| 7. ოდ გრენლან | 30 | 11 | 7 | 12 | 43-39 | 40 |
| 8. ბრანი | 30 | 11 | 6 | 13 | 46-46 | 39 |
| 9. სტარტი | 30 | 10 | 8 | 12 | 43-46 | 38 |
| 10. ლილესტრიომ | 30 | 9 | 9 | 12 | 37-44 | 36 |
| 11. ვოლერენგა | 30 | 10 | 6 | 14 | 41-50 | 36 |
| 12. სოგნდალი | 30 | 8 | 9 | 13 | 33-48 | 33 |
| 13. სანდნესი | 30 | 9 | 6 | 15 | 36-58 | 33 |
| 14. სარპსბორგი | 30 | 8 | 7 | 15 | 40-58 | 31 |
| 15. ტრომსიო | 30 | 7 | 8 | 15 | 41-50 | 29 |
| 16. ჰიონეფოსი | 30 | 6 | 11 | 13 | 34-47 | 29 |

### II დივიზიონი

პლეი ოფი

მიონდალენი-რანჰაიმი 1:4

## ჩრ. ირლანდია

XV ტური

არდსი-კოლრეინი 3:1
ბალინამალარდი-პორტადაუნი 2:1
კლიფტონვილი-ბალიმენა 2:1
დუნგანონი-გლენტორანი 1:2
გლენავონი-კრუზეიდერსი 2:2
ლინფილდი-უორენპოინტი 5:1

## ბოსნია

XVI ტური

ლეოტარი-ოლიმპიკი 0:2
რადნიკი-რუდარი 2:0
ვიტეზი-ტრავნიკი 3:0
ბორაცი-ჩელიკი 0:0
შიროკი ბრიეგი-მლადოსტი 6:0
სლავია-ველეჟი 0:2
ჟელეზნიჩარი-ზვიეზდა 1:0
ზრინსკი-სარაევო 1:1

## შვედეთი

პლეი ოფი. II მატჩი

ჰალმსტადი-სუნდსვალი 2:1 (1:1)

### II დივიზიონი

პლეი ოფი. II მატჩები

ვარნამო-დალკურდი 5:1 (0:1)
ვარბერგსი-ოდევოლდი 2:1 (1:0)

## შვედეთის თასი

### 1/32 ფინალი

კრისტიანსტადი-ელფსბორგი 0:4

## შვედეთის სუპერთასი

მალმიო-გიოტებორგი 3:2

## შვეიცარია

### ჩელენჯლიგა

XV ტური

კიასო-სერვეტი 1:2
ვადუცი-ლოკარნო 3:0
ვინტერტური-ვოლენი 1:0

## შვეიცარიის თასი

### 1/8 ფინალი

ბადენი-ციურიხი 1:4
კონიცი-გრასჰოპერსი 1:4
ლე მონი-იანგ ბოიზი 4:1
ბრული-ლოზანა 0:3
ტუგენი-ბაზელი 1:3
ლუცერნი-სიონი 1:0
სტ. გალენი-არაუ 4:0
ბილი-თუნი გადაიდო

## თურქეთი

### II დივიზიონი

XIII ტური

შანლიურფა-სამსუნი 0:0
ანკარასპორი-ბუკა 1:0
ბუიუქშეჰირი-ფეთიიე 1:0
ქაჰრამანმარაში-დენიზლი 0:2
მანისა-ადანა 1:1
ქარსიაქა-ბოლუ 2:2
მერსინი-1461 ტრაბზონი 0:1
ადანასპორი-ბალიქესირი დღეს
ორდუ-გაზიანთეპი ბბ დღეს

## უელსი

XIII ტური

ბალა-პორტ ტელბოტი 0:0
ბანგორი-კარმარტენი 0:1
პრესტატინი-აფან ლიდო 1:2

## ბელარუსი

XXX ტური

### საჩემპიონო ზონა

შახტიორი-დინამო (მნ) 0:0
ტორპედო-ბატე 1:3
ნემანი-გომელი 1:2

### გასავარდნი ზონა

ნაფტანი-დნეპრი 1:0
სლავია-მინსკი 1:2
ბელშინა-დინამო (ბრ) 0:4

## ბულგარეთი

XVII ტური

ლიტექსი-პირინი 6:2
სლავია-ნეფტოხიმიკი 2:0
ბეროე-ლევსკი 1:0
ჩერნომორეცი-ლოკომოტივი (ს) 2:1
ლიუბიმეცი-ბოტევი 1:0
ცსკა-ლუდოგორეცი 0:2
ლოკომოტივი (პ)-ჩერნო მორე დღეს

## ხორვატია

XVI ტური

ოსიეკი-სპლიტი 0:0
ჰაიდუკი-ისტრა 2:0
დინამო-სლავენი 1:0
რიეკა-დრაგოვოლიაცი 1:0 შეწყდა

## ესტონეთი

XXXVI ტური

კურესაარე-ლევადია 2:4
ინფონეტი-ტრანს ნარვა 3:2
ტამეკა-კალიუ 0:3
პაიდე-ტალინა 1:0
ფლორა-სილამაე 0:3

## უნგრეთი

XIV ტური

დებრეცენი-პუშკაში 2:1
დიორი-კაპოშვარი 1:0
ლომბარდი-პაკში 1:0
პეჩი-დიოშდიორი 1:1
მტკ-ჰონვედი 1:1
ფერენცვაროში-ჰალადაში 0:3
კეჩკემეტი-უიპეშტი 1:1

## ისრაელი

IX ტური

აშდოდი-ჰაპოელი (ა) 1:0
ბნეი შაქნინი-ჰაპოელი (ბ-შ) 0:4
ბნეი იეჰუდა-ჰაპოელი (თ-ა) 2:2
ირონი (ქ-შ)-ჰაპოელი (რ) 0:0
ირონი (რ-ა)-ჰაპოელი (ი-ა) 1:1
მაკაბი (თ-ა)-მაკაბი (ფ-ა) დღეს
მაკაბი (ჰ)-ბეითარი დღეს

## ჩეხეთი

XIV ტური

ზნოიმო-სლოვაცკო 1:2
ბოლესლავი-პლზენი 1:2
იაბლონეცი-პრშიბრამი 6:0
სლავია-ბრნო 0:0
სიგმა-სპარტა 1:1
ტეპლიცე-ლიბერეცი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტა | 14 | 11 | 3 | 0 | 34-8 | 36 |
| 2. პლზენი | 14 | 9 | 4 | 1 | 32-11 | 31 |
| 3. ტეპლიცე | 13 | 8 | 2 | 3 | 33-15 | 26 |
| 4. ლიბერეცი | 13 | 7 | 3 | 3 | 14-15 | 24 |
| 5. ბოლესლავი | 14 | 6 | 5 | 3 | 27-15 | 23 |
| 6. დუკლა | 14 | 5 | 6 | 3 | 16-12 | 21 |
| 7. იაბლონეცი | 14 | 5 | 4 | 5 | 27-25 | 19 |
| 8. სიგმა | 14 | 4 | 5 | 5 | 24-26 | 17 |
| 9. სლოვაცკო | 14 | 4 | 4 | 6 | 21-25 | 16 |
| 10. ბრნო | 14 | 4 | 2 | 8 | 17-22 | 14 |
| 11. ბანიკი | 14 | 3 | 5 | 6 | 14-27 | 14 |
| 12. ბოჰემიანსი | 14 | 3 | 4 | 7 | 13-25 | 13 |
| 13. სლავია | 14 | 3 | 4 | 7 | 10-24 | 13 |
| 14. იჰლავა | 14 | 3 | 3 | 8 | 19-25 | 12 |
| 15. პრშიბრამი | 14 | 3 | 3 | 8 | 13-31 | 12 |
| 16. ზნოიმო | 14 | 2 | 5 | 7 | 13-21 | 11 |

### II დივიზიონი

XV ტური

ბოჰემიანსი-მოსტი 0:2; ლოკო-პრადეცი 1:1; პარდუბიცე-უსტი 0:1; ტრშინეცი-ბუდეიოვიცე 1:3; ვლაშიმი-ფრიდეკი 1:1; ტაბორსკო-ჟიჟკოვი 1:0; კარვინა-სოკოლოვი 1:1.

## ლატვია

XXVII ტური

მეტა-დაუგავა (დ) 1:0
დაუგავა (რ)-ვენტსპილსი 0:1
სკონტო-იელგავა 0:2
იურმალა-სპარტაკსი 2:1
ილუკსტესი-მეტალურგსი 2:10

## ლიტვა

XXXVI ტური

ტაურასი-ეკრანასი 0:1
შიაულიაი-კრუოჯა 2:5
ატლანტასი-ბანგა 1:1
ჟალგირისი-სუდუვა 1:3

## მაკედონია

XV ტური

გორნო-რაბოტნიჩკი 1:0
ვარდარი-ტურნოვო 1:1
მაკედონია-რენოვა 2:1
ნაპრედოკი-მეტალურგი 0:2
პელისტერი-ბრეგალნიცა 1:0
შკენდია-გოსტივარი 4:0

## მოლდოვა

XIV ტური

მილსამი-ზიმბრუ 4:2
სპერანცა-ტირასპოლი 0:3
შერიფი-ოლიმპია 3:0

## ჩერნოგორია

XIV ტური

ჩელიკი-ლოვჩენი 0:1
დეჩიჩი-სუტიესკა 0:1
მლადოსტი-ზეტა 2:1
მოგრენი-რუდარი 0:1
მორნარი-ბუდუჩნოსტი 1:1
პეტროვაცი-გრბალი 1:1

## პოლონეთი

XVI ტური

პიასტი-კრაკოვია 1:1
პოდბესკიძე-ლეხია 3:1
ლეხი-რუხი 4:2
შლიონსკი-კორონა 1:1
ვიძევი-ლეგია 0:1
პოგონი-ზაგლებე დღეს

## რუმინეთი

XIV ტური

ბოტოშანი-ჩახლაული 0:1
ვიიტორული-პანდური 0:1
გაზ მეთანი-რაპიდი დღეს
პოლი ტიმიშოარა-ოცელული დღეს
კორონა-ბრაშოვი დღეს

## სერბეთი

XII ტური

რადნიჩკი-ჰაიდუკი 2:1
სლობოდა-ნაპრედაკი 2:1
ნოვი პაზარი-სპარტაკი 3:0
ოფკ-იაგოდინა 3:2
პარტიზანი-დონი სრემი 3:2
რადნიჩკი (ნ)-ჩუკარიჩკი 0:1
ვოივოდინა-იავორი 2:2
რადი-ცრ. ზვეზდა 0:1

## სლოვაკეთი

XVII ტური

კოშიცე-შენიცა 3:1
ბისტრიცა-დ. სტრედა 5:1
მორავცე-ნიტრა 3:0
მიავა-ტრენჩინი 1:3
რუჟომბეროკი-სლოვანი 2:3
ჟილინა-ტრნავა 0:0

## სლოვენია

XVII ტური

დომჟალე-ოლიმპია 1:2
ტრიგლავი-პუბლიკუმი 2:2
გორიცა-მარიბორი 1:2

## რუსეთი

XVI ტური

ტომი-ლოკომოტივი 2:0
კრილია-დინამო 1:2
სპარტაკი-ზენიტი 4:2
ამკარი-ანჟი 1:0
ცსკა-ტერეკი 4:1
რუბინი-კრასნოდარი 0:1
კუბანი-ვოლგა 4:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 16 | 11 | 3 | 2 | 37-16 | 36 |
| 2. ლოკომოტივი | 16 | 10 | 3 | 3 | 33-15 | 33 |
| 3. სპარტაკი | 16 | 10 | 3 | 3 | 30-18 | 33 |
| 4. ცსკა | 16 | 9 | 3 | 4 | 23-18 | 30 |
| 5. დინამო | 16 | 8 | 5 | 3 | 27-20 | 29 |
| 6. კრასნოდარი | 16 | 8 | 3 | 5 | 26-21 | 27 |
| 7. ამკარი | 16 | 7 | 6 | 3 | 19-14 | 27 |
| 8. კუბანი | 16 | 6 | 5 | 5 | 23-20 | 23 |
| 9. როსტოვი | 16 | 5 | 5 | 6 | 21-23 | 20 |
| 10. ვოლგა | 16 | 5 | 2 | 9 | 15-29 | 17 |
| 11. რუბინი | 16 | 3 | 8 | 5 | 17-14 | 17 |
| 12. კრილია | 16 | 3 | 8 | 5 | 16-21 | 17 |
| 13. ტომი | 16 | 3 | 3 | 10 | 11-25 | 12 |
| 14. ურალი | 16 | 2 | 5 | 9 | 14-31 | 11 |
| 15. ტერეკი | 16 | 1 | 6 | 9 | 8-19 | 9 |
| 16. ანჟი | 16 | 0 | 6 | 10 | 12-28 | 6 |

### II დივიზიონი

XXIII ტური

ლუჩ ენერგია-ანგუშტი 1:0; დინამო (ს-პ)-ენისეი 4:2; ტორპედო-შინიკი 1:0; ბალტიკა-ნეფტეხიმიკი 1:0; როტორი-ხიმიკი 2:0; სალუტი-უფა 1:2; ნალჩიკი-სიბირი 2:0; არსენალი-გაზოვიკი 2:0; მორდოვია-სკა ენერგია 1:0.

## უკრაინა

XVI ტური

ზორია-ტავრია 0:0
ვორსკლა-კარპატი 2:2
გოვერლა-შახტარი 0:2
მეტალურგი (დ)-მეტალისტი 3:0
ჩერნომორეცი-სევასტოპოლი 2:0
ვოლინი-დინამო 1:4

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 16 | 11 | 2 | 3 | 40-14 | 35 |
| 2. მეტალისტი | 15 | 10 | 4 | 1 | 29-12 | 34 |
| 3. ჩერნომორეცი | 16 | 9 | 5 | 2 | 18-10 | 32 |
| 4. დნიპრო | 14 | 9 | 4 | 1 | 28-12 | 31 |
| 5. დინამო | 16 | 9 | 3 | 4 | 31-18 | 30 |
| 6. ვორსკლა | 16 | 6 | 8 | 2 | 25-22 | 26 |
| 7. ზორია | 16 | 6 | 5 | 5 | 20-15 | 23 |
| 8. მეტალურ (დ) | 16 | 6 | 4 | 6 | 22-27 | 22 |
| 9. ილიჩივეცი | 16 | 6 | 1 | 9 | 14-17 | 19 |
| 10. სევასტოპოლი | 16 | 5 | 4 | 7 | 19-27 | 19 |
| 11. კარპატი | 16 | 4 | 6 | 6 | 16-22 | 18 |
| 12. ვოლინი | 16 | 4 | 4 | 8 | 14-26 | 16 |
| 13. გოვერლა | 16 | 4 | 2 | 10 | 14-22 | 14 |
| 14. ტავრია | 15 | 2 | 1 | 12 | 9-26 | 7 |
| 15. მეტალურ (ზ) | 15 | 1 | 4 | 10 | 15-26 | 7 |

## არგენტინა

XV ტური

ატ. რაფაელა-გოდოი 3:1
ოლიმპო-კილმესი 0:1
ოლ ბოისი-ხიმნასია 2:1
ესტუდიანტესი-როსარიო 1:1
ნიუელსი-სან ლორენსო 1:1
ბოკა-ტიგრე 2:1
ბელგრანო-კოლონი 2:0

## ჩილე

XIV ტური

ო'ჰიგინსი-კობრელოა 1:0
პალესტინო-კობრესალი 2:1
უნ. ესპანიოლა-ლა კალერა 1:0
ს. უონდერერსი-რეინჯერსი 0:3
ევერტონი-უნ. კატოლიკა 0:2
უაჩიპატო-უნ. კონსეპსიონი 0:0
დეპ. იკიკე-აუდაქსი 2:1
კოლო კოლო-უნ. დე ჩილე 3:2

## ეკვადორი

XVIII ტური

უნ. კატოლიკა-ლიგა დე ლოხა 2:2
ელ ნასიონალი-ბარსელონა 0:1
ლდუ კიტო-დეპ. კევედო 3:1
დეპ. კუენკა-მანტა 1:1
დეპ. მაკარა-ინდეპენდიენტე 2:0

## ურუგვაი

X ტური

დეფენსორი-ნასიონალი 5:3
მონტევიდეო-მირამარი 4:2
რენტისტასი-ლივერპული 0:0
სუდ ამერიკა-პენიაროლი 2:1
ელ ტანკე-სერო 2:3
დანუბიო-ფენიქსი 2:1
რასინგი-სერო ლარგო 0:1
რივერ პლეიტი-ხუვენტუდი 3:2

## მექსიკა

XVII ტური

მორელია-პუებლა 1:0
ს. ლაგუნა-ვერაკრუსი 2:2
ამერიკა-ტოლუკა 1:1
პაჩუკა-კერეტარო 0:1
მონტერეი-გვადალახარა 2:1
ატლანტე-ხაგუარესი 2:0
ლეონი-ტიხუანა 5:0
ატლასი-ტიგრესი 0:1
პუმასი-კრუს ასული 2:2

## აშშ

### პლეი ოფი

ჰიუსტონი-კანზას სიტი 0:0

ეროვნული ბიბლიოთეკა

● წყალბურთი

# მიზანი მიღწეულია: საქართველო პლეი ოფში



ევროპის 16 ქვეყნის ეროვნული გუნდები მონაწილეობდნენ კონტინენტის პირველობის შესარჩევ ეტაპზე, რომელსაც სამი რაუნდის შედეგებით უნდა გამოევლინა ის ექვსი ნაკრები, რომლებიც პლეი ოფში გავიდოდნენ და გაისად ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად იბრძოლებდნენ.

საქართველოს ნაკრები ამჯერად პორტუგალიის ექვსგუნდა ჯგუფში მოხვდა. როგორც გაუწყეთ, ასპარეზობის პირველ დღეს **ვლადიმერ ისელიძის** შეგირდებმა შვეიცარიას აჯობეს (24:7), შემდეგ მალტის გუნდი დაჯაბნეს (11:4), მესამე ტურში ბელარუსს მოუგეს 17:9 (იმავე დღეს: სლოვაკეთი-მალტა 18:9, შვეიცარია-პორტუგალია 7:9). ზედიზედ სამი მოგებით ქართველებმა სამშვიდობოს დაიგულეს თავი და შაბათს სლოვაკებთან გულარხეინად გავიდნენ საპაექროდ, რისთვისაც დაისაჯნენ კიდეც - 16:17 დამარცხდნენ. ამ ნაგების მიუხედავად, ჩვენს გუნდს პლეი ოფში თამაშის უფლება განაღდებული ჰქონდა, მაგრამ მთავარი ამოცანა პირველ სამეულში მოხვედრა იყო, რომ შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე მეშვიდე-მეცხრე ადგილებზე გასულ გრანდებს არ დაპირისპირებოდა, მათ შორის — ოლიმპიურ ჩემპიონ ხორვატიას. ქართველმა წყალბურთელებმა მიზანს გუშინდელი წარმატებით მიაღწიეს:

**პორტუ. 2013 წლის 10 ნოემბერი**

**ევროპის 2014 წლის ჩემპიონატის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდი**

**საქართველო-პორტუგალია 17:9**

**3:2, 8:1, 4:2, 2:4**

**საქართველო:** ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა კაპანაძე, დამირ ცრეპულია (2), მარკო ელეზი (3), გალაქტიონ ლაითაძე (3), მარკო ელაჩა, გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბალათურია, ზურაბ რურუა (1), კონსტანტინე გეგელაშვილი (3), ტატო ნიკოლეიშვილი (2), მარინო ფრანიჩევიჩი (3), ბექა კაპანაძე, მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ისელიძე, მწვრთნელი იოვან პოპოვიჩი.

**პორტუგალია:** მიკოლა იანოჩკო, იაო ლეიტა, ტიაგო კოსტა, რუი რამოსი (2), მიგელ როდრიგესი, პედრო სოუზა, ხორხე ლოპესი, რიკადო სოუზა, რუი მორეირა (3), ანტონიო გერკუერა, მიგელ მარიანი (4), ტიაგო პარატი, ჰელდერ ფრეიტსი.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ნაკრებისთვის ამ შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მოგების შემთხვევაში პლეი ოფში გამსვლელთა პირველ სამეულში დაიბევებდა ადგილს, ამიტომ თავიდანვე აქტიურად შეუტიეს მეტოქის კარს, თუმცა მასპინძლებმა სტუმრებს იოლი გასეირნების საშუალება არ მისცეს. პირველი პერიოდი ისელიძის შეგირდებმა მაინც მოიგეს - 3:2, მეორე რვაწუთიან მონაკვეთში კი ნამდვილად გაილაღეს - საკუთარ კარში მიღებული ერთი ბურთის სანაცვლოდ 8 გოლი გაიტანეს და, ფაქტობრივად, სასურველ შედეგს შესვენებამდე მიაღწიეს. მესამე-მეოთხე პერიოდები მოტივაციადაკარგულმა გუნდებმა, ასე ვთქვათ, ჩაამთავრეს. მესამე რვაწუთიანი მონაკეთი ჩვენებმა 4:2 მოიგეს, მომდევნო რვა წუთი კი მასპინძლებისა იყო - 4:2. საბოლოოდ ქართველებმა 17:9 გაიმარჯვეს. ჩვენებთან ერთად პლეი ოფში გავიდნენ სლოვაკეთი, საფრანგეთი, უკრაინა, რუსეთი და დიდი ბრიტანეთი. დღევანდელი წილისყრა მათს მეტოქეებს დაასახელებს. ისინი ხორვატიას, რუმინეთს, ესპანეთს ჰოლანდიას, თურქეთს ან მაკედონიას დაუწყვილდებიან.

**G ჯგუფი. 9 ნოემბერი.** შვეიცარია-ბელარუსი 8:16 (4:3, 2:7 0:4, 2:4), საქართველო-სლოვაკეთი 16:17 (2:5, 5:4, 3:3, 6:5), მალტა-პორტუგალია 6:8 (3:2, 1:4, 3:0, 1:0)

**10 ნოემბერი.** სლოვაკეთი-ბელარუსი 15:4 (6:0, 2:0, 3:3, 4:1), შვეიცარია-მალტა 4:10 (0:1, 1:2, 1:2, 2:5), პორტუგალია-საქართველო 9:17 (2:3, 1:8, 2:4, 4:2).

**საქართველო-40 (85:46)**
**სლოვაკეთი-38 (80:36).**

**H ჯგუფი. 9 ნოემბერი.** ჩეხეთი-პოლონეთი 6:12 (1:2, 0:3, 2:4, 3:3), საფრანგეთი-უკრაინა 21:9 (6:3, 4:3, 8:0, 3:3), **კვირა.** დანია-პოლონეთი 9:12 (1:2, 1:4, 3:3, 4:3), საფრანგეთი-ჩეხეთი 24:3 (5:1, 5:1, 7:1, 7:0).

**საფრანგეთი-40 (80:21)**
**უკრაინა-28 (39:45).**

**I ჯგუფი.** ისრაელი-მოლდოვა 22:7) 3:1, 4:1, 9:2, 6:3), დიდი ბრიტანეთი-რუსეთი 6:13) 2:3, 1:3, 3:1, 0:6).

**რუსეთი-37 (74:19)**
**დიდი ბრიტანეთი-26 (56:25)**

**ვაჟა დანელია**

● ჭიდაობა. ევროპის თასი

# ორი ნაგება ფინალში

## მოსკოვში ჩვენი მოჭიდავეები ვერცხლს დასჯერდნენ



ლევან ქელეხსაშვილი

მოსკოვში დასრულებულ „ევროპის ერთა თასზე“ გამოსვლა ჩვენმა ორივე ნაკრებმა წარმატებით დაიწყო. შაბათს მათ დაუმარცხებლად გაიარეს ქვეჯგუფის შეხვედრები და ფინალში გავიდნენ, მაგრამ გუშინ ორივემ წააგო და საბოლოოდ მეორეზე დარჩა.

მომხდარი მით უფრო დასასანია, რომ ორივე პაექრობის ბედი ბოლო შეხვედრამ გადაწყვიტა, რომ მოგებაც ჩვენებმა ვერ შეძლეს. „თავისუფლები“ რუსებთან დამარცხდნენ – 3:4, ბერძენ-რომაელებმა კი იმავე ანგარიშით თურქებთან წააგეს. არადა, მოგების შანსი ორივეს ჰქონდა. განსაკუთრებით გულდასაწყვეტი „თავისუფალთა“ მარცხია, რომლებმაც რუსთა მძიმეწონოსნის ტრავმის გამო ფინალი ერთქულიანი ფორით დაიწყეს. ამას საწყის ორ შეხვედრაში მოგებაც დაუმატეს და, სამქულიანი უპირატესობა მიიღეს, მაგრამ წააგეს დანარჩენი ოთხი! ამ კვარტეტიდან ერთსაც რომ ემარჯვა, მასპინძლებს მათსავე მშობლიურ დარბაზში პირში ჩალაგამოვლებულებს დატოვებდნენ. ობიექტურობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს „თავისუფლებს“ ოპტიმალური შემადგენლობა არ ჰყავდათ – **იაკობ მაქარაშვილი** (74) თბილისშივე დაშავდა და გუნდს საერთოდ ვერ გაჰყვა (ამის მიუხედავად, პირდაპირ რეპორტაჟებში თუ ოქმებში ყველგან მას ახსენებდნენ და არა მის შემცვლელ **გიორგი მარსაგიშვილს**), ხოლო 84 კილოგრამში მსოფლიოსა და ოლიმპიური პრიზიორი, ევროპის ორგზის ჩემპიონი **დავით მარსაგიშვილი** ირანიდან (სადაც საკლუბო ჩემპიონატში გამოდიოდა) დროულად ვერ ჩავიდა და აქაც სათადარიგო **სანდრო ამინაშვილის** ამარა დავრჩით. ამინაშვილს იქნებ ურიგოდ არ უჭიდავია, მაგრამ ვგონებთ, ფინალში ევროპის ჩემპიონსა და მსოფლიოს პრიზიორ **სოსლან კცოევთან** წარმატების მეტი შანსი დავით მარსაგიშვილს ექნებოდა.

>> მე-12 გვერდზე

● ჭადრაკი

# ვაჟებმა ევროპის ჩემპიონები დაამარცხეს

აბა, ვინ იფიქრებდა, რომ საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ნაკრები ევროპის მოქმედ ჩემპიონ გერმანიას დაამარცხებდა... ან რუსები წააგებდნენ თურქებთან. ერთი სიტყვით, გასულ შაბათ-კვირას ვარშავაში მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ევროპის გუნდურ ჩემპიონატს უსენსაციოდ არ ჩაუვლია. თუმცა ვიდრე მათ შესახებ გეტყოდეთ რამეს, საქართველოს ნაკრები გუნდების მე-2 ტურის შედეგებს გაუწყებთ.

ქალები ბულგარელებს დაუპირისპირდნენ. პირველ დაფაზე **ნანა ძაგნიძე** მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ ანტოანეტა სტეფანოვას დაუზავდა. მე-4 დაფაზე ყაიმზევე შეთანხმდნენ **ლელა ჯავახიშვილი** და მარგარიტა ვოისკა. ჩვენს გუნდს გამარჯვების ქულები **მერი არაბიძემ** და **ბელა ხოტენაშვილმა** მოუტანეს, რომლებმაც, შესაბამისად, ელიზა რაევას და ივა ვიდენოვას გააჩერებინეს საათები.

საქართველოს ვაჟთა ნაკრებს უფრო მრისხანე მეტოქე ჰყავდა - უნგრეთის ეროვნული გუნდი. **ბაადურ ჯობავამ** პირველ დაფაზე ვიქტორ ერდოში დაამარცხა. **მიხეილ მჭედლიშვილმა** და **მერაბ გაგუნაშვილმა** ყაიმებით დაამთავრეს პარტიები შაბა ბალოგსა და ზოლტან ალმაშისთან, **ლევან ფანცულაიამ** კი იუდით პოლგარის შეტევებს ვერ გაუძლო და წააგო. საბოლოოდ - 2:2. ვფიქრობთ, 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორებთან ფრე სულაც არ არის ურიგო შედეგი.

მეორე ტურში სენსაციები შემოგვთავაზეს რუსეთის ნაკრებმა გუნდებმა. ბოლო სამი გათამაშების ჩემპიონი ქალები, რომლებსაც მთავარ მწვრთნელთან უთანხმოების გამო წლეულს გაზაფხულზე ჩამოშორდნენ დები - ტატიანა და ნადეჟდა კოსინცევები, რითაც ძლიერი საყრდენი გამოეცალათ, ისრაელის გუნდს შეხვდნენ, რომელსაც განთესვით მე-15 ადგილი უკავია (რუსეთი მეორეა). ვალენტინა გუნინა, ოლგა გირია და ალექსანდრა გორიაჩკინა მშვიდობიანად დაშორდნენ მარსელო ეფროიმსკის, ოლგა ვასილიევასა და იულია შვაიგერს. ნატალია პოგონინამ მაშა კლინოვასთან წააგო და რუსეთის ნაკრები 1,5:2,5 დამარცხდა. მსგავსი ანგარიშით წააგო ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების ვარსკვლავებით დახუნძლულმა ვაჟთა გუნდმა... თურქეთთან. აქაც სამი პარტია დამთავრდა ყაიმით, არადა, რუსეთის ნაკრები 2700-იანთა კლუბის წევრებითაა დაკომპლექტებული: პიოტრ სვიდლერი (2752)-ალექსანდრ იპატოვი (2630), ბარის ესენი (2565)-დმიტრი ანდრეიკინი (2710), ევგენი ტომაშევსკი (2722)-მუსტაფა იილმაზი (2572) - ყაიმი, რუსთა გუნდის ლიდერმა ალექსანდრ გრიშჩუკმა (2785) დრაგან შოლაკთან (2618) წააგო.

გუშინ მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა. ისრაელის ქალთა ნაკრებმა ბრძენთა თამაშის მოყვარულებს ისევ სიურპრიზი მოუმზადა - მესამე განთესვის მქონე საქართველოს ნაკრებთან ფრედ (2:2) დაამთავრა შეხვედრა (მარსელ ეფროიმსკი-ნანა ძაგნიძე 0:1, მერი არაბიძე-ოლგა ვასილიევი 0:1, იულია შვაიგერი-ნინო ხურციძე 1:0, ბელა ხოტენაშვილი-ანჟელა ბარსუკი 1:0), საფრანგეთი-უკრაინა 1:3 (მარი სებაგი-კატერინა ლაგნო 0.5:0.5, ანა უშენინა-სოფი მიიე 1:0, ნინო მაისურაძე-მარია მუზიჩუკი 0:1, ინა გაპონენკო-სილვია კოლასი 0.5:0.5), საგულისხმოა, რომ პარიზში გათხოვილმა მაისურაძემ წლეულს საფრანგეთის ჩემპიონობა მოიპოვა. სომხეთი-პოლონეთი (3) 4:0, პოლონეთი-რუმინეთი 2.5:1.5, უნგრეთი-სერბეთი 1.5:2.5, რუსეთი-ავსტრია 4:0, გერმანია-თურქეთი 3.5:0.5. ფრედ (2:2) დამთავრდა საბერძნეთი-ჰოლანდიის შეხვედრა. ტიტების ქვეყნის წარმომადგენლებს მეორე ქულა ნიდერლანდებში გათხოვილმა ქართველმა მოჭადრაკემ თეა ლანჩავამ მოუტანა, რომელმაც ყოფილ თბილისელ ეკატერინი ფახირიდუს აჯობა.

წილისყრამ საქართველოს ვაჟთა ნაკრებს მესამე ტურში უფრო მკაცრი გამოცდა მოუწყო - მოქმედ ჩემპიონ გერმანელებს დაუპირისპირა. ჩვენმა ბიჭებმა შეძლეს ალემანების დამარცხება: ბაადურ ჯობავა-გეორგ მეიერი 1:0, იგორ ხენკინი-მიხეილ მჭედლიშვილი 0.5:0.5, ლევან ფანცულია-დავით ბარამიძე 1:0, დანიელ ფრიდმანი-გაიოზ ნიგალიძე 1:0. ალსანიშნავია, რომ ჩემპიონებმა გუნდის შემადგენლობაში იან გუსტაფსონი დავით ბარამიძით, რაინერ ბუხმანი კი იგორ ხენკინით ჩაანაცვლეს. მეწინავეთა დანარჩენი მატჩები: საფრანგეთი-უკრაინა 3:1, ჩეხეთი-თურქეთი 3.5:0.5, რუმინეთი-საბერძნეთი 2:2, სომხეთი-ავსტრია 2.5:1.5, პოლონეთი-აზერბაიჯანი 1.5:2.5, უნგრეთი-ესპანეთი 3:1, რუსეთი-ინგლისი 2:2.

სამი ტურის შემდეგ: ქალები. სომხეთი (საერთო-23), პოლონეთი (19.5), უკრაინა (19) - 6-6, ისრაელი (20), საქართველო (17), სერბეთი (13,5) 5-5 ქულა. ვაჟები. ჩეხეთი (23), საფრანგეთი (22) - 6-6, უნგრეთი (19), საქართველო (17,5), საბერძნეთი (17), სომხეთი (15), აზერბაიჯანი (15) 5-5 ქულა.

**ვაჟა დანელია**

## ბაციაშვილი ხუთეულშია

ამ დღეებში მსოფლიო საჭადრაკო ეპიცენტრად იქცა ინდური ჩენაი. უპირველესი ის არის, რომ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინისთვის ამ წოდების ამჟამინდელი მფლობელი ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) და რეიტინგფავორიტი მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) იბრძვიან. ჯერჯერობით ორივე პარტია ყაიმით დასრულდა.

ამ შეჯიბრების პარალელურად ჩენაი მოჭადრაკე ქალთა დიდ საერთაშორისო ტურნირსაც მასპინძლობს, რომელშიც ოთხი ქართველი დიდოსტატიც მონაწილეობს. ხუთი ტურის შემდეგ ჩვენები მეწინავეთა შორის იყვნენ. **ნინო ბაციაშვილმა** შავი ფიგურებით სუბარამან ვიჯაიალაქშმის (ინდოეთი) აჯობა და 5 ქულით ლიდერთა შორის ადგილი შეინარჩუნა. მსგავსი წარმატების მიღწევა კიდევ ორ ქართველს შეეძლო, მაგრამ **სოფიკო გურამიშვილი** შავებით მარია გეურქიანს (სომხეთი) დაუზავდა, **ქეთი ნანალაშვილი** კი თეთრებით ინა ივახინოვასთან (რუსეთი) დამარცხდა. **მაკა ფურცელაძემ** მონიშასთან (ინდოეთი) გაიყო ქულა.

ლიდერთაგან ყაიმზე შეთანხმდენ კარინა ამბარცუმოვა (რუსეთი) და ანი მერი გომესი (ინდოეთი), ნაფისა მუმინოვამ (უზბეკეთი) კირან მანიშა მოჰანტის (ინდოეთი) სძლია.

ამდენად, ექვსი ტურის შემდეგ 5-5 ქულით პირველ-მეხუთე ადგილებს ამბარცუმოვა, ივახინოვა, გომესი, მუმინოვა და ბაციაშვილი იყოფენ. ჩვენებურთაგან გურამიშვილს 4,5, ნანალაშვილსა და ფურცელაძეს კი 4-4 ქულა აქვთ.

ტურნირზე სულ 11 ტური გათამაშდება. მეწინავეთაგან დღეს ითამაშებენ: ბაციაშვილი-ამბარცუმოვა, ივახინოვა-მუმინოვა, გომესი-სუბარამან მეენაქში, გურამიშვილი-ლილია დრლიევიჩი (სერბეთი)... ფურცელაძე-გულრუხბეტიმ ტოხირჯონოვა (უზბეკეთი), ლასია (ინდოეთი)-ნანალაშვილი.

**ვაჟა დანელია**

« მე-11 გვერდიდან

ჩვენმა „თავისუფლებმა“ პირველივე შეხვედრაში პირწმინდად მოუგეს შესუსტებულ ბულგარეთს – 7:0. ბულგარელებთან **გიორგი ედიშერაშვილმა** (55, თუმცა მეტოქეს აქ მონაწილე არ ჰყავდა), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** (60), **ლევან ქელეხსაშვილმა** (66), გიორგი მარსაგიშვილმა (74), ამინაშვილმა (84), **ელიზბარ ოდიკაძემ** (96) და **გენო პეტრიაშვილმა** (120) იმარჯვეს. ჩვენებიდან ალსანიშნავია მარსაგიშვილის წარმატება ევროპის ვიცე-ჩემპიონსა და ოლიმპიურ პრიზიორ **კირილ ტერზიევთან** – 10:2, და ქელეხსაშვილის 8:1 მოგება **ალექსანდრ გრიბკოვთან.** მართალია, მეტოქე ახალბედაა, მაგრამ არც ჩვენია დიდად გამოცდილი იმის მიუხედავად, რომ წლეულს მსოფლიოზეც იასპარეზა და ბრინჯაომდეც მივიდა, მაგრამ ის მისთვისაც სადებიუტო ტურნირი იყო.

ჩვენებს დიდი ჯაფა არც ჯგუფის მეორე პაექრობაში დადგომიათ თურქებთან იმის მიუხედავად, რომ ორი შეხვედრა წააგეს – 5:2 მათ სასარგებლოდ. ედიშერაშვილმა უპრობლემოდ, 7:0 დაამარცხა ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონი **სულეიმან ატლი,** ხინჩეგაშვილმა ასეთივე ანგარიშით აჯობა **რეჯეპ ტოპალის,** ქელეხსაშვილს კი ცოტა გაუჭირდა ახალგაზრდებში თურქთა კიდევ ერთ წლევანდელ დუბლის მომგებ **სელეჰატინ კილიცსალაინთან** – 6:4 მოუგო, რითაც საერთო ანგარიში 3:0 გახდა ჩვენს სასარგებლოდ. ამის შემდეგ პირველი წაგების ჯერი დადგა – მარსაგიშვილი **სონერ დემირტაშთან** დამარცხდა, ვისაც **დავით ხუციშვილი** ყველგან ათრევდა, სადაც კი გადაეყრებოდა. თუმცა ამინაშვილმა საერთო ანგარიშში 3-ქულიანი სტატუს-კვო სწრაფად აღადგინა **ფატიხ ერდინთან** 4:2 მოგებით და გუნდური გამარჯვებაც დაგვიბევა. ამის მიუხედავად, ოდიკაძემ 11:3 მაინც მოუგო **იბრაჰიმ ბოლუკბასს,** ბოლო შეხვედრაში კი პეტრიაშვილი კიდევ ერთხელ დამარცხდა თურქთა ევროპის ორგზის ჩემპიონსა და მსოფლიოს პრიზიორ **ტაჰა აკგულთან.** საბოლოოდ 5:2 ჩვენს სასარგებლოდ.

პარალელურად, მეორე ჯგუფიდან ფინალში რუსეთი გავიდა, თუმცა იქვე გაცხადდა, რომ გადამწყვეტ პაექრობაში ვერ იჭიდავებდა სომეხ **ანდრანიკ გალსტიანთან** ფეხნატკენი მძიმეწონოსანი **მუხამადგაზი მაგომედოვი.** ფინალში ისიც საინტერესო იყო, 60 კილოგრამში ხინჩეგაშვილს დაუყენებდნენ თუ არა ჩეჩენ ოლიმპიურ ჩემპიონ **ჯამალ ორასულთანოვს** ანუ განმეორდებოდა თუ არა ლონდონის ოლიმპიადის ფინალი. ჩეჩენი პირველად ჭიდაობდა ამ წონაში და სომეხ **ვალოდია ფრანგულიანთან** იმარჯვა კიდეც, მაგრამ საბოლოოდ მას მაინც არ ენდნენ (იქნებ შეგნებულადაც მოარიდეს ქართველს) და მის ნაცვლად იაკუტი **ტიმურ პასტერევი** დააყენეს. თუმცა ეს ვერაფერში წაადგათ – ხინჩეგაშვილმა 7:0 იმარჯვა, მანამ ედიშერაშვილმა ბურიატ **ბაზარ ჟალსაპოვს** 7:4 აჯობა და საერთო ანგარიშში 2:0 დავწინაურდით. სამწუხაროდ, ამის შემდეგ ჩარხი ჩვენთვის ერთხელაც არ შემოტრიალებულა და მიჯრით დავთმეთ ოთხი პაექრობა – ქელეხსაშვილმა **სოსლან რამონოვთან** 0:7 წააგო, მარსაგიშვილმა - **აცამაზ სანაკოევთან** 2:10, ამინაშვილმა – კცოევთან 0:7, გადამწყვეტ პაექრობაში კი ოდიკაძე **ბატრაზ გაზაევთან** მინიმალური სხვაობით, 6:7 დამარცხდა. ბრძოლა დრამატული გამოდგა, სადაც გამარჯვებული ბოლო წამამდე არ გაირკვა. ოდიკაძე ადრე უფრო დაცვიდან ჭიდაობდა, მაგრამ, ეტყობა, ახალი წესებიდან გამომდინარე, სტილი შეცვალა – ახლა შეტევაში დიდ დროს ატარებდა, თუმცა მისი სუსტი წერტილი სწორედ დაცვა აღმოჩნდა და ოსმა კონტრშეტევებზე გვარიანად იხეირა. ასე დასანანად წააგო ოდიკაძემაც და მთლიანად გუნდმაც. ბუნებრივია, გუნდურ ტურნირში ვერც მოგებას განაპირობებს ერთი კაცი და ვერც – წაგებას. არც ჩვენ ვაბრალებთ ყველაფერს ოდიკაძეს, მაგრამ, უბრალოდ, დასანანი ქულები დაკარგა.

ბერძენ-რომაელებმა ქვეჯგუფის ორივე შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით მოიგეს – 5:2. მათ ჯერ ბულგარელები დაამარცხეს, მერე – სომხები. ამასობაში მეორე ჯგუფიდან არა **გოგი კოლუაშვილის** გაწვრთნილი რუსები, არამედ თურქები გავიდნენ. იქ სამივე პაექრობა ერთნაირი ანგარიშით – 4:3 დასრულდა, ოღონდ სამივემ წააგო ერთმანეთთან – რუსები თურქებთან დამარცხდნენ და მოუგეს აზერბაიჯანელებს, თურქებმა კი აზერბაიჯანელებთან დათმეს. საბოლოოდ ქულებით თურქებმა გაუსწრეს ყველას, რუსები კი მეორეზე გავიდნენ და ბრინჯაოსთვის ბრძოლაში გადაერთნენ. ეს საქმე წარმატებითაც დაასრულეს, ჩვენებმა კი თურქებთან მოგების რეალური შანსი გაანიავეს.

ბერძნულ-რომაულ ფინალში **ნიკა ცეცხლაძემ** (55) პირველი პაექრობა დათმო, თუმცა **თორნიკე თურქიშვილმა** (60), **საჩინო დავითაიამ** (66) და **ზურაბ დათუნაშვილმა** (74) ზედიზედ სამი მოგება მიითვალეს და საერთო ანგარიშში 3:1 დავწინაურდით. სამწუხაროდ, აქაც „თავისუფლების“ მაგვარი რაღაც მოხდა მიყოლებით წაგებებში – **რევაზ ნადარეიშვილის** (84), **ვასილ იმერლიშვილისა** (96) და **ლევან არაბულის** (120) ტრიოდან ერთსაც რომ მოეგო, ტურნირშიც გავიმარჯვებდით, მაგრამ, სამწუხაროდ, სამივე დამარცხდა და მოგებაც თურქებს დარჩათ – 3:4. არადა, მძიმე წონაში თურქებმა ევროპის სამგზის და მსოფლიოს ჩემპიონის, ოლიმპიურ პრიზიორ **რიზა კაიაალპის** ნაცვლად **ატილა გიუზელი** დააყენეს.

**ირაკლი თავაძე**

---

ჩოგბურთი



ნიკოლოზ ბასილაშვილი

# ბასილაშვილი ფინალში დამარცხდა

ერთი კვირის წინათ ანტალიაში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) თბილისელი **ეკატერინე გორგოძე** ნახევარფინალში რუმინელ რალუკა ელენა პლატონთან დამარცხდა. ჩვენებური ამ ნიშნულს ვერც გასულ შაბათს გასცდა - ანტალიის 10.000-იანი ტურნირის ნახევარფინალი ამჯერად სამ სეტში მე-2 ნომრად განთესილ მარტინა კუბიჩიკოვასთან (ჩეხეთი) წააგო. არადა, პირველ სეტში გორგოძემ 6:4 სძლია მეტოქეს, მომდევნო ორი კი, შესაბამისად, 2:6, 5:7 დათმო. გუშინ გადამწყვეტ პაექრობაში კი კუბიჩიკოვა რუმინელ მარია პატრისია ტიგს დანებდა - 7:6, 2:6, 2:6 და მეორე ადგილს დასჯერდა.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ვერც **ნიკოლოზ ბასილაშვილი** ავიდა. მეხუთე ნომრად განთესილმა ქართველმა ნახევარფინალში ტურნირის რეიტინგფავორიტი მაქსიმ აუტჰომი (ბელგია) ჩამოიშორა გზიდან - 7:5, 6:3 და ფინალში მაქსიმ დუბარენკოს (მოლდოვა) მძლეველ (7:6, 6:3) რობინ კერნს (გერმანია) დაუპირისპირდა. მე-2 ნომრად განთესილმა ალემანმა გუშინ ჩვენებურთან პირველი სეტი კი წააგო 4:6. მაგრამ მომდევნო ორში იმარჯვა (6:3, 6:3) და მთავარი პრიზი მოიპოვა.

დღეიდან ქართველი ჩოგბურთელები ახალ ტურნირებში ჩაებმებიან. **სოფიო შაფათავა** მინსკის 25.000-იან შეჯიბრებაში ითამაშებს, ანტალიაში რჩებიან ეკატერინე გორგოძე, **სოფიო ქვაცაბაია, ანა ქადაგიძე** და ნიკოლოზ ბასილაშვილი, რომლებიც 10.000-იან ტურნირებში მოსინჯავენ ძალებს.

**ვაჟა დანელია**

---

კალათბურთი. საერთაშორისო სტუდენტური ლიგა

# 109 ქართული

**10 ნოემბერი. თბილისი**
**სტუ (თბილისი)–რგეუ (როსტოვი) 99:81**

22:15, 29:25, 22:19, 26:22

**სტუ:** ლუდუშაური (2ქ), ანთაძე (9ქ), დიდია (13ქ, 10პ, 9მ, 2დ), გრძელიძე (18ქ, 6ჩ), გოგოძე (2ქ, 3ჩ), ჯიქია, მათიაშვილი (28ქ, 21მ, 9პ, 4ჩ, 4დ), ლომინაშვილი (5ქ), იოსებაშვილი (2ქ), გაბისიანი (2ქ), ალხანაიძე (12ქ, 6მ), ლობჟანიძე (6ქ).

**რგეუ:** ალექსანდრიუკი (6ქ, 4პ, 5მ), ახმეტოვი (11ქ), კოსოვეცი, ბარდახჩიანი (2ქ), ამბროლაძე (10ქ, 14მ, 3პ, 4ჩ, 2დ), არტიომენკო (15ქ), სლიჟიკოვი (19ქ, 4პ), ტომილოვი (2ქ), ბლიუმი (16ქ, 5პ).

**მსაჯები:** ს. ტისლენკო, ი. იგნატიევი.

გვემახსოვრებათ ანეკდოტი, კაცი 99 ხინკალს რომ შეჭამს, მეასეს დატოვებს... ქართველებმა როსტოვის ეკონომიკური უნივერსიტეტის გუნდს 99 ქულა ჩაუგდეს და სტუდენტურ ლიგაზე მესამე მატჩი მოიგეს. ამ მაჩვენებლით ჩვენი გუნდი სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა, თუმცა ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული ნტუ-ს, რომელსაც ასევე სამი გამარჯვება უწერია. ცხრილს კი უდანაკარგო მოსკოველები ლიდერობენ, რომლებმაც თბილისში ბოლო წუთებზე გამოგვგლიჯეს გამარჯვება.

„ქართველებმა 99 ქულა ჩააგდესო“ კი დავწერეთ, მაგრამ ეს ფაქტობრივი შეცდომა იყო: ქართველთა ანგარიშზე გუშინდელ შეხვედრაში 109 ქულა გახლდათ - 99 სტუ-ს კალათბურთელების, 10 როსტოველი **თეიმურაზ ამბროლაძის.** სხვათა შორის, სტატისტიკაც დაგვემოწმება, რომ იგი გამორჩეული იყო სტუმართა რიგებში: 10 ქულა, 14 მოხსნა.

მატჩის საუკეთესოები კი ჩვენკენ უნდა მოვიძიოთ. **რევაზ დიდიამ** და **რიჩარდ მათიაშვილმა** შთამბეჭდავად ითამაშეს. ოდნავ რომ გამართლებოდათ ორივე სამმაგ დუბლს გაიფორმებდა. რეზომ 13 ქულას 10 პასი და 9 მოხსნა მიამატა, რიჩარდმა - 28 ქულას 21 მოხსნა და 9 შედეგიანი გადაცემა. მათიაშვილის მარგი ქმედების კოეფიციენტი 53-მდე ავიდა, რაც ძალიან იშვიათი შემთხვევაა. მან 19-დან 11 ორქულიანი, 8-დან 6 საჯარიმო გამოიყენა. **ირაკლი ალხანაიძემ** 13 წუთში 12 ქულა და 6 მოხსნა მოაგროვა, ხოლო **ლევან გრძელიძემ** 18 ქულა ჩააგდო და ყველაზე მეტჯერ ჩაჭრა - 6.

მატჩის ხასიათზე წარმოდგენას საფინალო ანგარიშიც შეგიქმნიდათ. გუნდებმა სწრაფი კალათბურთი ითამაშეს, დაცვაში დალაგებას სათანადოდ ვერც ერთი მხარე ასწრებდა, ხოლო ამღვრეულ წყალში თევზი ვინც დაიჭირა, ზემოთ უკვე გითხარით. საინტერესოა, მაშინაც კი, როცა მეოთხე პერიოდში 13 ქულით დავწინაურდით, ჩვენი სტუდენტები ბურთის გათამაშებას და 24 წამის ბოლომდე გამოზოგვას არ ცდილობდნენ - პუბლიკაზეც თამაშობდნენ და ამიტომაც იყო, მეტოქემ ბევრი „იოლი ბურთი“ რომ ჩაგვიგდო.

სტუ-ს მომდევნო შეხვედრაც თბილისში ელის - კიევის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს მიიღებს. მატჩი 17 ნოემბერს გაიმართება.

| B ჯგუფი | | | | |
|---|---|---|---|---|
| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
| 1. მგუ | 4 | 4 | 0 | 8 |
| 2. სტუ | 5 | 3 | 2 | 8 |
| 3. ნტუ | 4 | 3 | 1 | 7 |
| 4. იფუ | 4 | 2 | 2 | 6 |
| 5. რგეუ | 4 | 0 | 4 | 4 |
| 6. ნტუუ | 3 | 0 | 3 | 3 |

**ვაჟა სიმონიშვილი**





---

სუმო. კიუშუს ბაშო. 10-24 ნოემბერი



# გაგამარუმ ნოემბრის ბაშო მოგებით დაიწყო

კუნძულ კიუშუზე დაიწყო წლის უკანასკნელი სუპერტურნირი - ნოემბრის ბაშო. წარმატებით დაიწყო ასპარეზობა 27 წლის **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ).** მე-13 მაეგაშირათა დაპირისპირებაში გაგამარუმ **იოშიკაძეს** ოშიდაშის ილეთით სძლია. ქართველის მომდევნო მეტოქე **კიოკუშუჰოა,** რომელიც რანგით მე-14 მაეგაშირაა.

**I დღე**

**მნიშვნელოვანი ბრძოლები:** ჰაკუჰო-ოკინოუმი (ოშიდაში), ჰარუმაფუჯი-შოჰოზანი (ოკურიდაში), კისენოსატო-მიოგირიუ (ოშიდაში), ამინიშიკი-კოტოშოგიკუ (ტოტარი), კაკურიუ-კიოკუტენჰო (უვატედაშინაგე), ტოიონოშიმა-კოტოოშუ (სუკუინაგე), **გაგამარუ**-იოშიკაძე (ოშიდაში).

**II დღე**

**მნიშვნელოვანი წყვილები:** ჰარუმაფუჯი-მიოგირიუ, ჰაკუჰო-ამიშიკი, კოტოშოგიკუ-შოჰოზანი, ოკინოუმი-კაკურიუ, კოტოოშუ-კიოკუტენჰო, კისენოსატო-ტოჩიოძანი, **გაგამარუ**-კიოკუშუჰუ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

თარიღები და მოვლენები

**11-14 ნოემბერი**

**11. 1971.** დაიბადა **ელისო ბედოშვილი** - მხატვრ. ტანვარჯიში
**11. 1978.** თბილისის „დინამომ“ მეორედ მოპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობა ფეხბურთში
**11. 1977.** დაიბადა **მაია ლომინეიშვილი** - ჭადრაკი
**12. 1968.** დაიბადა **გოჩა გავაშელი** - ფეხბურთი
**12. 1985.** დაიბადა **ზაზა კედელაშვილი** - ძიუდო
**12. 1986.** ლანჩხუთის „გურია“ ფეხბურთში საკავშირო პირველობის უმაღლესი ლიგის საგზურს დაეუფლა
**12. 1990.** თბილისის „იბერია“ („დინამო“) გახდა ფეხბურთში საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული
**13. 1933.** **ბუხუტი გურგენიძე** - ჭადრაკი. გარდაიცვალა 2000 წელს
**13. 1945.** დაიბადა **ნუგზარ სხირელი** - თ\ჭ, მწვრთნელი
**14. 1925.** დაიბადა **ჯოკია გუგავა** - ალპინიზმი. გარდაიცვალა 1999 წელს
**14. 1927.** დაიბადა **ნიაზბეი ძიაპშიპა** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1993 წელს
**14. 1975.** დაიბადა **რამაზ ჩოჩიშვილი** - ძიუდო

---

**წინა ნომრის კროსვორდის პასუხები**

**თარაზულად:** 1. ათენი, 3. ვიერი, 4. ასპე, 7. ელინი, 8. ლეილა, 10. სინი, 12. ნოა, 14. არიგო, 15. ბრასი, 17. კილი, 19, „ანცი“, 21. „ბრაგა“, 22. შიონი, 24. ეგაძე, 26. ანა, 28. „ვისლა“.
**შვეულად:** 1. არველაძე, 2. ენეი, 5. პრიზი, 6. ზიდანი, 8. ლუისი, 9. ანანდი, 11. შამონი, 13. ჰავბეკი, 16. ატლანტა, 18. „მილანი“, 20. აბაშიძე, 23. ნეიძე, 25. გუნდი, 27. „აია“.

---

კალათბურთი. ქართველები ესპანეთში

# როცა საქმეს არც 100 პროცენტი შველის

ესპანეთის ჩემპიონატის მეხუთე ტურში „სარაგოსა“ „ვალენსიას“ ესტუმრა და 76:96 დამარცხდა.

სარაგოსელმა ქართველებმა ერთობლივად 26 ქულა მიითვალეს. **ვიქტორ სანიკიძემ** 28 წუთში 9 ქულა, 12 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა, ხოლო **გიორგი შერმადინმა** 22 წუთში 17 ქულას 3 მოხსნა და 1 პასი მიამატა. მან 5 ორქულიანი და 7 საჯარიმო სტყორცნა და ერთიც არ აუცილებია.

**ვაჟა სიმონიშვილი**

სუპერლიგა 2012-13

# ბათუმელთა იარაღი: ქეიდუGUN

■ დიდი ხანია, სუპერლიგის ტურის ცენტრალური მატჩი ბათუმში არ ჩატარებულა. მიზეზი მარტივია - ზღვისპირელები ბოლო წლებში აუტსაიდერები გახლდნენ და ფავორიტებთან ყოველთვის განწირულები იყვნენ, აუტსაიდერთა დუელი კი ცენტრალურ მატჩად არც აქამდე ქცეულა და, ალბათ, მომავალშიც ასე იქნება. ამჯერად ბათუმურ-ქუთაისურმა დაპირისპირებამ მოლოდინი გაამართლა.



**8 ნოემბერი. ბათუმი**
**ბათუმი-ქუთაისი 87:85**

**27:31, 29:19, 18:19, 13:16**

**ბათუმი:** მაისურაძე (6ქ), რამიშვილი (4ქ), ელიაშვილი (7ქ), კეშელავა (6ქ), კობიძე, ელიაძე (2ქ), ქეიდუგანი (24ქ, 10პ, 6მ), სეფოლდი (19ქ, 9მ, 3ჩ), ჯექსონი (19ქ, 6მ, 3დ).

**ქუთაისი:** ფაშაევი (15ქ, 5პ, 7მ), გრძელიძე (1ქ), დიდია (3ქ), ცეკვავა (17ქ, 8მ, 7პ), ცირეკიძე, დ. ბარბაქაძე (13ქ), ლომინაშვილი (8ქ), გ. ბარბაქაძე (10ქ, 7მ, 3ჩ), ა. დვალიშვილი (18ქ, 11მ).

**მსაჯები:** ი. ბერიშვილი, გ. მიქელაძე, დ. ბერეკაშვილი

**გადამწყვეტი.** პირველ ტაიმში იყო გაქცევები, მაგრამ რაც უფრო ახლოვდებოდა ფინიში, სიტუაციაც იძაბებოდა. ქეიდუგანის, ჯექსონისა და სეფოლდის შედეგიანი თამაშის ხარჯზე ბოლო წუთებზე „ბათუმმა" 6-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა, რომლის აღმოფხვრა დიდი მცდელობის მიუხედავად „ქუთაისმა" ვერ შეძლო.

**სტატისტიკა არ ტყუს.** ქუთათურები ბათუმში ჩასვლამდე ყოველ მატჩში საშუალოდ 10-ზე მეტ სამქულიანს აგდებდნენ. ამიტომაც ჰქონდათ სამივე მატჩი მოგებული. ზღვისპირეთში კი 7 შორეული ტყორცნა მოათავსეს კალათში (ამდენივე ჩააგდო „ბათუმმა") და მთავარი კოზირის გამოყენება რომ ვერ შეძლეს, ამიტომაც გაუჭირდათ.

**გამორჩეული.** სამ ოკეანის გაღმელს ერთმანეთზე უკეთესი სტატისტიკა ჰქონდა, თუმცა მარგი ქმედების კოეფიციენტით მათგან კანადელი ჯუნიორ ქეიდუგანი გამორჩა. იგი ტურის საუკეთესო კალათბურთელად დავასახელეთ. სათაურში, ჯუნიორის გვარში გაჩენილი ლათინური ასოები (Gun) ქართულ თარგმანში იარაღს ნიშნავს.

„ბათუმს" მიხეილ კობეშავიძის ნაცვლად (შეუძლოდ იყო) ლაშა ოჩხიკიძე გაუძღვა.

**9 ნოემბერი. თბილისი**
**შსს აკადემია-ოლიმპი 85:59**

**15:8, 17:21, 26:17, 27:13**

**შსს აკადემია:** ქიტოშვილი, ჩიკვილაძე (22ქ, 7მ, 5პ), ლაფანაშვილი (17ქ, 6მ), ბოქოლიშვილი (17ქ, 6მ), ლონდარიძე (14ქ, 5მ), კვანტალიანი (1ქ), მირზიაშვილი, ლოლიშვილი, ლომოური (8ქ, 6მ), უგრეხელიძე (3ქ), როგავა (11ქ, 8პ, 6მ, 2დ), ტომარაძე (6ქ).

**ოლიმპი:** გულისაბედაშვილი (9ქ), ნადირაძე (2ქ), გ. ბაქრაძე, მიქელაძე (9ქ, 4პ), გოგოძე, ხანიაშვილი (14ქ), თენიეშვილი (9ქ, 10მ), ათანელიშვილი (14ქ, 5მ, 2დ), ფხაკაძე, ხიზანიშვილი (2ქ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი, გ. მოლოდინაშვილი

**გადამწყვეტი.** 38:36, ასე იგებდა „შსს აკადემია" მატჩის 23-ე წუთისთვის, მომდევნო ხუთ წუთში კი „ძალოვნები" 13:2 გაიქცნენ (სპურტი როგავამ სამიანით გახსნა) და 51:38...

**სტატისტიკა არ ტყუის.** სამწამიანი ზონიდან ჩაგდებულ ქულებში შსს-მ „ოლიმპს" 54:26 აჯობა. აკადემიელებმა მაღალი სიზუსტით სტყორცნეს თამაშიდან - 35/66 (53%).

**გამორჩეული.** „არმიასთან" წინა ტურის მატჩში შეტევაში ცუდი თამაში ბექა ჩიკვილაძემ „ოლიმპთან" გადაფარა - 22 ქულა და 5 პასი მიითვალა. სეზონის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა ზვიად ანთაძემ - 11 ქულა, 16 მოხსნა.

**9 ნოემბერი. თბილისი**
**დინამო-რუსთავი 97:62**

**21:13, 20:6, 29:22, 27:21**

**დინამო:** გამყრელიძე (11ქ, 9პ), ს. ლეჟავა (4ქ), კარტერი (14ქ, 8მ), ბ. ლეჟავა (14ქ, 5მ, 3პ), ვახანია (5ქ), ბიბილური, ლილუაშვილი (9ქ), მილოშევიჩი (17ქ, 12მ, 3დ), პეშიჩი (8ქ, 4პ), ანთაძე (11ქ, 16მ, 3პ), ორმოცაძე, თვალაბეიშვილი (4ქ).

**რუსთავი:** მაჭავარიანი (12ქ), გ. არაბული, არწივიძე (5ქ, 3პ), ხმელიძე (14ქ, 5მ), ჩაჩანიძე (17ქ, 3პ), ალხანაიძე (7ქ, 6მ), ყველაშვილი (7ქ), ჯ. არაბული, გუგავა, გაგნიძე, დ. მაისურაძე.

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერიშვილი, ზ. მაჩალაძე.

**გადამწყვეტი.** მეორე პერიოდის ბოლოს „დინამომ" „რუსთავი" 15:0 დაამარცხა და წინ გაიჭრა - 40:17. ამ ეპიზოდში დაცვაში მტკიცედ იდგა სტევან მილოშევიჩი, რომელმაც სპურტისას 6 ქულა მიითვალა.

**სტატისტიკა არ ტყუის.** სწრაფი გარღვევის შედეგად (რაც მნიშვნელოვნად ლაშა გამყრელიძის დამსახურებაა) „დინამომ" 37 ქულა ჩააგდო, „რუსთავმა" - 14. ქვემოქართლელებს ასევე 14 ქულა ჰქონდათ მოგროვებული სამწამიანი ზონიდან, მაშინ როცა მოედნის ამ მონაკვეთიდან საკუთარ კალათში 42 ქულა მიიღეს.

**გამორჩეული.** „დინამოდან" 5 კალათბურთელი ასცდა 10-ქულიან ნიშნულს. ბომბარდირი კი ორმაგდუბლოსანი სტევან მილოშევიჩი გახდა - 17 ქულა, 12 მოხსნა.





**9 ნოემბერი. თბილისი**
**მაქაბი-არმია 72:116**

**15:34, 17:28, 20:28, 20:26**

**მაქაბი:** ტეტელაშვილი (5ქ), გულმაგარაშვილი, მეგენეიშვილი (6ქ, 5პ), სულაბერიძე (4ქ), ელბაქიძე (2ქ), პატარაია (3ქ), სარიშვილი (3ქ), ბეშქენაძე (3ქ, 5მ, 3პ), ლ. რევაზაშვილი (31ქ, 3ჩ, 7მ), ფერიაშვილი (13ქ, 7მ), ბუთხუზი, ნანიტაშვილი (2ქ).

**არმია:** ბაბიაშვილი (8ქ), ბოისა (3ქ), ბერიშვილი (8ქ, 6პ, 5მ), ჯანაშია (8ქ, 6მ), კვიმსაძე (14ქ, 5პ), შიოლაშვილი (4ქ, 5მ), ჯგერენაია (18ქ, 8მ, 3პ, 3დ), წივწივაძე (15ქ, 6მ, 5პ), შარაბიძე (23ქ, 5მ, 3ჩ), ქავთარაძე (4ქ, 5მ), გაგუა (3ქ), კეიდია (8ქ, 4პ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერიშვილი, მ. ვართანოვი

**გადამწყვეტი.** გადამწყვეტი არა კონკრეტული ეპიზოდი, არამედ ძალთა თანაფარდობა გამოდგა. „არმიას" აქამდე თამაში არ ჰქონდა წაგებული და სერია მეოთხე ტურშიც განაგრძო. „მაქაბის" კი მოგების გემო ჯერ არ გაუსინჯავს.

**სტატისტიკა არ ტყუის.** არმიელებმა 16 სამქულიანი ჩააგდეს...

**გამორჩეული.** გამარჯვებულთა შორის ბომბარდირი გიორგი შარაბიძე გახდა - 23 ქულა. მაქაბელმა ლევან რევაზაშვილმა კი სეზონის რეკორდი დაამყარა - 31 ქულა ჩააგდო. მის ანგარიშზე 11-დან 6 სამქულიანია.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 4 | 4 | 0 | 333/238 | 8 |
| 2. ქუთაისი | 4 | 3 | 1 | 383/280 | 7 |
| 3. დინამო | 3 | 3 | 0 | 262/218 | 6 |
| 4. ბათუმი | 4 | 2 | 2 | 346/337 | 6 |
| 5. შსს | 3 | 2 | 1 | 227/212 | 5 |
| 6. სოხუმი | 3 | 1 | 2 | 198/196 | 4 |
| 7. ოლიმპი | 3 | 1 | 2 | 241/249 | 4 |
| 8. რუსთავი | 4 | 0 | 4 | 224/351 | 4 |
| 9. მაქაბი | 4 | 0 | 4 | 283/416 | 4 |

*გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები*

ქართველი NBA-ში

# ზაზას 1500

## სარეკორდო სერია 23-ზე შეწყდა

ფეხბურთში წარმატებულ მეკარეებს უთვლიან რამდენი წუთით შეინახავს კარს მშრალად. შემდეგ რეკორდულ მაჩვენებელს მსოფლიოს საუკეთესო შედეგს ადარებენ და მსჯელობენ გაუთავებლად. **ზაზა ფაჩულიას** რეკორდი მსოფლიოს მასშტაბისა არ არის, მაგრამ NBA-ში პირადი მაჩვენებელი გაიუმჯობესა - მას მოედანზე გატარებულ 137 წუთში საჯარიმოს ხაზიდან ბურთი ერთხელაც არ აუცილებია. ამ დროში ზაზამ 23-ჯერ სტყორცნა, გუშინ კი, „დალას მავერიქსთან" სეზონის 24-ე საჯარიმო ვერ გამოიყენა და მისი სერიაც აქ შეწყდა. საინტერესო დამთხვევაა: 29 წლის ქართველმა ცენტრმა რეალიზებული საჯარიმოები სწორედ „დალასთან" დაამრგვალა - 1500-ე ჩააგდო.

რადგან შეტევაზე ვლაპარაკობთ, იმასაც დავამატებთ, რომ ფაჩულიამ და მისმა მილუოკელმა თანაგუნდელებმა შეტევაში მავერიქსელებს ვერ აჯობეს. გადამწყვეტ მომენტში მეტი სიზუსტე **დირკ ნოვიცკიმ** და მისმა მეგობრებმა გამოიჩინეს და „მილუოკი ბაქსი" საკუთარ მოედანზე 91:83 დაამარცხეს.

2 მოგებითა და 3 წაგებით „მილუოკი" საპლეიოფო რვაეულის ქვემოთაა, თუმცა სეზონი ახლახან დაიწყო, ჯერ შანსებზე მსჯელობა ადრეა და არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ბაქსს" ტრავმის გამო რამდენიმე წამყვანი კალათბურთელი აკლია: **ერსან ილიასოვა, ლარი სენდერსი, ლუკ რიდნური.**

12 და 13 ნოემბერს ზაზას გუნდი ფლორიდაზე „ჩაისეირნებს". ჯერ „მაიამი ჰიტს" დაუპირისპირდება, შემდეგ - „ორლანდო მეჯიქს".

**გვერდი მოამზადა**
**ვაჟა სიმონიშვილმა**






**მილუოკი-დალასი 83:91**

**ზაზა ფაჩულია:** 38 წუთი, 4 ქულა (6/1 ორქულიანი, 3/2 საჯარიმო), 7 მოხსნა, 1 პასი, 4 ფოლი, 3 შეცდომა.

**I პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 11:02 | 2-0 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 9:21 | 7-3 | შეცდომა: 1 |
| 7:39 | 7-6 | ჩაჭრა: 1 (კალდერონს აართვა) |
| 6:35 | 10-11 | ფოლი: 1 |
| 6:35 | 10-11 | შეცდომა: 2 |
| 4:33 | 20-13 | ადომ შეცვალა |

**II პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 10:38 | 36-22 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 8:06 | 41-27 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 8:06 | 41-29 | ორქულიანი: 2ქ |
| 8:06 | 41-30 | საჯარიმო: 1/1 (3ქ) |
| 7:07 | 43-30 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 5:01 | 49-34 | პასი: 1 (ჰენსონი 2ქ) |
| 4:20 | 49-34 | შეცდომა: 3 |
| 4:05 | 49-34 | დაფარება: 1 (დალემბერს დაუფარა) |
| 2:54 | 53-36 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 2:33 | 53-36 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 2:33 | 53-37 | საჯარიმოები: 2/1 (4ქ) |
| 2:15 | 53-37 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 |
| 1:53 | 53-37 | ორქულიანი: არაზუსტი |

**III პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 7:48 | 62-47 | ფოლი: 2 |
| 7:33 | 62-47 | მოხსნა: შეტ-2, დაც-4 |
| 7:18 | 64-47 | ფოლი: 3 |
| 5:50 | 64-54 | ჩაჭრა: 2 (კარტერს აართვა) |
| 3:59 | 66-59 | ადომ შეცვალა |

**IV პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 10:53 | 70-64 | ადო შეცვალა |
| 8:15 | 76-69 | ჩაჭრა: 3 (ნოვიცკის აართვა) |
| 7:24 | 78-71 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 6:03 | 80-73 | მოხსნა: შეტ-2, დაც-5 |
| 5:37 | 80-73 | ფოლი: 4 |
| 4:03 | 81-76 | ორქულიანი: არაზუსტი |

# ქართველები მებრძოლი ხალხი ხართ, მაგრამ...

**საქართველო-კანადა 19:15**

**საქართველო** (15-9) კვირიკაშვილი, მაჩხანელი (ზიბზიბაძე 28), კაჭარავა, შარიქაძე, მჭედლიძე, ხმალაძე, ბეგაძე. (1-8) ნარიაშვილი (ხინჩაგიშვილი 59), მამუკაშვილი (მაისურაძე 73), ქუბრიაშვილი (ჩილაჩავა 59), მიქაუტაძე (სუთიაშვილი 67), დათუნაშვილი (თხილაიშვილი 79), კოლელიშვილი, გორგოძე, ჩხაიძე.

**ლ:** ზიბზიბაძე. 4ს,გ: კვირიკაშვილი

**გაძევება:** კოლელიშვილი

**კანადა** (15-9) ევანსი, ჰასლერი, თრეინორი, ჯოუნზი, მაკქენზი, ანდერვუდი (ბლევინსი 40), მაქი (ჯ. მაკქენზი 70). (1-8) ბაიდენსი, ბარქვილი (პიფერო 40), თიდემანი (ილნიცკი 41), ფელანი (დალა 70), ბუქებუში (ჰოთსონი 52), სინკლერი, მუნლაითი, არდრონი.

**5ს:** ანდერვუდი (3), ჯოუნზი (2)

**გაძევება:** არდრონი.

**მსაჯი:** ლოურენს ფან დერ მერვე (ს.აფრიკა)



თედო ზიბზიბაძის ლელო

საქართველოს ნაკრებმა ეროვნულ სტადიონზე კანადის ეროვნული გუნდი უმძიმეს ბრძოლაში დაამარცხა. ეს გამარჯვება, გამორიცხული არ არის, ქართული რაგბისთვის საეტაპოც კი იყოს. „ბორჯღალოსნებმა" შეძლეს კარგად ორგანიზებული და შესანიშნავად გაწვრთნილი მეტოქის დამარცხება, რომელიც ბოლო წლებში ძალიან სწრაფად პროგრესირებს.

ჩვენი გუნდისა და კანადის ნაკრების ეს დაპირისპირება ისტორიაში მეოთხე იყო. საერთო ანგარიში გათანაბრდა - 2:2, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი ნაკრები ბევრად ძლიერია იმ ფორმაციის კანადის ნაკრებებთან შედარებით, რომლებსაც აქამდე ვეთამაშეთ.

რატომ არის შესაძლებელი, რომ ეს გამარჯვება საეტაპო გახდეს? ბუნებრივმა პირობებმა, წვიმამ ჩვენი გუნდი აიძულა თამაში ჩაეკეტათ. ბურთის ფრთაზე გატანას და იერიშის გაშლას მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობა გვკარნახობდა, რასაც ქართველი მორაგბეები მშვენივრად ახერხებდნენ კიდეც. მატჩის ერთადერთი ლელო ხომ ზუსტად ასე გავიდა.

ერთი სიტყვით, გამოჩნდა, რომ ტრადიციული შერკინებით თამაშისა და უკანახაზელების ლაღი ბურთაობის შეხამება, ადვილად არა, მაგრამ მაინც შეგვიძლია. ახლა მთავარია, ეს კომპონენტები ბუნებრივად მოვიდეს ჰარმონიაში და მასზე ამინდი გავლენას არ ახდენდეს.

სანამ მატჩის პერიპეტიებზე გადავალთ, ჯერ დადებით ტენდენციებზე ვისაუბროთ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი კვირით ადრე კანადამ ახალი ზელანდიის მაორებს შერკინებაში აჯობა, ჩვენი შერკინება სტატიკურ მდგომარეობაში კარგი იყო. საგრძნობლად გამოსწორდა დერეფანში თამაში, სადაც რაიმე უხეში შეცდომა არ დაგვიშვია და ერთის გარდა ყველა საკუთარი აუტი მოვიგეთ. ეს, ალბათ, გუნდში ახლახან მიწვეული ფრანგი შერკინების მწვრთნელის **დიდიე ბესის** დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა დასკვნების გაკეთება ამ სპეციალისტის ვარგისიანობაზე ჯერ ნაადრევია, წინ კიდევ ორი მატჩია.

ძალიან კარგად გაისარჯა ფეხით თამაშისას ფულბეკი **მერაბ კვირიკაშვილი,** რომელმაც რამდენიმე ეპიზოდში დროულად შენიშნა მეტოქის მოშიშვლებული ზურგი და ზუსტი ტაქტიკური დარტყმით მოედნის მოგება შეძლო. ცხადია, უშეცდომოდ არც მას უთამაშია, მაგრამ ამას მატჩის მსვლელობაზე და, მით უმეტეს, შედეგზე გავლენა არ მოუხდენია. „მეკოს" ანგარიშზე 14 ქულა (ოთხი საჯარიმო და ერთი გარდასახვა) და ერთი სალელოვე გადაცემაა.

პლანეტრუგბყ-მა მატჩის საუკეთესო მოთამაშედ სწორედ კვირიკაშვილი დაასახელა. სპეციალურმა კომისიამ კი, რომელსაც დაწესებული პრიზის მფლობელი უნდა გამოევლინა, ყველაზე უკეთესად ცხრა ნომერი **გიორგი ბეგაძე** აღიარა. ის სწორად ანაწილებდა ბურთს და ერთხელ მეტოქეს ხაზი მოხერხებულად გაუჭრა. კანადელები იმ ეპიზოდში ლელოსგან, ალბათ, სასწაულმა იხსნა.

ცხადია, იყო ხარვეზიც. პირველ ტაიმში მეტოქე თავდადებით იბრძოდა და ჩვენი გუნდი, თითქოს თამაშის დალაგებას ვერ ახერხებდა. რამდენჯერმე ბურთი წინ გაგვივარდა და იერიშის განხორციელების მცირე შანსიც დაიკარგა. მივადექით ყველაზე მთავარს. მატჩის პირველი ნახევარის მიწურულს, როცა ანგარიში საყაიმო იყო - 9:9, „ბორჯღალოსნების" მესამეხაზელმა **ვიქტორ კოლელიშვილმა,** რომელიც, როგორც სჩვევია, თავგანწირვით, თითქმის ჯარიმის ზღვარზე თამაშობს, მოედნის ცენტრთან ახლოს მეტოქის მგეზავი **ლიამ ანდერვუდი** წესის დარღვევით შეაჩერა. „ვიტომ" მკერდს ზემოთ, კისერთან შებოჭა მეტოქე, რაც რაგბიში მკაცრად ისჯება. ყველაფერი იმით დამთავრდებოდა, რომ არბიტრი ჩვენს მორაგბეს სინბინში გაუშვებდა და კანადელების სასარგებლოდ საჯარიმოს დანიშნავდა, მაგრამ კოლელიშვილს ერთბაშად ორი კანადელი მიუხტა. ქართველმა მორაგბემ მომხვდურებს თავი არ დააჩაგვრინა და გუნდური ჩხუბი ატყდა.

მუშტი-კრივის პერიპეტიებზე არ შევჩერდებით. ვინ ვის მოერია, მთავარი არ არის. შედეგად, არბიტრმა კოლელიშვილს წითელი ბარათი უჩვენა. ანალოგიურად დაისაჯა სტუმართა რვა ნომერი, გუნდის კაპიტანი **ტაილერ არდრონი.** დაშავდა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო ანდერვუდმა, როგორც ჩანს, ჩხუბისას ფეხი იტკინა და მოედანი კოჭლობით დატოვა შერკინების კვაჭმა **რეი ბარქვილმა**. ერთი სიტყვით, კოლელიშვილმა ასე „ერთი დარტყმით" უსაქმოდ დატოვა მეტოქის ერთბაშად სამი წამყვანი მოთამაშე და, როგორც მეორე ტაიმში გამოჩნდა, გუნდიც აირია.

პირველი ნახევარი კანადამ სამი ქულის სხვაობით მოიგო. მერაბ კვირიკაშვილის სამ საჯარიმოს ანდერვუდმა, სანამ მოედანზე იყო, სამითვე უპასუხა. ზემოთ აღნიშნული ინციდენტის შემდეგ კი საჯარიმო სტუმართა შუამარბმა **ჰარი ჯოუნზმა** დაარტყა - 12:9.

მეორე ტაიმში თამაშის სურათი რადიკალურად შეიცვალა. „ბორჯღალოსნები" უფრო მობილიზებულნი და საბრძოლველად შემართულები გამოიყურებოდნენ. 52-ე წუთზე მეტოქის 22-მეტრიანი ზონის მისადგომებთან აუტი სუფთად მოვიგეთ, მოლი შევკარით, ხუთიოდ მეტრი გავიარეთ და, მერე, უეცრად მოლს **მამუკა გორგოძე** მოსწყდა. ის მალევე შებოჭეს. ბეგაძემ რაკიდან ბურთი მარჯვნივ, გრძელ ფრთაზე გაიტანა, იქ შუამარბმა **დავით კაჭარავამ** შეუტია. ისიც შეაჩერეს. ამჯერად „ბეგომ" მარცხნივ მგეზავი **ლაშა ხმალაძე** მოძებნა, რომელმაც იერიშში ფულბეკი მერაბ კვირიკაშვილი ჩართო, ამან ბურთი ფრთაზე დაშავებული კაპიტნის, **ირაკლი მაჩხანელის** ნაცვლად შესულ **თედო ზიბზიბაძეს** გადააწოდა, რომელიც ხელიდან ორ კანადელს დაუსხლტა და ლელოში შეაღწია. კვირიკაშვილმა საკმაოდ რთული პოზიციიდან გარდასახა - 16:12.

ოთხწუთიანი შუალედით გუნდებმა თითო საჯარიმო გაცვალეს. ჯერ კანადელებმა შეამცირეს ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე, მერე კვირიკაშვილმა ისევ აღადგინა ოთხქულიანი უპირატესობა - 19:15. თამაშის დასრულებამდე 18 წუთი რჩებოდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დარჩენილ დროში სტუმრებს მატჩის გადარჩენის იოტისოდენა შანსიც არ მისცემიათ. „ბორჯღალოსნები" დაცვაში უაღრესად ყურადღებით გაისარჯნენ და ანგარიშში სხვაობის გაზრდის შესაძლებლობაც არაერთი ჰქონდათ.

## მატჩის შემდეგ

**კირან ქროული,** კანადის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„პირველ ტაიმში უკეთესად ვითამაშეთ. ვცდილობდით გაშლილად, ხელდახელ გვეთამაშა. ბევრი შეცდომა დავუშვით. ბურთი ხან ხელიდან გაგვივარდა, ხანაც მეტოქეს ბურთიანად აუტში გადავყავდით. საქართველოს ნაკრებმა ეს კარგად გამოიყენა, გვაჯობა და გაიმარჯვა კიდეც".*

**ტაილერ არდრონი,** კანადის ნაკრების კაპიტანი:

*„ძალიან გვინდოდა, დღეს ჩვენ მოგვეგო, მაგრამ მეტოქემ ამის საშუალება არ მოგვცა. საქართველოს ნაკრები ძლიერი გუნდია და ამჯერად ჩვენ კი არ წაგვიგია, არამედ მათ მოგვიგეს".*

**მილტონ ჰეიგი,** საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

*„მართალია თამაში მოვიგეთ, მაგრამ კმაყოფილი მაინც არ ვარ. პირველ ტაიმში ბევრი შეცდომა დავუშვით. არადა, იმ კონდიციებით, რაც გაგვაჩნია, ბევრად უკეთესად შეგვიძლია თამაში. შესვენებაზე მორაგბეებს ვუთხარი, რომ ბურთის შენარჩუნებაზე ეზრუნათ და თამაში მეტოქის მოედანზე გადაეტანათ, რაც პირველ ტაიმში არ გამოგვდიოდა.*

*იარაკლი მაჩხანელმა კოჭი დაიზიანა. ჯერ არ ვიცით ტრავმა რამდენად სერიოზულია. დაველოდებით ექიმის დასკვნას.*

*არ მეგულება რაგბის მიმდევარი ადამიანი, რომელიც მოედანზე ჩხუბის მომხრეა. საერთაშორისო დონეზე ეს, ფაქტობრივად, არ ხდება. მესმის, რომ ქართველები მებრძოლი ხალხი ხართ. ნაკრების მოთამაშეებიც მებრძოლი ბიჭები არიან, რაც, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ მათ ყოველთვის ვთხოვ, რომ მოითმინონ. ვიქტორ კოლელიშვილს რომ მოეთმინა მეტოქის გამოხდომა, არბიტრი, ალბათ, მხოლოდ კანადელს დასჯიდა და საჯარიმოს ჩვენს სასარგებლოდ დანიშნავდა."*

**შალვა სუთიაშვილი:**

„კანადასთან უკვე მეოთხედ ვითამაშეთ და ანგარიში გავათანაბრეთ - 2:2. ვფიქრობ, ეს გუნდი გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე ის, შარშან კანადაში რომ დავუპირისპირდით.

ჩვენს თამაშში კორექტივები წვიმამ შეიტანა. მთელი კვირა მზიან ამინდში ვემზადებოდით, ამჯერად კი წვიმა წამოვიდა. ამან პრობლემები შეგვიქმნა. თუმცა, მეორე ნახევარში თამაშის მანერა შევცვალეთ, ამან გაამართლა და მოვიგეთ კიდეც.

მინდა მადლობა გადავუხადო გულშემატკივრებს ერთგული ქომაგობისთვის. მომდევნო მეტოქე აშშ-ის ნაკრებია. მასთანაც ბოლომდე ვიბრძოლებთ და, ვფიქრობ, უფრო უკეთესად ვითამაშებთ".

■ ■ ■

საქართველოს ნაკრების მომდევნო მეტოქემ, აშშ-ის ეროვნულმა გუნდმა შინ ახალი ზელანდიის მაორების ნაკრებს უმასპინძლა და 19:29 დამარცხდა. წააგო ნოემბრის ტესტებზე „ბორჯღალოსნების" მესამე მეტოქემაც. სამოას ნაკრებმა სტუმრად ირლანდიის ნაკრებთან დიდი ანგარიშით დათმო შეხვედრა - 9:40. კუნძულელებმა „სამყურებს" მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწიეს. მასპინძლებმა მეტოქის გატეხვა შესვენების შემდეგ მალევე მოახერხეს და ბევრისთვის მოულოდნელი სხვაობით მოუგეს.

სენსაცია დაფიქსირდა ბუქარესტში, სადაც ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქემ, რუმინეთის ეროვნულმა გუნდმა ტონგას ნაკრები დაამარცხა მინიმალური სხვაობით - 19:18. „მუხის ფოთლებს" გამარჯვება მატჩის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე **ფლორინ ვლაიკუმ** საჯარიმო დარტყმით მოუტანა.

ჩვენი გუნდის კიდევ ერთმა მეტოქემ, პორტუგალიის ნაკრებმა შინ დათმო შეხვედრა ფიჯის გუნდთან - 13:36. ესპანელებმა კი სტუმრად დაამარცხეს ჩილეს ნაკრები - 26:3.

| ნოემბრის ტესტები | |
|---|---|
| იტალია-ავსტრალია | 20:50 |
| შოტლანდია-იაპონია | 42:17 |
| ინგლისი-არგენტინა | 31:12 |
| პორტუგალია-ფიჯი | 13:36 |
| რუმინეთი-ტონგა | 19:18 |
| უელსი-სამხრეთ აფრიკა | 15:24 |
| ირლანდია-სამოა | 40:9 |
| საფრანგეთი-ახ. ზელანდია | 19:26 |
| ჩილე-ესპანეთი | 3:26 |
| აშშ-მაორები | 19:29 |

**16 ნოემბერი**

საქართველო-აშშ

**23 ნოემბერი**

საქართველო-სამოა

**ბესიკ ჯანგავაძე**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები*


ბურთით მამუკა გორგოძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# სამ წამში მოგებული შეხვედრა

## სელტიქსმა მაიამიში სასწაული მოახდინა



გმირი და ანტიგმირი: გრინი უეიდის წინააღდეგ

ორი დღის განმავლობაში ჩატარებულ მატჩებს შორის ერთი უნდა გამოვყოთ - გუშინდელი შეხვედრა მაიამიში, რომელშიც „ჰიტმა" სენსაციურად წააგო „ბოსტონ სელტიქსთან" პრაქტიკულად მოგებული დუელი.

**ლებრონ ჯეიმსის** ორი ზუსტი საჯარიმოს შემდეგ, თამაში ყველას დასრულებული ეგონა. სამი წამის განმავლობაში ოთხქულიანი ჩამორჩენის გაბათილება შეუძლებლად მოსჩანდა. მაგრამ „სელტიქსი" სხვაგვარად ფიქრობდა. ტაიმ-აუტზე მთავარმა მწვრთნელმა **ბრედ სტივენსმა** თავის შეგირდებს კომბინაცია დაუხაზა, რომელიც კარგად გაითამაშეს **ჯეფ გრინმა** და **ჯერალდ უოლასმა**. ასევე ოპერატიულად აიღეს სტუმრებმა ჯარიმა და სირენამდე 0.6 წამით ადრე, „მაიამის" ორქულიანი უპირატესობისას, საჯარიმოს ხაზზე **დუეინ უეიდი** დადგა.

გამოცდილ მცველს ორჯერ აუკანკალდა ხელი. პირველი ტყორცნის აცილებას ყველა დაივიწყებდა, უეიდს მეორე სროლაც რომ არ გაეფუჭებინა. დუეინი სპეციალურად აპირებდა არაზუსტ სროლას, რათა დარჩენილი დრო „მოეკლა", მაგრამ საერთოდ ვერ მოარტყა ბურთი ფარს. შედეგად, „სელტიქსმა" ბურთის გვერდითი ხაზიდან შემოტანის უფლება მიიღო. გრინმა უოლასის გრძელი პასი დაიჭირა და თითქმის მოედნის გარეთ გადავარდნილმა ისროლა სამქულიანი. ბურთი კალათში ჩავარდა, მსაჯებმა კი ვიდეო შეამოწმეს და დაასკვნეს,რომ ბოსტონელებმა 0.6 წამში მოასწრეს შეტევა.

საინტერესოა, რომ ბოლო ექვსი სეზონის განმავლობაში, სწორედ გრინია ყველაზე საიმედო ბოლო წამებზე თამაშის დროს - მან 11-დან შვიდ შემთხვევაში შეძლო თავისი გუნდისთვის გამარჯვების მოტანა.

■ ■ ■

გასულ უქმეებზე სხვა ღირსშესანიშნავი ამბებიც მოხდა. მაგალითად, „ინდიანამ" ზედიზედ ორ მატჩი მოიგო და კვლავაც ერთადერთი დაუმარცხებელია რეგულარულში.

„ბრუკლინის" ფორვარდი **კევინ გარნეტი** მეათე ადგილზე გადავიდა ისტორიაში რეგულარულ ჩემპიონატში ჩატარებული მატჩების რაოდენობით. 37 წლის მოთამაშე 1329-ედ გავიდა მოედანზე და ახლა, მეათე პოზიციას იყოფს **მოზეს მელოუნთან**. უკვე ამ თვეში გარნეტმა უნდა გაუსწროს **გერი პეიტონს**, რომელიც 1335 მატჩით მე-9 ადგილზეა. რეკორდსმენია ლეგენდარული ცენტრი **რობერტ პერიში** 1611 შეხვედრით.

„ატლანტას" შემტევმა მცველმა **კაილ კორვერმა** „ორლანდოსთან" მატჩის მეორე მეოთხედში სამქულიანი ჩააგდო და მეორე ადგილზე გავიდა რეგულარულ ჩემპიონატში შორეული ტყორცნების რეალიზაციის სერიით. „ჰოუქსის" მოთამაშე ზედიზედ 79 მატჩია მინიმუმ ერთ სამქულიანს აგდებს.

კორვერმა ამ მაჩვენებლით გაუსწრო მცველ **მაიკლ ადამსს**, რომელიც ლიგაში 1985-96 წლებში გამოდიოდა. რეკორდი კი ეკუთვნის **დენ ბაროსს** - ის ზედიზედ 89 მატჩში აგდებდა მინიმუმ ერთ სამქულიანს.

### 9 ნოემბერი

**შარლოტი-ნიუ იორკი 91:101**

22:28, 25:23, 22:34, 22:16

შ: უოკერი (25), ჰენდერსონი (18+9 მოხსნა), სეშენსი (15), კიდ-გილკრისტი (14+8 მოხსნა+3 დაფარება), ბიიომბო (3+11 მოხსნა).

ნ-ი: ენტონი (28+8 მოხსნა+6 პასი), ბარნიანი (25+8 მოხსნა+5 დაფარება), ფელტონი (15).

**ინდიანა-ტორონტო 91:84**

22:32, 22:14, 28:13, 19:25

ი: ჯორჯი (23+8 მოხსნა+6 პასი), ჰიბერტი (20+7 მოხსნა), ჰილი (14).

ტ: გეი (30+3 დაფარება+3 ჩაჭრა), ლოური (12+8 პასი+7 მოხსნა), ჯონსონი (12+10 მოხსნა).

**ორლანდო-ბოსტონი 89:91**

24:17, 25:29, 19:25, 21:20

ო: აფლალო (23), ვუჩევიჩი (14+13 მოხსნა), ნელსონი (12+7 პასი), ნიკოლსონი (6+11 მოხსნა).

ბ: ბასი (16+7 მოხსნა), ბრედლი (14+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), კროუფორდი (13), ლი (13), სალინჯერი (11), გრინი (10).

**ფილადელფია-კლივლენდი 94:79**

14:28, 30:14, 33:19, 17:18

ფ: ტერნერი (22+10 მოხსნა), როტენი (18), იანგი (16+8 მოხსნა), კარტერ-უილიამსი (11+9 მოხსნა+6 პასი), ანდერსონი (11), ჰოიესი (10+7 მოხსნა+6 დაფარება).

კ: უეიტერსი (18), ტომპსონი (13+16 მოხსნა), ჯეკი (13), მაილსი (13), ირვინგი (10+9 პასი).

**ვაშინგტონი-ბრუკლინი 112:108 (ო)**

27:33, 26:25, 20:15, 26:26, 13:9

ვ: ბილი (29), ნენ (20+8 მოხსნა), უოლი (17+14 პასი+4 ჩაჭრა), გორტატი (15+12 მოხსნა), ჰარინგტონი (15).

ბ: ლოპესი (23), ჯონსონი (16+7 მოხსნა), უილიამსი (14), ლივინგსტონი (12), ტერი (11), ბლეტჩი (10+13 მოხსნა).

**დეტროიტი-ოკლაჰომა 110:119**

22:20, 29:35, 25:29, 34:35

დ: სმიტი (25+8 მოხსნა), ჯენინგსი (22+11 პასი+4 ჩაჭრა), მონრო (20+15 მოხსნა+3 დაფარება), სტაკი (17).

ო: დურანტი (37+8 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), უესტბრუკი (20+3 ჩაჭრა), ადამსი (17+10 მოხსნა+3 დაფარება), იბაკა (11+9 მოხსნა+3 დაფარება), ლემბი (10).

**ჩიკაგო-იუტა 97:73**

30:18, 21:22, 27:16, 19:17

ჩ: დენგი (19+11 მოხსნა+9 პასი+5 ჩაჭრა), ბუზერი (18+10 მოხსნა), ნოა (14+8 მოხსნა), როუზი (12), გიბსონი (12).

ი: ჰეივორდი (15), ფეივორსი (10+9 მოხსნა), ბერქსი (10+4 ჩაჭრა).

**მინესოტა-დალასი 116:108**

28:24, 27:32, 30:25, 31:27

მ: ლავი (32+15 მოხსნა+8 პასი), მარტინი (32), ბრიუერი (17), პეკოვიჩი (15+3 დაფარება).

დ: ელისი (23), კალდერონი (21+7 პასი), ნოვიცკი (14), მერიონი (10+7 მოხსნა+3 დაფარება+3 ჩაჭრა), კრაუდერი (10).

**ნ. ორლეანი-ლეიკერსი 96:85**

28:27, 27:21, 14:18, 27:19

ნ-ო: დევისი (32+12 მოხსნა+6 დაფარება), გორდონი (16), სმიტი (14), ჰოლიდეი (13+13 პასი+4 ჩაჭრა), მოროუ (10).

ლ: კამანი (16), ბლეიკი (13+8 პასი), იანგი (13), მიქსი (11), ფარმარი (10), პ. გასოლი (9+11 მოხსნა), ჰილი (4+13 მოხსნა).

**სან ანტონიო-გ. სტეიტი 76:74**

27:20, 13:13, 24:22, 12:19

ს-ა: პარკერი (18), ლეონარდი (13+7 მოხსნა+4 ჩაჭრა).

გ-ს: დუგლასი (21), ლი (13+10 მოხსნა), ტომპსონი (11+3 ჩაჭრა), ბოგუტი (6+13 მოხსნა).

**ფინიქსი-დენვერი 114:103**

35:29, 29:18, 20:40, 30:16

ფ: მორისი (28+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), პლამლი (18+11 მოხსნა), ბლედსოუ (17+9 პასი+3 ჩაჭრა), გრინი (12), მორისი (11+8 მოხსნა).

დ: ლოუსონი (29+3 ჩაჭრა), ჰემილტონი (19+9 მოხსნა), რენდოლფი (14+7 მოხსნა), ფოიე (11).

**პორტლენდი-საკრამენტო 104:91**

29:22, 25:27, 23:17, 27:25

პ: ლილარდი (22+8 მოხსნა+7 პასი), ოლდრიჯი (20+7 მოხსნა), მეტიუზი (18+7 მოხსნა), ბატუმი (14+8 პასი+7 მოხსნა), ლოპესი (11), რობინსონი (10).

ს: კაზინსი (35+9 მოხსნა+4 ჩაჭრა), ტომასი (13+7 პასი), ვასკესი (12+6 პასი), აუთლო (10), პატერსონი (10).

### 10 ნოემბერი

**ტორონტო-იუტა 115:91**

30:16, 32:20, 29:24, 24:31

ტ: ჰენსბრო (23+7 მოხსნა), დეროზანი (18), ვალანჩუნასი (14), გეი (11), ჯონსონი (7+11 მოხსნა+3 დაფარება).

ი: ჰეივორდი (24+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), ფეივორსი (17+7 მოხსნა), ბერქსი (17), კანტერი (14).

**ატლანტა-ორლანდო 104:94**

28:22, 18:23, 26:26, 32:23

ა: ტიგი (19+13 პასი), მილსეპი (18+11 მოხსნა+4 ჩაჭრა), სკოტი (17), ჰორფორდი (15+7 პასი+7 მოხსნა+4 დაფარება), კორვერი (14+8 მოხსნა), კეროლი (12+7 მოხსნა).

ო: აფლალო (21+7 პასი), ნელსონი (13+6 პასი), ნიკოლსონი (13), მაქსიელი (12).

**ბრუკლინი-ინდიანა 91:96**

21:23, 25:21, 21:28, 24:24

ბ: უილიამსი (17+10 პასი), ჯონსონი (17), ლოპესი (16+7 მოხსნა), პირსი (15+8 მოხსნა).

ი: ჯორჯი (24), უესტი (18+8 მოხსნა), ჰიბერტი (15+11 მოხსნა), სტივენსონი (15+7 პასი).

**კლივლენ.-ფილადელ. 127:125 (2ო)**

30:27, 23:21, 22:37, 32:22, 9:9, 11:9

კ: ირვინგი (39+12 პასი), უეიტერსი (24+8 მოხსნა+6 პასი+4 ჩაჭრა), ჯეკი (20+3 დაფარება+3 ჩაჭრა), ტომპსონი (19+10 მოხსნა), ვარეჟაო (13+10 მოხსნა+3 დაფარება).

ფ: ტერნერი (31+10 მოხსნა), იანგი (29+3 ჩაჭრა), კარტერ-უილიამსი (21+13 პასი+7 მოხსნა), ჰოიესი (13+11 მოხსნა), მორისი (12).

**მაიამი-ბოსტონი 110:111**

31:25, 28:35, 23:20, 28:31

მ: ჯეიმსი (25+10 პასი+8 მოხსნა), ბოში (20+7 მოხსნა), უეიდი (18+7 პასი), ანდერსენი (10), ჩელმერსი (10), ბიზლი (10).

ბ: გრინი (24), ბრედლი (17), კროუფორდი (15), სალინჯერი (12+8 მოხსნა).

**მილუოკი-დალასი 83:91**

19:34, 21:21, 24:13, 19:23

მ: მაიო (28), ბატლერი (19+13 მოხსნა).

დ: ელისი (18+3 ჩაჭრა), ნოვიცკი (16), მერიონი (14+10 მოხსნა), კარტერი (13), ბლეირი (7+11 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**ჰიუსტონი-კლიპერსი 94:107**

26:22, 29:24, 16:27, 23:34

ჰ: პარსონსი (23+8 მოხსნა), ჰოვარდი (21+8 მოხსნა), ბეველი (19+4 ჩაჭრა), ჰარდენი (12).

კ: რედიკი (22+4 ჩაჭრა), გრიფინი (22+7 მოხსნა), კროუფორდი (16), პოლი (14+13 პასი), ჯორდანი (12+18 მოხსნა+3 დაფარება), კოლისონი (10).

**მემფისი-გ. სტეიტი 108:90**

32:29, 22:21, 36:27, 18:13

მ: რენდოლფი (23+11 მოხსნა), კონლი (20+6 პასი+3 ჩაჭრა), გასოლი (18+7 მოხსნა+3 დაფარება), მილერი (15+9 მოხსნა), ალენი (12), პრინსი (10).

გ-ს: კარი (22+3 ჩაჭრა), იგუოდალა (19), ლი (13+9 მოხსნა), ტომპსონი (12).

**საკრამენტო-პორტლენდი 85:96**

18:21, 20:24, 16:24, 31:27

ს: კაზინსი (33+12 მოხსნა), მაკლემორი (13), ტომასი (12).

პ: ოლდრიჯი (22+14 მოხსნა), მეტიუზი (21), ბატუმი (12+7 მოხსნა), ლოპესი (12+10 მოხსნა).

## ამბები

ჭადრაკი

### ანანდმა და კარლსენმა ყაიმით დაიწყეს

ინდოეთის ქალაქ ჩენაიში დაიწყო მატჩი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის, რომელშიც ერთმანეთს ხვდებიან ინდოელი **ვიშვანათან ანანდი** და ნორვეგიელი **მაგნუს კარლსენი**. შაბათს გაიმართა პირველი პარტია, რომელიც ხანმოკლე აღმოჩნდა - მე-16 სვლაზე დიდოსტატები ყაიმზე შეთანხმდნენ.

სულ უნდა გათამაშდეს 12 პარტია და ჩემპიონი გახდება ის, ვინც პირველი დააგროვებს 6.5 ქულას. თუ 12 პარტიის შემდეგ ანგარიში თანაბარი იქნება, 28 ნოემბერს მოჭადრაკეები ტაი-ბრეიკს გაითამაშებენ.

43 წლის ანანდი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია 2007 წლიდან. წლევანდელი მატჩის საპრიზო ფონდი 2.24 მილიონი დოლარია. გამარჯვებულს ამ თანხის 60 პროცენტი შეხვდება, დანარჩენს წაგებული მიიღებს.

კალათბურთი

### ნელსონი IV ტურის MVP

საკალათბურთო ევროლიგის მეოთხე ტურის საუკეთესო მოთამაშე გახდა „ცრვენა ზვეზდას" მცველი **დემარკუს ნელსონი**. სტუმრად „კახა ლაბორალთან" მოგებულ მატჩში, ამერიკელმა თავის აქტივში 22 ქულა (თამაშიდან - 6/7, სამქულიანები - 2/3, საჯარიმოები - 4/4), 7 მოხსნა და 2 პასი ჩაიწერა. გარდა ამისა, ნელსონზე ხუთჯერ დაჯარიმდნენ მეტოქე კალათბურთელები. ამ ყველაფერმა მას 31 სარეიტინგო ქულა მოუტანა. უფრო მაღალი რეიტინგი ჰქონდა „სტრასბურის" ცენტრს **ალექსის აჟინკას**, მაგრამ ფრანგი MVP იმის გამო ვერ გახდა, რომ მისმა გუნდმა „რეალთან" წააგო.

ასევე, კვირის საუკეთესო ხუთ მოთამაშეს შორის მოხვდნენ: **მალკოლმ დელეინი** („ბაიერნი"), **ჯოზეფ ლოვერნი** („პარტიზანი") და **რუდი ფერნანდესი** („რეალი").

კრივი

### დონერმა დარჩინიანი მეორედ დაამარცხა

გასულ კვირას გამართული საჩემპიონო ბრძოლებიდან ერთ-ერთში ფილიპინელმა **ნონიტო დონერმა** სომეხი **ვიკა დარჩინიანი** ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა. ამ შეხვედრას ტექსასის შტატის ქალაქმა კორპუს კრისტიმ უმასპინძლა. მეცხრე რაუნდში დონერმა თავიდან მარცხენა გვერდითი დარტყმით გაგზავნა მეტოქე ნოკდაუნში, ცოტა ხანში კი ძლიერი დარტყმების სერია ჰქონდა, რის შემდეგაც რეფერიმ ბრძოლა შეწყვიტა. ამ მომენტისთვის დარჩინიანი ლიდერობდა ქულებით: 78:84 (ორ მსაჯს) და 76:76.

ალსანიშნავია, რომ ეს მოკრივეები უკვე შეხვდნენ ერთმანეთს 2007 წელს და მაშინ ნონერმა ასევე ტექნიკური ნოკაუტით გაიმარჯვა.

■ ■ ■

ამერიკელმა **მაიკი გარსიამ** 59-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBO-ის ტიტული ჩამოართვა პუერტორიკოელ **რომან მარტინესს**. ეს ბრძოლაც კორპუს კრისტიში გაიმართა და გარსიამ მერვე რაუნდში ნოკაუტით შეძლო გამარჯვება. ალსანიშნავია, რომ ამერიკელი მეორე რაუნდში თავად მოხვდა ნოკდაუნში. ადრე ის WBO-ის ჩემპიონი იყო 57.2 კილოგრამაში, მაგრამ მომდევნო კატეგორიაში გადავიდა.

ციგურებით სირბილი

### ორი რეკორდით დაიწყო

კანადის ქალაქ კალგარიში დაიწყო მსოფლიო თასის გათამაშება ციგურებით სირბილში და პირველივე ეტაპზე მსოფლიოს ორი რეკორდი დამყარდა.

2010 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, კორელმა **ლი სან ხვამ** საკუთარი რეკორდი განაახლა 500 მეტრ დისტანციაზე. მან ეს მანძილი 36,74 წამში დაფარა. მისი წინა რეკორდი, რომელიც ამა წლის 20 იანვარს იყო დამყარებული, 36,80 წამს უდრიდა. ასევე ლი სანმა რეკორდი დაამყარა 500 მეტრზე ორი გარბენის ჯამში – 1 წუთი და 13,65 წამი.

გარდა ამისა, გაიმართა გუნდური რბოლა მამაკაცებს შორის და ჰოლანდიის ოთხეულმა მსოფლიოს რეკორდით გაიმარჯვა – 3 წუთი და 37.17 წამი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| კოლუმბია | |
|---|---|
| ა. პეტროლერა-მილიონარიოსი | 0:1 |
| ატ. ნასიონალი-კუკუტა | 1:2 |
| დეპ. კინდიო-ჩიკო | 2:1 |
| ატ. ხუნიორი-ინდეპენდიენტე | 3:2 |
| დეპ. კალი-ენვიგადო | 1:1 |
| იტაგუი-დეპ. პასტო | 1:0 |
| პატრიოტასი-ო. კალდასი | 0:1 |
| სანტა ფე-ატ. უილა | 3:4 |
| ტოლიმა-ლა ეკვიდადი | 3:1 |
| **პარაგვაი** | |
| სერო პოტენიო-სოლ დე ამერიკა | 3:0 |
| ხენერალ დიასი-რუბიო ნუ | 2:2 |
| ლუკენო-გუარანი | 0:4 |
| დეპ. კარაპეგუ-ნასიონალი | 1:4 |
| ოლიმპია-სერო პორტენიო | 0:0 |
| **იაპონია** | |
| ვეგალტა-ურავა | 3:3 |
| ომიია-კოფუ | 1:2 |
| კაშივა-ჰიროშიმა | 1:1 |
| ტოკიო-სერეზო | 1:2 |
| კავასაკი-შიმიცუ | 2:0 |
| იოკოჰამა-ნაგოია | 1:2 |
| შონანი-კაშიმა | 1:2 |
| ტოსუ-ივატა | 1:0 |
| ოიტა-ნიიგატა | 1:3 |
| **კორეა** | |
| განგვონი-დაეჟეონი | 1:3 |
| ულსანი-ჟეონბუკი | 2:0 |
| დაეგუ-ჩუნამი | 0:1 |
| ჯეჯუ-სეონგნამი | 1:0 |
| სუვანი-პოჰანგი | 1:2 |
| ინჩეონი-ბუსანი | 1:2 |
| **აზერბაიჯანი** | |
| აზალ-ყარაბახი | 1:1 |
| ინტერი-შიმურძი | 0:0 |
| ხაზარი-ქაბალა | 0:0 |
| ნეფთჩი-ბაკუ | 2:1 |
| **ს. აფრიკა** | |
| ფრი სტეიტი-პოლოკვანე | 1:0 |
| მპუმალანგა-აიაქსი | 0:0 |
| უნივერსიტი-მამელოდი | 1:3 |
| კაიზერ ჩიფსი-ბიდვესტი | 2:1 |
| სუპერსპორტი-ლამონტვილი | 3:1 |
| ამაზულუ-ბლომფონტეინი | 1:1 |

### კალათბურთი

| NBA | |
|---|---|
| ნიუ იორკი-სან ანტონიო | 89:120 |
| **გერმანია** | |
| ალბა-ბაიერნი | 94:74 |
| ბამბერგი-ბრაუნშვაიგი | 79:77 |
| ჰაგენი-ბრემერჰავენი | 89:93 |
| **საბერძნეთი** | |
| დრამასი-ილისიაკოსი | 76:73 |
| პანელეფსინიაკოსი-კოლოსოსი | 97:69 |
| არისი-პანიონიოსი | 63:65 |
| აენეა-პანათინაიკოსი | 65:88 |
| **ესპანეთი** | |
| ბარსელონა-კანარიასი | 87:71 |
| ვალიადოლიდი-კ. ლაბორალი | 58:87 |
| რეალი-მანრესა | 111:63 |
| ვალენსია-სარაგოსა | 96:76 |
| უნიკახა-მურსია | 81:72 |
| ესტუდიანტესი-გრან კანარია | 63:75 |
| **იტალია** | |
| ბრინდიზი-რეჯო ემილია | 72:71 |
| ბოლონია-მილანი | 79:71 |
| კაზერტა-რომა | 63:68 |
| კანტუ-აველინო | 74:67 |
| მონტეგრანარო-სკავოლინი | 95:90 |
| სასარი-ვარეზე | 105:75 |
| **თურქეთი** | |
| თოფასი-ფენერბაჰჩე | 89:81 |
| ალიაგა-პინარი | 75:94 |

### ჰოკეი

| ევროლიგა | |
|---|---|
| რუსეთი-ჩეხეთი | 2:0 |
| ფინეთი-შვედეთი | 2:3 (ო) |
| **NHL** | |
| **9 ნოემბერი** | |
| ტორონტო-ნიუ ჯერსი | 2:1 (ბ) |
| ვინიპეგი-ნეშვილი | 5:0 |
| კოლორადო-კალგარი | 4:2 |
| ანაჰაიმი-ბაფალო | 6:2 |
| **10 ნოემბერი** | |
| ფილადელფია-ედმონტონი | 4:2 |
| ოტავა-ფლორიდა | 3:2 |
| ბოსტონი-ტორონტო | 3:1 |
| დეტროიტი-ტამპა ბეი | 2:3 (ო) |
| კაროლინა-მინესოტა | 2:3 (ბ) |
| კოლამბუსი-აილენდერსი | 5:2 |
| სენტ ლუისი-პიტსბურგი | 2:1 |
| დალასი-ჩიკაგო | 2:5 |
| ფინიქსი-ვაშინგტონი | 4:3 (ბ) |
| ლოს ანჯელესი-ვანკუვერი | 5:1 |

### ჩოგბურთი

| ATP. ლონდონი | |
|---|---|
| ნადალი-ფედერერი | 7:5, 6:3 |
| ჯოკოვიჩი-ვავრინკა | 6:3, 6:3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ATP-ის შემაჯამებელი



რაფაელ ნადალი

# ნაცნობი სურათი: ნადალმა ფედერერს მოუგო

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ წლის შემაჯამებელი ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ამ სეზონის საუკეთესო მოთამაშეები - ესპანელი **რაფაელ ნადალი** და სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**.

გუშინდელ ნახევარფინალში ნადალი ტრადიციულ მეტოქეს, შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს** ეთამაშებოდა. ამ უკანასკნელმა წინა დღეს, B ჯგუფის ბოლო მატჩში გაითამაშა ნახევარფინალის საგზური არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროსთან** ბრწყინვალე დაპირისპირებაში. ფედერერი რამდენჯერმე ახლოს იყო მარცხთან, მესამე სეტში 0:3-ს აგებდა, მაგრამ გმირული თამაშით მაინც მოიპოვა ჯგუფში მეორე ადგილი და გავიდა ნახევარფინალში.

პირად შეხვედრებში ესპანელი 21:10-ს უგებდა ლეგენდარულ შვეიცარიელს. ფედერერმა ბოლოს ნადალი 2012 წელს, ინდიან უელსის ტურნირზე დაამარცხა. მომდევნო დაპირისპირება უკვე წელს, ასევე ინდიან უელსში შედგა და რაფაელმა დამაჯერებელი რევანში აუღო როჯერს (6:4, 6:2), ამის შემდეგ რომის ფინალში გაანადგურა ფედერერი (6:1, 6:3), ზაფხულში კი ცინცინატის მასტერსის მეოთხედფინალშიც გაიმარჯვა – 5:7, 6:4, 6:3. საინტერესოა, რომ წლის შემაჯამებელ ტურნირზე ეს ჩოგბურთელები მეხუთედ ხვდებოდნენ ერთმანეთს და წინა ოთხივე მატჩი (ერთხელ ჯგუფში, ორჯერ ნახევარფინალში და ერთხელ ფინალში) ფედერერმა მოიგო.

ცხადი იყო, რომ ამ შეხვედრამ დიდი ძალა წაართვა შვეიცარიელს და საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ როჯერს მხოლოდ პირველ სეტში ეყო ძალა ნადალთან გასამკლავებლად. თანაბარი დასაწყისის შემდეგ, პირველი კრიტიკული მომენტი პირველ სეტში ნადალს დაუდგა, როცა 3:2-ზე აწვდიდა და როჯერმა ზედიზედ სამი ბრეიკ-პოინტი მიიღო, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოიყენა.

ამ მომენტმა ნადალი გამოაცოცხლა და მოიპოვა ინიციატივა, რისი შედეგიც მეცხრე გეიმში განხორციელებული ბრეიკი აღმოჩნდა. რაფამ სეტზე ჩაწოდების უფლება მიიღო და თითქოს პარტიის ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ფედერერმა იქვე დაიბრუნა დაკარგული მოწოდება, როცა მეოთხე ცდიდან აიღო ბრეიკი და გაათანაბრა ანგარიში – 5:5. და როგორც გაირკვა, ეს იყო ამ მატჩში შვეიცარიელის ბოლო გაბრძოლება. თამაშის დარჩენილ ნაწილში, ფედერერს არც ერთი ბრეიკ-პოინტი არ მიუღია. როჯერისთვის პირველ პარტიაში შანსი შეიძლებოდა ყოფილიყო ტაი-ბრეიკი, მაგრამ სეტი იმით დასრულდა, რომ ნადალმა მე-11 გეიმში მორიგი ბრეიკი გააკეთა და სეტზეც წარმატებით ჩააწოდა.

პირველ სეტს თუ შევაფასებთ, თითქმის თანაბარ თამაშში ფედერერს რვით მეტი უნებლიე შეცდომა (15 7-ის წინააღმდეგ) ჰქონდა და ამან გადაწყვიტა პარტიის ბედი.

ამის შემდეგ კი ფედერერს აშკარად დაღლა დაეტყო და როგორც გითხარით, მთელი მეორე სეტი ისე ჩაატარა, რომ ერთი ბრეიკ-პოინტიც არ მიუღია. საბოლოოდ, გადამწყვეტი აღმოჩნდა ამ პარტიაში მეხუთე გეიმი, როცა ესპანელმა რიგით მესამე ბრეიკი გააკეთა. ფედერერი ცდილობდა თამაშის რიტმის შეცვლას, რაც კარგად გამოუვიდა დელ პოტროსთან მატჩში, მაგრამ ნადალი მზად იყო ამისთვის. ესპანელს უკვე ყველაფერი გამოსდიოდა და დიდხანს არ გაწელა ეს ნახევარფინალი - მეცხრე გეიმში გაკეთებული მორიგი ბრეიკით საათსა და 19 წუთში დაასრულა შეხვედრა – 7:5, 6:3. საინტერესოა, რომ ორივე ჩოგბურთელს ამ მატჩში ოთხ-ოთხი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა. რაფას ოთხივე შანსი გამოიყენა, როჯერმა – მხოლოდ ერთი.

ნადალის მეტოქე ფინალში გვიან ღამით უნდა გარკვეულიყო სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩისა და შვეიცარიელი **სტანისლას ვავრინკას** შეხვედრაში.

მოტოგრანპრი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# არის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი!

როგორც მოსალოდნელი იყო, მოტოგრანპრიში მსოფლიოს ახალი ჩემპიონი გახდა ესპანელი **მარკ მარკესი**, რომელსაც წელს დებიუტი ჰქონდა მთავარ მოტოსერიაში. შეგახსენებთ, რომ "ჰონდას" პილოტს ჩემპიონატის ბოლო რბოლაში (ვალენსიას გრანპრი) მეოთხე ადგილი სჭირდებოდა ტიტულის გასაფორმებლად. ამ შემთხვევაში მისთვის მნიშვნელობა არ ექნებოდა კონკურენტ **ხორხე ლორენსოს** შედეგს.

მარკმა ტიტულისკენ სერიოზული ნაბიჯი უკვე შაბათს გადადგა, როცა პოული მოიპოვა, თუმცა ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა, რადგან ამ სეზონში ხშირად ვნახეთ, რომ მარკესმა კვალიფიკაციაში მოპოვებული უპირატესობა რბოლის სტარტზე ვერ გამოიყენა.

ასე მოხდა ამჯერადაც - ლორენსომ და **დანი პედროსამ** შეძლეს დებიუტანტის გასწრება, პირველი წრის ბოლოს კი პედროსამ ლორენსო ჩამოიტოვა უკან. პირველი წრე დაწინაურებულმა პილოტებმა შემდეგი თანმიმდევრობით დაასრულეს პირველი წრე: პედროსა, ლორენსო, მარკესი, **როსი, კრატჩლოუ, სმიტი...**

მეორე წრის დასაწყისში ლორენსოს წარმატებული კონტრშეტევა გამოუვიდა და დაიბრუნა ლიდერობა. პირველ წრეებზე ამ პილოტებს ძალიან დაძაბული ბრძოლა ჰქონდათ, მარკესი კი მშვიდად მოძრაობდა მათ უკან. პედროსას მხრიდან რამდენიმე თამამი შეტევა ვიხილეთ, მაგრამ ლორენსო ყოველ ჯერზე ახერხებდა პასუხის გაცემას.

მეათე წრეზე დაწინაურებულთა დუეტი ძალიან გაერთო ამ ბრძოლით და წინ მარკესი გავიდა! ლორენსო მეორე ადგილზე აღმოჩნდა, პედროსა კი მეხუთე პოზიციამდე ჩამოქვეითდა – წინ გაუშვა **ბაუტისტა** და როსი. ერთი წრის შემდეგ, ლორენსომ დაიბრუნა ლიდერობა და ამის შემდეგ, ყველაფერი დამშვიდდა. ფინიშამდე ხუთი წრით ადრე, მარკესმა, რომელიც გასაგები მიზეზების გამო არ რისკავდა, სპეციალურად გაუშვა წინ პედროსა, რომელმაც იმ მომენტისთვის როსისა და ბაუტისტას გაუსწრო - ეს იყო ბოლო მნიშვნელოვანი მომენტი რბოლაში.

მაშ ასე, ლორენსო პირველ ადგილზე გავიდა, მეორე იყო პედროსა, ხოლო პოდიუმი შეავსო მარკესმა, რომელმაც ოთხქულიანი უპირატესობით დაასრულა ჩემპიონატი და ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა – 20 წლისა და 266 დღის ასაკში.

ლორენსომ კი ჩემპიონის ტიტული დაკარგა, მაგრამ შეუძლია თავი იმით ინუგეშოს, რომ სეზონში რვა რბოლა მოუგი და ორით გაუსწრო მარკესს.

**ვალენსიას გრანპრი**

1. **ხორხე ლორენსო** (ესპ, Yamaha) - 30 წრე; 2. **დანი პედროსა** (ესპ, Honda) - +3,934; 3. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - +7,357; 4. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - +10,579; 5. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, Honda) - +14,965; 6. **შტეფან ბრადლი** (გერ, Honda) - +24,399; 7. **ბრედლი სმიტი** (ბრიტ, Yamaha) - +29,043; 8. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, Ducati) - +39,893...

**საერთო ჩათვლა**

1. **მარკ მარკესი** (ესპ, Honda) - 334 ქულა; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპ, Yamaha) - 330; 3. **დანი პედროსა** (ესპ, Honda) - 300; 4. **ვალენტინო როსი** (იტა, Yamaha) - 237; 5. **კელ კრატჩლოუ** (ბრიტ, Yamaha) - 188; 6. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, Honda) - 171; 7. **შტეფან ბრადლი** (გერ, Honda) - 156; 8. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, Ducati) - 141...



ტრიუმფატორი მარკესი

ფორმულა 1

# კიმიმ სეზონი დაამთავრა

"ლოტუსის" პილოტი **კიმი რაიკონენი** გამოტოვებს სეზონის ორ დარჩენილ რბოლას - ფინელს ისევ გაუმძაფრდა ზურგის ტრავმა და ხუთშაბათს ოპერაციის გადატანა მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ რაიკონენს წელს უკვე შეექმნა ზურგთან დაკავშირებული პრობლემები - მან სინგაპურის გრანპრიზე გამოსვლა მხოლოდ ექიმების ჩარევის შემდეგ შეძლო. ახლა კი, აბუ დაბის ეტაპის შემდეგ, ტკივილი გაძლიერდა და ფინელი ტკივილგამაყუჩებლების გარეშე ვერ იძინებდა.



კიმი რაიკონენი

*"ექიმებმა კიმის ოპერაციის ჩატარება ურჩიეს და ქირურგიული ჩარევა ზალცბურგში ხუთშაბათს მოხდება. რა თქმა უნდა, დასანანია, რომ რაიკონენის ურთიერთობა "ლოტუსთან" ასეთი ფორმით დასრულდა, რადგან სწორედ ამ გუნდში დაბრუნდა ის ფორმულა 1-ში და ორი წარმატებული სეზონი ჩაატარა. მაგრამ, კიმის დროის დაკარგვის უფლება არ ჰქონდა. ახლა, მთავარია, დროულად აღიდგინოს ფიზიკური კონდიციები 2014 წლის სეზონისთვის"*, - ამბობს რაიკონენის მენეჯერი **სტივ რობერტსონი**.

იტყობინებიან, რომ ოპერაციის შემდეგ, რაიკონენს ოთხი თვე აკრძალული ექნება ყველანაირი ფიზიკური დატვირთვა.

ამ სეზონის დარჩენილ ორ რბოლაში კიმის "ლოტუსის" სარეზერვო პილოტი **დავიდე ვალსეკი** შეცვლის.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად 03:05 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ნიკოლოზ ნეფარიძე
ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608